

წინარწმენის წინასწარმეტყველება: ეთნოცენტრიზმი და ღირებულებები
რეალისტურ და სიმბოლურ საფრთხეებთან ერთად

ანა მაცაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური
სადოქტორო პროგრამა (ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა მაცაშვილი

20 ოქტომბერი 2017

აბსტრაქტი

წინარწმენა ჯგუფთაშორისი კონფლიქტების საფუძვლადმდებარე კომპლექსური ფენომენია, რომელიც მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან სოციალური ფსიქოლოგების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. მასზე პასუხისმგებელი მრავალი ფაქტორი შესაძლებელია, ორ ფართო ჯგუფში – პიროვნულ და სიტუაციურ ფაქტორებში – გაერთიანდეს. მოცემული კვლევა, ინტერაქციონისტული მიდგომის გამოყენებით, ცდილობს, გაარკვიოს პიროვნული და სიტუაციური ცვლადების წილი წინარწმენაში. პიროვნულ ცვლადებად ეთნოცენტრისტული დისპოზიციები და შვარცის განსაზღვრული ღირებულებებია გამოყენებული, ხოლო სიტუაციურ ცვლადებად – ჯგუფთაშორის საფრთხის თეორიაზე დაყრდნობით – რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები. ამასთან, კვლევა, ფაქტორული ანალიზის საფუძველზე, წინარწმენის ორ ფორმას – მეტად სენსიტიურ და ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენას – განარჩევს და აჩვენებს, რომ ამ ფორმებს შორის აღმოჩენილი გარკვეული სხვაობები წინარწმენის არაერთგვაროვან ბუნებაზე მიანიშნებს. საფრთხეთა ექსპერიმენტული მანიპულირების შედეგად, თბილისში მდებარე სხვადასხვა უნივერსიტეტის 589 ბაკალავრი სტუდენტის მონაცემთა გაანალიზებით ირკვევა, რომ წინარწმენის ორივე ფორმას დადებითად ხსნის როგორც სიტუაციური ცვლადები – სიმბოლური და რეალისტური საფრთხეები, ისე პიროვნული ფაქტორები – ეთნოცენტრიზმი და ტრადიციის ღირებულება, ხოლო უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულება – უარყოფითად; ასევე, ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენას უარყოფით პრედიქტორად უნივერსალიზმი-ზრუნვაც ემატება. ირკვევა ისიც, რომ ტრადიციასა და წინარწმენის ორივე სახეს შორის კავშირში მოდერატორი მხოლოდ სიმბოლური საფრთხეა, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში კი ამ საფრთხის ეფექტი იმდენად მძლავრია, რომ, მასთან ინტერაქციაში, ტრადიციის ღირებულება წინარწმენის ამ ფორმის დამოუკიდებლად წინასწარმეტყველების ეფექტს კარგავს. ნაშრომში მიღებული შედეგების ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი, რომლებიც როგორც წინარწმენისთვის, ისე

საფრთხეთა სახეებისთვის განსხვავებული იმპლიკაციების მატარებელია, და აჩვენებს, რა პირობებში, რა სახის წინარწმენის გამოვლენაა უფრო მოსალოდნელი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, ეთნოცენტრიზმი, ღირებულებები, საფრთხე.

Abstract

Prejudice is a complex phenomenon underlying intergroup conflicts, which has become the special focus of social psychologists since the mid-20th century. Numerous factors that are responsible for it can be reduced to two broad sets of personality-level and situational-level factors. The present study, leaning upon interactionist perspective, attempts to understand the shares of personality and situational variables in prejudice. Ethnocentric dispositions, and values as defined by Shalom Schwartz are used as personality variables, while realistic and symbolic threats proposed by the Intergroup Threat Theory are employed as situational variables. Furthermore, basing upon confirmatory factor analysis, the study distinguishes between two types of prejudice labeled as more sensitive and less sensitive prejudice, and shows that particular differences found among those types indicate the heterogeneous nature of prejudice. Through experimental manipulation of threats, data analysis of 589 undergraduate students from a number of Tbilisi-based universities demonstrates that both types of prejudice are positively predicted by both, situational variables – symbolic and realistic threats, and personality factors – ethnocentrism and the value of tradition, while the value of universalism-tolerance is a negative predictor, and universalism-concern emerges as the second negative predictor for less sensitive prejudice only. Additionally, the results show that the relationship between the tradition value and both types of prejudice is moderated by the effect of symbolic threat only, and the effect of

symbolic threat is so strong for less sensitive prejudice that, when interacting with it, the tradition value loses the effect of independently predicting this type of prejudice. The paper discusses results, which have different implications for prejudice as well as for the two forms of threats, and show in what conditions which types of prejudice are more likely to be expected.

Keywords: prejudice, ethnocentrism, values, threat.

მადლობა

პროფესორ ნინო ჯავახიშვილს – რომ ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი იყო, რომ უზრუნველყოფდა სამეცნიერო რესურსებით, ღირებული უკუკავშირითა და სამუშაო გრაფიკით, რის გარეშეც ამ ნაშრომის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იქნებოდა. ჩემს ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ მარინე ჩიტაშვილს, რომელმაც პირველმა მიმახვედრა, რატომაც ფსიქოლოგია მეცნიერება, და ცნებების ოპერაციონალიზების მნიშვნელობა მასწავლა. ჩემს კოლეგებს, ნათია კოჭლაშვილს, მაკა ლორთქიფანიძეს და – განსაკუთრებით – ირინა ვარდანაშვილს, რომელთაც ჩემთვის რთულ, მონაცემების სტატისტიკური დამუშავების, გზაზე მეგზურობა გამიწიეს; ნინო სხირტლამეს, რომელიც იმის ნიმუში იყო, რომ დისერტაციის დაწერა შესაძლებელია; ნინო ბუწაშვილს – მონაცემების შეგროვებაში გაწეული დახმარებისა და ამ ნაშრომის ვიზუალური გამართვისათვის. ილიაუნის, თსუ-ს, სამედიცინო უნივერსიტეტის, საპატრიარქოს უნივერსიტეტის, სეუ-ს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტისა და GIPA-ს სხვადასხვა ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს, ვინც მონაცემების შეგროვებაში უანგაროდ დამეხმარა, განსაკუთრებით კი პროფესორ ირინე კვაჭაძეს სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტიდან – იმისთვის, რომ განსაკუთრებულად ბევრი მონაცემი მოკლე დროში, ორგანიზებულად და ოპერატიულად, მომაგროვებინა. ბებიას – რომელიც 91 წლის ასაკში ჩემი დისერტაციის ყველაზე დიდი გულშემატკივარია. და განსაკუთრებული მადლობა იმ 611 სტუდენტს, რომელთაც თავისი აკადემიური დღის 30 წუთი ჩემს კვლევაში მონაწილეობას დაუთმეს. რომ არა ისინი, მადლობის სიტყვის დაწერა არ მომიწევდა.

სარჩევი

| | |
|--|----|
| ცხრილების ჩამონათვალი..... | ix |
| სხვა თვალსაჩინოებათა ჩამონათვალი..... | x |
| შესავალი | 1 |
| <i>ნაშრომის სტრუქტურა</i> | 9 |
| 1. ლიტერატურის მიმოხილვა | 10 |
| 1.1. წინარწმენა..... | 10 |
| 1.1.1. ცნების ევოლუცია ისტორიულ ჭრილში | 11 |
| 1.1.2. წინარწმენის ამხსნელი მოდელები..... | 13 |
| 1.1.2.1. სოციალური იდენტობის თეორია..... | 13 |
| 1.1.2.2. რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორია..... | 17 |
| 1.1.2.3. ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია | 21 |
| 1.1.2.4. ტერორის მართვის თეორია..... | 22 |
| 1.1.2.5. კონტაქტის ჰიპოთეზა..... | 23 |
| 1.1.2.6. კონფორმულობა | 25 |
| 1.1.2.7. პიროვნული მახასიათებლები | 26 |
| 1.2. ეთნოცენტრიზმი | 33 |
| 1.3. ღირებულებები..... | 36 |
| 1.4. საფრთხე: ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია | 42 |
| წინამდებარე კვლევა..... | 48 |
| 2. მეთოდი | 54 |
| 2.1. შერჩევა..... | 54 |

| | |
|--|----|
| 2.2. პროცედურა..... | 57 |
| 2.3. კვლევის დიზაინი | 60 |
| 2.4. საზომები..... | 61 |
| 2.4.1. დამოუკიდებელი ცვლადები..... | 61 |
| 2.4.1.1. ეთნოცენტრიზმის საზომი..... | 61 |
| 2.4.1.2. ღირებულებების საზომი..... | 62 |
| 2.4.2. მოდერატორი ცვლადი: საფრთხით მანიპულაცია | 64 |
| 2.4.3. დამოკიდებული ცვლადი: წინარწმენის საზომი..... | 69 |
| 2.4.4. დემოგრაფიული ცვლადები | 71 |
| 3. შედეგები | 72 |
| 3.1. სოციალური დისტანციის სკალა: დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი..... | 72 |
| 3.2. აღწერითი მონაცემები | 74 |
| 3.2.1. ეთნოცენტრიზმი, ღირებულებები, მეტად სენსიტიური წინარწმენა და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა: საშუალო ქულები | 74 |
| 3.2.2. სხვაობა სქესის მიხედვით ეთნოცენტრიზმში, ღირებულებებსა და რელიგიურობის დონეში..... | 75 |
| 3.3. კორელაცია ღირებულებებს შორის | 77 |
| 3.4. დამოკიდებული ცვლადის მიმართება კვლევის სხვა ცვლადებთან..... | 79 |
| 3.4.1. კავშირი პიროვნულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის: კორელაცია..... | 80 |
| 3.4.2. კავშირი დემოგრაფიულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის: საშუალოთა შედარება და კორელაცია | 83 |
| 3.5. საფრთხით მანიპულაციის შემოწმება..... | 87 |
| 3.6. წინარწმენის წინასწარმეტყველება: იერარქიული რეგრესია..... | 89 |
| 3.7. მოდელის შემოწმება: ტრაექტორიის ანალიზი..... | 95 |
| 4. დისკუსია..... | 99 |

| | |
|---|-----|
| 4.1. სოციალური დისტანციის სკალის ორი კომპონენტი: მეტად სენსიტიური და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | 100 |
| 4.2. წინარწმენის დადებითი პრედიქტორები: ეთნოცენტრიზმი, ტრადიციის ღირებულება და საფრთხეები..... | 103 |
| 4.3. წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორები: უნივერსალიზმი-ტოლერანტობა და უნივერსალიზმი-ზრუნვა | 113 |
| 4.4. პიროვნული და სიტუაციური ფაქტორების ინტერაქცია: სიმბოლური საფრთხე, როგორც მოდერატორი ტრადიციის ღირებულებასა და წინარწმენას შორის..... | 117 |
| 4.5. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები | 130 |
| 5. დასკვნა და რეკომენდაციები | 133 |
| ბიბლიოგრაფია | 138 |
| დანართები..... | 168 |
| დანართი 1: ეთნოცენტრიზმის სკალა | 168 |
| დანართი 2: ღირებულებების სკალა (PVQ-RR)..... | 171 |
| დანართი 3: საფრთხით მანიპულაცია..... | 174 |
| 3.1. ექსპერიმენტული პირობა: რეალისტური საფრთხე..... | 174 |
| 3.1.1. „სტატიის“ შემდგომი კითხვები..... | 175 |
| 3.2. ექსპერიმენტული პირობა: სიმბოლური საფრთხე..... | 177 |
| 3.2.1. „სტატიის“ შემდგომი კითხვები..... | 178 |
| 3.3. საკონტროლო პირობა: „უსაფრთხო“ | 180 |
| 3.3.1. „სტატიის“ შემდგომი კითხვები..... | 181 |
| დანართი 4: წინარწმენის საზომი: სოციალური დისტანციის განახლებული სკალა | 182 |
| დანართი 5: დემოგრაფიული კითხვები | 184 |

ცხრილების ჩამონათვალი

| | |
|--|----|
| ცხრილი 1: 19 ღირებულება განსაზღვრული მათი მოტივაციური მიზნების მიხედვით (Schwartz et al. 2012)..... | 40 |
| ცხრილი 2: ასაკისა და რელიგიურობის დონის საშუალოები და სტანდარტული გადახრები ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში | 55 |
| ცხრილი 3: სქესის სიხშირული განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში | 56 |
| ცხრილი 4: დედის განათლების სიხშირული განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში | 56 |
| ცხრილი 5: მამის განათლების სიხშირული განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში | 57 |
| ცხრილი 6: ღირებულებების კითხვარის დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის შედეგები | 63 |
| ცხრილი 7: სოციალური დისტანციის განახლებული სკალის ფაქტორთა დატვირთვის მონაცემები..... | 73 |
| ცხრილი 8: ღირებულებათა საშუალოები, სტანდარტული გადახრები და მინიმალური და მაქსიმალური ქულები | 74 |
| ცხრილი 9: ღირებულებათა საშუალოები და სტანდარტული გადახრები კაცებისა და ქალებისთვის | 76 |
| ცხრილი 10: კორელაციები ღირებულებებს შორის..... | 78 |
| ცხრილი 11: კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებს შორის..... | 81 |
| ცხრილი 12: კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებს შორის | 82 |

| | |
|--|----|
| ცხრილი 13: კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, რელიგიურობის დონეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებს შორის..... | 84 |
| ცხრილი 14: კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, რელიგიურობის დონეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებს შორის..... | 85 |
| ცხრილი 15: დედის განათლების დონის საშუალოები და სტანდარტული გადახრები აბირიელებისადმი წინარწმენისთვის..... | 87 |
| ცხრილი 16: სამი ჯგუფის – რეალისტური საფრთხის პირობის, სიმბოლური საფრთხის პირობისა და საკონტროლო პირობის – საშუალოები და სტანდარტული გადახრები აბირიელებისადმი წინარწმენისთვის..... | 89 |
| ცხრილი 17: რეგრესია მეტად სენსიტიურ წინარწმენაზე | 91 |
| ცხრილი 18: რეგრესია ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენაზე..... | 93 |
| ცხრილი 19: მეტად სენსიტიური წინარწმენის პრედიქტორები დალაგებული სიძლიერის მიხედვით..... | 94 |
| ცხრილი 20: ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის პრედიქტორები დალაგებული სიძლიერის მიხედვით..... | 94 |

სხვა თვალსაჩინოებათა ჩამონათვალი

| | |
|---|----|
| ილუსტრაცია 1: ღირებულებათა სისტემის წრიული სტრუქტურა (Schwartz et al. 2012)..... | 39 |
| სქემა 1: ინტეგრირებული საფრთხის თეორია: თავდაპირველი მოდელი (Stephen and Renfro 2002) | 44 |
| სქემა 2: მოცემული კვლევის ჰიპოთეტური მოდელი..... | 50 |
| სქემა 3: მეტად სენსიტიური წინარწმენის წინასწარმეტყველება: საბოლოო მოდელი..... | 96 |

სქემა 4: ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის წინასწარმეტყველება: საბოლოო
მოდელი.....97

შესავალი

დასავლურმა სოციალურმა მეცნიერებამ წინარწმენის¹ საკითხებით განსაკუთრებული დაინტერესება მისი არსებობის ექსპლიციტურ, მეტიც, ინსტიტუციონალიზებულ, ფაზაში დაიწყო. ამერიკაში ეს 1920-იან წლებში მოხდა, როცა იქ არა-პროტესტანტი და აზიელი იმიგრანტების დიდმა ნაკადმა იწყო დასახლება (Wark and Galliher 2007), ევროპაში კი (და ამერიკაშიც კვლავ) მე-20 საუკუნის შუა პერიოდში, როცა დიქტატორულმა რეჟიმებმა, მეორე მსოფლიო ომმა და განსაკუთრებით ჰოლოკოსტმა უზარმაზარი შოკი გამოიწვია და, ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვან აკადემიურ შთაგონებადაც იქცა, გაეგოთ, რა იმალებოდა ასეთი მასშტაბის წინარწმენების, დისკრიმინაციისა და ჯგუფური კონფლიქტების უკან (Hogg 2006).

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა და ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ჯგუფთაშორისი კონფლიქტები და გარე-ჯგუფებისადმი ღიად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებები ისევ მოაქცია ყურადღების ცენტრში (Foster 2016). ამ მოვლენათა რიცხვშია, ერთი მხრივ, რადიკალური ტერორიზმი, მეორე მხრივ კი დასავლურ სამყაროში ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ლტოლვილთა მასიური შემოდინება; ეს უკანასკნელი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ადამიანების ყველაზე ფართო გადაადგილებლად მიიჩნევა (Smith 2016) და, ამასთან, თვლიან, რომ ლტოლვილთა მიმართ გამოყენებული რიტორიკა იმ რიტორიკას ჰგავს, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ (Tharoor 2015). სიძულვილის ღია

¹ მოცემულ დისერტაციაში, ინგლისურენოვანი ტერმინის, *prejudice*-ის შესატყვისად „წინარწმენა“ იქნება გამოყენებული. ქართულენოვან ლიტერატურაში *prejudice*-ი, როგორც წესი, სამნაირადაა ნათარგმნი: „ცრურწმენა“ (მაგ., გერიგი და ზიმბარდო 2009), „წინასწარგანწყობა (არონსონი 2014) და „წინარწმენა“ (ვარდანაშვილი და ჯავახიშვილი 2016). „ცრურწმენა“ ქართულ ენაში, ტერმინოლოგიურად, რიტუალური რწმენების ასოციაციას იწვევს, „წინასწარგანწყობა“ კი, ადგილობრივ ფსიქოლოგიურ წრეებში, დიმიტრი უზნაძის (1940) განწყობის ცნებასთან ასოცირდება და ტერმინს სხვა დატვირთვას სძენს. ამდენად, უპირატესობა „წინარწმენას“ ენიჭება, მით უფრო, რომ ინგლისურენოვანი *prejudice*-ი ლათინური *praejudicium*-იდან მოდის, რაც „წინასწარ გასამართლებას“, „წინასწარ დასკვნას“, „წინასწარ განსჯას“, „წინასწარ მსჯელობას“ ნიშნავს და, შესაძლოა, მეტი ჰქონდეს საერთო „რწმენასთან“ (როგორც მოსაზრებასთან, შეხედულებასთან), ვიდრე, მაგალითად „განწყობას.“

გამოხატულების უახლეს მაგალითს, ასევე, განეკუთვნება 2017 წლის აგვისტოში, შარლოტსვილში (ვირჯინიას შტატი) მიმდინარე მოვლენები, რომელიც ე.წ. თეთრების უპირატესობის (white supremacy) ჯგუფთა იმ ასობით წევრის გამოსვლებით დაიწყო, ვინც რობერტ ე. ლის – მონობის მომხრედ მიჩნეული ამერიკული სამოქალაქო ომის გენერლის – ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებულ გეგმებს აპროტესტებდა, ამას კი ერთი ქალის სიკვდილი, 19 ადამიანის დაშავება და დიდი მედია-გამოხმარება მოჰყვა, რომელიც ამერიკაში დაბრუნებულ სიძულვილზე ლაპარაკობს (მაგ. *Time* 2017).

ამდენად, მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვან სტიმულად იქცა, რომ წინარწმენის დაუფარავი ფორმებისა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი კვლავ განახლდეს მეცნიერული ინტერესი.

ის, თუ რამდენად იქნება წინარწმენა ღიად თუ ფარულად გამოხატული, დიდწილად, კონტექსტზეა დამოკიდებული. როდესაც სოციალური ნორმები არ ახდენს წინარწმენის აშკარა სანქციონირებას, დისკრიმინაცია უფრო მძლავრად იჩენს თავს (Gaernter 1973; Gaertner and Dovidio 1986). აშშ-ში, მაგალითად, რასობრივი წინარწმენა იგმობა, სკოლებში კი თანასწორობა ისწავლება (Boukari and Goura 2012). ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ რასობრივი წინარწმენა და დისკრიმინაციული ქცევები მაშინ უფრო ვლინდება, როცა მათი გაზომვა არაპირდაპირი, შეფარული მეთოდებით ხდება (იხ. Crandall and Eshleman 2004).

მეტიც, მზარდი პოლიტკორექტულობის ეპოქაში, ე.წ. გარე-ჯგუფებისადმი არსებული შფოთვის მთავარ წყაროდ არა, ვთქვათ, უცხოს წინაშე ირაციონალური შიში, არამედ საკუთარი თავის კარგად – ანუ წინარწმენის არ-მქონე ადამიანად – წარმოჩენის სურვილი და ამ სურვილთან დაკავშირებული შიშები სახელდება (Stephen, Stephen and Gudykunst 1999; Dovidio and Gaertner 2004): თეთრ ამერიკელებს აქვთ ტენდენცია, დათრგუნონ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულებები, „მათ არ სურთ წინარწმენის გამოხატვა არც სიტყვით და არც საქმით, ამის მიზეზები კი ლიბერალიზმი, ეგალიტარიანიზმი, ჩაგრულისადმი თანაგრძნობა, წინარწმენის არ-მქონე იმიჯის შენარჩუნება, სოციალური ნორმები, „პოლიტკორექტულობა“ და ჰუმანიტარული ღირებულებებია“ (Crandall and Eshleman 2004, 238). ეს, ერთი მხრივ, იმას მიუთითებს,

რომ თანამედროვე სამყაროში, გარკვეულწილად, ერთმანეთისადმი, უმცირესობებისადმი თუ გარე-ჯგუფებისადმი მტრულობის ღია გამოხატულებებმა იკლო, მეორე მხრივ კი იმას, რომ პრობლემა კვლავ აგრძელებს არსებობას, და თან ისეთ ფორმებში, რომ მისი გაზომვა უფრო გართულებულ ხერხებს მოითხოვს (Tetlock and Mitchell 2008).

საქართველოში კი, სადაც მოცემული კვლევისათვის მონაცემები შეგროვდა, როგორც საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა ფართომასშტაბიანი გამოკითხვები, ისე რეალურ დროში მომხდარი ჰომოფობიური, ქსენოფობიური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები დაუფარავი წინარწმენის პრობლემაზე მიუთითებს.

მაგალითად, გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, საქართველოში მცხოვრებ სხვა რელიგიური დენომინაციის წარმომადგენლებს არ უნდა ჰქონდეთ იგივე უფლებები, რაც მართლმადიდებელ უმრავლესობას აქვს (სუმბაძე 2012); მედია-კვლევები ნაციონალურ გაზეთებში სიძულვილის ენის გამოყენებაზე ამახვილებენ ყურადღებას (UNDP 2011, 2013, 2014; კინწურაშვილი 2016); ევროკომისიის მე-4 ანგარიშში რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) ლაპარაკია საქართველოში არსებულ დისკრიმინაციაზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ პირების მიმართ (EPN 2016); ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისადმი სოციალური დისტანციის (რაც ტოლერანტობის გარკვეულ ვარიანტად შეგვიძლია მივიჩნიოთ) საშუალო ქულა ქართველ სტუდენტებს საგრძნობლად მაღალი აქვთ (სხვა სიტყვებით, უფრო ნაკლებ ტოლერანტულები არიან), ვიდრე გერმანელ და იაპონელ სტუდენტებს (Javakhishvili et al. 2012), ხოლო ამავე ქართველი სტუდენტების საშუალო ქულა ყველაზე ახლო მდგომი არა-მართლმადიდებელი აღმსარებლობის წარმომადგენლებისადმი (კათოლიკებისადმი) იმაზე უფრო მაღალია (არატოლერანტული) (ibid.), ვიდრე ამერიკელი სტუდენტების ქულა ყველაზე შორს მდგომი ჯგუფისადმი (მუსლიმებისადმი) (Parrillo and Donoghue 2005).

ამას ემატება დაუფარავი ჰომოფობიური ფაქტები, მაგალითად, როცა 2013 წლის 17 მაისს, თბილისში, მშვიდობიან გამოსვლას ჰომოფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეს ძალადობრივად დაუპირისპირდა გეი-უფლებების

მოწინააღმდეგე, ეკლესიის მიერ წაქეზებული ათასობით ადამიანი, რომელთაც პოლიციის კორდონის გარღვევის საშუალება მისცეს (Roth 2013). ასეთივე მაგალითს განეკუთვნება 2012 წლის ოქტომბერს, ერთ-ერთ სოფელში მომხდარი რელიგიური დისკრიმინაციის ინციდენტი, როცა მართლმადიდებელი მოსახლეობა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას დაუპირისპირდა და რელიგიურ მსახურებაში უშლიდა ხელს (ტაბულა 2012). მსგავსი, რეალურ დროში მომხდარი, ბოლოდროინდელი ფაქტი ე.წ. ქართველთა მარშს უკავშირდება, რომელიც ეთნიკურ დისკრიმინაციას ღიად გამოხატავდა და მიზნად ქვეყნის „არალეგალი იმიგრანტებისგან გასუფთავებას“ ასახელებდა (გვარიშვილი 2017).

სწორედ წინარწმენაა გარე-ჯგუფისადმი ამგვარ უარყოფით და მტრულ დამოკიდებულებებზე პასუხისმგებელი, რომელიც მოიცავს „კოგნიტურ კომპონენტს (სტერეოტიპი და გარკვეული რწმენები ჯგუფის შესახებ), ემოციურ კომპონენტს (ჯგუფის მიმართ ანტიპათია ან აქტიური მტრობა) და ქცევით კომპონენტს (ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციის პრედისპოზიცია)” (E. Aronson 2012, 299). წინარწმენის მრავალი განმარტებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ელიოტ არონსონის განმარტებაა, რომლის თანახმადაც, წინარწმენა არის „რამით გამორჩეული ჯგუფის მიმართ მტრული ან უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება მცდარი ან არასრულყოფილი ინფორმაციიდან აღმოცენებულ განზოგადებებს” (ibid.).

ცხადია, ეს განმარტება არ არის საკმარისი და სოციალურ ფსიქოლოგებს აინტერესებთ, რით შეიძლება აიხსნას, თავის მხრივ, წინარწმენა. კონსტრუქტის შედარებით ფართო ბუნებიდან გამომდინარე, მისი მიზეზები რომელიმე ერთ ცალკეულ ფაქტორზე ან ფაქტორთა ცალკეულ წყებაზე ვერ დაიყვანება.

ეს გარემოება ყველაზე უკეთ ჩანს გორდონ ოლპორტის მიერ გამოყოფილ წინარწმენის ხუთ მსხვილ წინაპირობაში, რომელმაც თავისი 1954 წლის კლასიკური ნაშრომით, „წინარწმენის ბუნება”, ლამის გადამწყვეტი ბიძგი მისცა ამ ფენომენის შესწავლას სოციალურ ფსიქოლოგიაში. ოლპორტის ([1954] 1979) თანახმად, ეს ხუთი ძირითადი წინაპირობაა: ისტორიული, სოციო-კულტურული, სიტუაციური, პიროვნული და ფენომენოლოგიური.

ისტორიულ ფაქტორებს ოლპორტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამბობდა, რომ „მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში არსებული წინარწმენის ნებისმიერი გამოვლინება სიცხადეს იძენს, როდესაც ის ისტორიული თვალსაზრისით შეისწავლება” (Allport [1954] 1979, 211).

სოციო-კულტურულ ფაქტორებში ოლპორტი ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტს გულისხმობდა, სადაც ამა თუ იმ ჯგუფის კულტურული და სოციალური ნორმები, ტრადიციები, ღირებულებები, სოციალური სტრუქტურა ვითარდება (Allport [1954] 1979).

სიტუაციური ფაქტორები, ოლპორტის მიხედვით, უფრო მყისიერი სოციალური კონტექსტებია, მაგალითად, გარე-ჯგუფთან კონტაქტის გამოცდილება, ხასიათი (ნებაყოფლობითი თუ არა-ნებაყოფლობითი) და სიხშირე, მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, ე.წ. სოციალური მობილობა და უმუშევრობა (Allport [1954] 1979). ამ უკანასკნელის როლი წინარწმენაში განსაკუთრებით ფართო დაკვირვების საგანია სოციალურ ფსიქოლოგთა შორის (მაგ., E. Aronson 2012) და უფრო ფართო ფენომენის, კერძოდ, მწირი რესურსებისთვის შეჯიბრის ჭრილში განიხილება: შეზღუდული რესურსების პირობებში, იქნება ეს ეკონომიკური, მატერიალური თუ პოლიტიკური რესურსები, მნიშვნელოვნად იზრდება წინარწმენები, რის მაგალითებსაც განეკუთვნება ანგლო-საქსი ამერიკელების უარყოფითი დამოკიდებულებები მექსიკელი მიგრანტების მიმართ უმუშევრობის მაღალი დონის დროს, წინარწმენები არაბებსა და ისრაელელებს შორის ტერიტორიაზე დავის შედეგად ან კონფლიქტი ამერიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის მონობის გაუქმების შედეგად (ibid.). ეკონომიკურ კონტექსტსა და წინარწმენას შორის კავშირის საილუსტრაციოდ არონსონს მე-19 საუკუნის აშშ-ში ამერიკელების საგრძნობლად ცვალებადი დამოკიდებულებები მოჰყავს ჩინელი იმიგრანტების მიმართ, ეს ცვალებადობა კი, დიდწილად, სწორედ ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული: როცა ჩინელებმა კალიფორნიის საბადოებში ოქროს მოპოვება დაიწყეს, ამერიკელები მათ მიმართ დაუფარავად გამოხატავდნენ მტრობას („გარყვნილები და უზნეოები” და ა.შ.), ხოლო, ათიოდე წლის შემდეგ, როცა ტრანსკონტინენტური რკინიგზის სახიფათო მშენებლობაზე დათანხმდნენ მუშაობას,

რაზეც ძალიან ცოტა თეთრი ამერიკელი თუ იყო თანახმა, ჩინელებისადმი დამოკიდებულებები დადებითად შეიცვალა, მერე კი, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, როცა ამერიკელი ჯარისკაცები დაუძღვრებულ შრომით ბაზარს დაუბრუნდნენ, ჩინელებისადმი კვლავ იფეთქა წინარწმენებმა (ibid.).

პიროვნული ფაქტორები, წინა სამი ფაქტორისგან განსხვავებით, ფსიქოლოგიურია და შესაძლებელია, მათი ფსიქოდინამიკური მიდგომის ჭრილში განხილვა; „მხოლოდ კონკრეტული ტიპის ადამიანებს უვითარდებათ წინარწმენა“ (Allport [1954] 1979, 216), ასეთი ადამიანები კი დაუცველობისა და შფოთვისკენ არიან მიდრეკილნი და „უფრო ავტორიტარულ და ექსკლუზიონისტურ ცხოვრების წესს ირჩევენ, ნაცვლად მშვიდი, მიმნდობი, დემოკრატიული გზისა“ (ibid.)

და ბოლოს, *ფენომენოლოგიური ფაქტორები* ეხება ადამიანების მიერ თავიანთი უშუალო სიტუაციის აღქმას: ადამიანების რეაქციები მათ წინაშე არსებული სიტუაციის განცდიდან გამომდინარეობს (Allport [1954] 1979).

ბუნებრივია, ჯერ მარტო ოლპორტისეული ხუთი წინაპირობიდანაც ნათელი ხდება, თუ რა კომპლექსური და რთულად შესასწავლი კონსტრუქტია წინარწმენა; მეტიც, ამდენი ფაქტორით განპირობებული, ის ერთგვარად მულტიდისციპლინური კონსტრუქტაციაა. ასეა თუ ისე, მოცემულ კვლევაში ის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი, შეისწავლება; მართლაც, წინარწმენა ფსიქოლოგიური ფენომენად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური მიზეზებითა და შედეგებით.

თუმცა, რაც უნდა მრავალფეროვანი ფაქტორები ან, სულაც, ამ ფაქტორთა კომბინაცია იყოს წინარწმენაზე პასუხისმგებელი, ეს ფაქტორები, უხეშად, ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: შინაგან (პიროვნებისეულ) და გარეგან (კონტექსტუალურ თუ სიტუაციურ) ფაქტორებად.

მეთოდოლოგიური სირთულეების გამო, წინარწმენის შესწავლით დაკავებული უამრავი ფსიქოლოგიური კვლევა, როგორც წესი, ან მხოლოდ ინდივიდუალური დონის ან საზოგადოებრივი დონის ცვლადებზე აკეთებს აქცენტს (იხ. Stephen 2008). მოცემული კვლევა, ინტერაქციონისტულ მიდგომაზე (იხ. Feldman 2003) დაყრდნობით, შეეცდება,

გააერთიანოს შინაგანი (პიროვნული) და გარეგანი (კონტექსტუალური) ცვლადები და გაარკვიოს მათი წვლილი წინარწმენაში გარე-ჯგუფის მიმართ.

მოცემულ კვლევაში, პიროვნული ცვლადის სახით, ეთნოცენტრული პრედისპოზიციებია (Neuliep 2002) გამოყენებული. გარდა ამისა, კვლევა შალომ შვარცის ბაზისური ღირებულებების თეორიას (Schwartz and Bilksy 1987; Schwartz 1992; Schwartz et al. 2012) და, შესაბამისად, მის (2012) მიერ განსაზღვრულ ღირებულებებს იყენებს პიროვნული ცვლადების როლში, როგორცაა, მაგალითად, ტრადიციის ღირებულება, უსაფრთხოების ღირებულება, უნივერსალისტური ღირებულებები და სხვ. (იხ. ცხრილი 1 და ილუსტრაცია 1).

ხოლო კონტექსტუალური ცვლადისათვის, კვლევა წინარწმენის ერთ-ერთ ამხსნელ მოდელს, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიას (ITT) (Stephen, Ybarra and Morrison 2009) ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც, წინარწმენის წინაპირობას ამა თუ იმ ჯგუფიდან წამოსული რეალისტური (ფიზიკურ, მატერიალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული) და სიმბოლური (ტრადიციებთან, იდეოლოგიასთან დაკავშირებული) აღქმული საფრთხეები წარმოადგენს.

ცხადია, საფრთხის წმინდა სიტუაციურ ფაქტორად განხილვა საკამათო შეიძლება იყოს, ვინაიდან ITT-ში აღქმულ საფრთხეზეა ლაპარაკი და ზოგი ადამიანი მეტადაა მიდრეკილი, აღიქვას საფრთხე, სხვა სიტყვებით, საფრთხის აღქმა, შესაძლოა, ინდივიდის გარკვეულ პიროვნულ მახასიათებლებზე იყოს დამოკიდებული. თუმცა, ეს, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიის დისციპლინის უფრო ფუნდამენტური საკითხია, რომელიც რეალურსა და აღქმულს, ან კი ობიექტურსა და სუბიექტურს, შორის მკაფიო ზღვარის გავლების პრობლემას ეხება, მეორე მხრივ კი მოცემული კვლევის დიზაინი (იხ. მეთოდის განყოფილება) საშუალებას იძლევა, შემოწმდეს, აქვს თუ არა საფრთხის მხოლოდ არსებობას გავლენა წინარწმენაზე, განურჩევლად პიროვნული თვისებებისა. ამდენად, კვლევაში აღქმულ საფრთხეებს მაინც გარეგან (სიტუაციურ ან კონტექსტუალურ) ცვლადებად განვიხილავ, თუმცა ვვარაუდობ, რომ სიმბოლურ საფრთხეს, რეალისტურთან შედარებით, უფრო მეტი აქვს საერთო პიროვნულ ფაქტორებთან, რამდენადაც ამ ტიპის საფრთხე უფრო მჭიდრო კავშირშია პიროვნულ

ღირებულებებთან (მაგ., იმავე ტრადიციის ღირებულებასთან). ამასთან, თეორიის ავტორებისვე (Stephen, Ybarra and Morrison 2009) თქმით, „აღქმულ საფრთხეებს რეალური შედეგები მოჰყვება, არ აქვს მნიშვნელობა, ეს აღქმები ზუსტია თუ არა“, (ibid., 45). მართლაც, იმიგრანტებისადმი დამოკიდებულებების შესასწავლად ჩატარებულმა კვლევამ გერმანიაში, მაგალითად, აჩვენა, რომ ამ იმიგრანტებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას არა მათი რეალური, არამედ აღქმული რაოდენობა წინასწარმეტყველებდა (Semyonov et al. 2004).

აღნიშნულ ცვლადებზე დაყრდნობით, წინამდებარე რაოდენობრივი კვლევა ცდილობს, უპასუხოს კითხვას, რისი ფუნქციაა წინარწმენა. სხვა სიტყვებით, კვლევის მიზანია, შემდეგ კითხვებს გასცეს პასუხი:

1. აქვს თუ არა პიროვნულ მახასიათებლებს – ეთნოცენტრულ პრედისპოზიციებსა და კონკრეტულ პიროვნულ ღირებულებებს, კერძოდ, ძალაუფლების (ძალაუფლება-დომინანტობისა და ძალაუფლება რესურსების), კონსერვაციის (იმიჯის, უსაფრთხოების, ტრადიციის, კონფორმულობის, თავმდაბლობის), ცვლილებებისადმი ღიაობის (ავტონომიური აზროვნებისა და მოქმედების, სტიმულაციისა და ჰედონიზმის) და უნივერსალისტურ (უნივერსალიზმი-ზრუნვის, უნივერსალიზმი-ბუნებისა და უნივერსალიზმი-ტოლერანტობის) ღირებულებებს – წინარწმენის წინასწარმეტყველების ძალა?
2. პიროვნული მახასიათებლებისგან განურჩევლად, ახდენს თუ არა გავლენას სიტუაციური ცვლადი – რეალისტური და სიმბოლური საფრთხის არსებობა – წინარწმენაზე?
3. აძლიერებს თუ არა ეთნოცენტრიზმს და არატოლერანტულ ღირებულებებსა (მაგ., ტრადიციის ღირებულებას) და წინარწმენას შორის კავშირს აღქმული საფრთხეები? სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის თუ არა საფრთხე პიროვნულ ფაქტორებსა და წინარწმენას შორის მოდერატორი?

4. არის თუ არა რეალისტურ და სიმბოლურ საფრთხეებს შორის სხვაობა, მაგალითად, იმ მხრივ, რომ ერთი ახდენს პიროვნულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის კავშირის გაძლიერებაზე გავლენას და მეორე – არა?

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია კვლევაში გამოყენებული კონსტრუქტების – წინარწმენის, ეთნოცენტრიზმის, ღირებულებებისა და საფრთხეების – ირგვლივ არსებული თეორიული მიდგომები და მათზე ჩატარებული კვლევები, ამავე ნაწილის ბოლოს კი წინამდებარე კვლევა უფრო კონკრეტულად არის მიმოხილული და ჰიპოთეზებია ჩამოყალიბებული.

მეორე ნაწილი კვლევის მეთოდოლოგიას აღწერს.

მესამე ნაწილში მიღებული შედეგებია წარმოდგენილი.

მეოთხე ნაწილი შედეგების ინტერპრეტაციასა და ანალიზს ეთმობა, აღწერს კვლევის შეზღუდვებსა და სამომავლო პერსპექტივებს.

მეხუთე ნაწილი კი დასკვნასა და რეკომენდაციებს მოიცავს.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. წინარწმენა

როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ ნაშრომებში, წინარწმენა, უმეტესწილად, არა მიზეზის, არამედ შედეგის ცვლადაა განხილული (იხ. Pettigrew 2000; McFarland 2010). სხვა სიტყვებით, ის, როგორც წესი, დამოკიდებული ცვლადის სახით შეისწავლება, რომელიც სხვა – პიროვნული თუ სიტუაციური დონის – ფაქტორებიდანაა ნაწარმოები.

წინარწმენები ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, გენდერული და სხვ. ჯგუფების მიმართ წინარწმენის კერძო გამოვლინებებებია, რომელთაც საერთო საფუძველი აქვთ (Crandall and Eshleman 2004). სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ კვლევებში, კულტურულ-ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, წინარწმენის სხვადასხვა გამოვლინებაზეა აქცენტი გაკეთებული. ასე, მაგალითად, აშშ-ში, წინარწმენის კვლევათა დიდი ნაწილი, პრობლემის აქტუალობის გამო, რასობრივი დამოკიდებულებების შესწავლას ეთმობა (Zick, Pettigrew and Wagner 2008). თუმცა, მკვლევრების ფოკუსი ეპოქალური გამოწვევების შესაბამისად იცვლება (იხ. Reicher, Spears and Haslam 2010); მაგალითად, ბოლო პერიოდში, მზარდი ტერორიზმის კვალდაკვალ, ამერიკული (ისევე, როგორც ევროპული) კვლევები ნაკლებ „შავ-თეთრი“ ხდება და დღეს უკვე ფართოდ შეისწავლება ანტი-მუსლიმური დამოკიდებულებებიც (მაგ., Moore 2002; Rowatt, Franklin and Cotton 2005; Ogan et al. 2014; Dunwoody and McFarland 2017; იხ. Malik 2009).

გარდა ამისა, როგორც პეტიგრუ (2000) აღნიშნავს, მართალია, ყოველი ერის კულტურა და სოციალური სტრუქტურა ამ ერისთვის სპეციფიკურ ჯგუფთაშორის კონფლიქტებს აყალიბებს, მაგრამ არაერთი ფუნდამენტური მექანიზმი არსებობს, რაც ამ ერებსა თუ ჯგუფებს საერთო აქვთ (Pettigrew).

მოცემული ქვეთავი წინარწმენის შესწავლის ისტორიული ექსკურსით იწყება, რასაც ამ ფენომენის ამხსნელი თეორიული მოდელების განხილვა მოსდევს.

1.1.1. ცნების ევოლუცია ისტორიულ ჭრილში

ბოლო პერიოდში, დასავლური სოციალური ფსიქოლოგია წინარწმენის ფარულ გამოვლინებებზე ამახვილებს ყურადღებას (იხ. Dovidio 2001), თუმცა ამ ეტაპამდე მისასვლელად მკვლევრებს ათწლეულები დასჭირდათ და დღეს, როგორც ამ ნაშრომის შესავლიდანაც ჩანს, ვითარების უკან – წინარწმენის ღია გამოხატულებების ეპოქაში – დაბრუნების ერთგვარი ნიშნებიც კი შეიმჩნევა.

თავის 2001 წლის სტატიაში, დოვიდიო ისტორიულ კონტექსტში მიმოიხილავს წინარწმენას და მისი შესწავლის სამ ტალღას აღწერს (Dovidio 2001). სტატია ორი თვალსაზრისითაა საინტერესო: ერთი მხრივ, ჩანს, როგორ მოქმედებს როგორც თავად ფენომენზე (მისი გამოვლინების ფორმებზე), ისე ფენომენისადმი მიდგომაზე კონკრეტული ისტორიული მოვლენები და იმ პერიოდში გაბატონებული ფსიქოლოგიური პარადიგმები, მეორე მხრივ კი იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალურ თუ სოციალურ დონეზე, წინარწმენა დოვიდიოს მიერ აღწერილი იმ სამივე ფორმით აგრძელებს დღემდე არსებობას, რა ფორმითაც ის გამოიხატებოდა/გამოიხატება სამივე ტალღის დროს და რა ფორმითაც მას მკვლევრები აღწერდნენ/აღწერენ.

წინარწმენის შესწავლის პირველი ტალღა, რომელიც 1920-იანი წლებიდან 1950-იანებამდე პერიოდს მოიცავს, ღიად გამოხატულ მტრულობაზე ამახვილებდა ყურადღებას (მაგ., Bogardus 1923-1924; Katz and Braly 1935), ხოლო წინარწმენის წყაროდ პიროვნულ ფაქტორებს განიხილავდა, განსაკუთრებით კი ისეთ ფსიქოდინამიკურ პროცესებს, რომელიც ბავშვობასა და აღზრდაში უნდა ვეძიოთ და რომელიც ადამიანს ავტორიტარ პიროვნებად – რიგიდულ, კონვენციური შეხედულებების მქონე, არატოლერანტულ, ეჭვიან, ავტორიტეტისადმი მორჩილ, დასჯის მომხრე ინდივიდად აყალიბებს (Adorno et al. 1950). წინარწმენა ფსიქოპათოლოგიად მიიჩნეოდა, „როგორც არა უბრალოდ რაციონალური პროცესების შეფერხებად, არამედ როგორც საშიშ გადახრად ნორმალური აზროვნებიდან” (Dovidio 2001, 830). კვლევის მთავარი ობიექტები კი კონსერვატული, ნაკლებად განათლებული ადამიანები იყვნენ (ibid.).

მეორე ტალღის დროს პირიქით, წინარწმენის ნორმალურობაზე გაკეთდა აქცენტი და იმაზე, თუ როგორ ახდენს საზოგადოებაში მიმდინარე ჩვეულებრივი, ნორმალური პროცესები და ნორმები გავლენას წინარწმენაზე (Dovidio 2001). შესაბამისად, კვლევის ფოკუსი ინდივიდიდან უფრო ფართო სოციალურ ჯგუფზე გადავიდა (Pettigrew 1958). ამ მიდგომას, თავის მხრივ, ორი თეორიული მიდგომის გაჩენაც დაეხმარა: პირველი, სოციალური იდენტობის თეორია (SIT) იყო (Tajfel and Turner 1979), რომლის ავტორებმა კვლევებით აჩვენეს, რომ ამა თუ იმ ჯგუფთან უბრალოდ კუთვნილებაც კი საკმარისია, ეს ჯგუფი მოგწონდეს, სხვა კი არა. წინარწმენის „ნორმალურობას“ მეორე მიდგომამაც შეუწყო ხელი, რომელიც ნორმალურ კოგნიტურ პროცესებზე ამახვილებდა ყურადღებას: ყოველდღიური ქარბი ინფორმაციის პირობებში ადამიანებს უჭირთ ინფორმაციის გადამუშავება (Hamilton 1981) და საქმის გასამართლებლად მოკლე გზებს – სტერეოტიპებს – მიმართავენ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანები კოგნიტურად ძუნწები არიან (Fiske and Talyor 1991). ამდენად, „ნორმიდან გადახრილი“ ინდივიდების ნაცვლად, „ნორმალური“ ინდივიდების შესწავლა დაიწყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ე.წ. თვით-ანგარიშის საზომებით, თეთრი ამერიკელების დიდი უმრავლესობა წინარწმენის არ-მქონე იყო მაშინ, როცა რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტები კვლავ დიდ პრობლემად რჩებოდა (Dovidio) (რის მიზეზადაც დასავლურ საზოგადოებაში გაბატონებული თანასწორუფლებიანობის იმპერატივი განიხილება, რომელიც წინარწმენის მქონე ინდივიდს ხელს უშლის, ღიად გამოხატოს დამოკიდებულება (Crandall and Eshleman 2004)). სწორედ ამ შეუსაბამობამ გააჩინა ფარული წინარწმენის გამომხატველი სხვადასხვა ტერმინი, როგორცაა თავის ამრიდებლური (ავერსიული) რასიზმი (Gaertner and Dovidio 1986), თანამედროვე რასიზმი (McConahay 1986), სიმბოლური რასიზმი (Sears 1988), კეთილმოსურნე სექსიზმი (Glick and Fiske 2002), ფარული წინარწმენები (Oskamp and Schultz 2005), უხილავი დისკრიმინაცია (Quillian 2008), ძლივსშესამჩნევი რასიზმი (E. Aronson 2012).

მესამე ტალღის დროს კი, რომელიც 1990-იანების შუა პერიოდში იღებს სათავეს, ახალმა ტექნოლოგიებმა მეტი საშუალება მისცა მკვლევრებს, წინარწმენის სწორედ ასეთი ფარული, არაცნობიერი ფორმების გამოვლითა და გამოვლენით

დაკავებულიყვნენ. მართალია, ამ თანამედროვე საზომებს კრიტიკოსებიც ბევრი ჰყავს (მაგ., Tetlock and Mitchell 2008), მათი გამოყენება მაინც ხდება; ეს საზომები ლატენტური რეაქციების შესამოწმებელ სხვადასხვა პროცედურას (Dovidio and Fazio 1992) გულისხმობს, მათგან ყველაზე ცნობილი კი იმპლიციტური ასოციაციის ტესტია (IAT) (Greenwald, McGhee and Schwartz 1998), რომელსაც არა მხოლოდ მეცნიერები იყენებდნენ, არამედ, იოლი ხელმისაწვდომობის გამო, ის რიგით მომხმარებლებს შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობს (Azar 2008). თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამართლიანი კრიტიკისა და დაბალი სანდოობის და ვალიდობის გამო, შექმნიდან თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ, IAT-მა მკვლევრებში დაკარგა პოპულარობა (Singal 2017). ტექნოლოგიების გარდა, მესამე ტალღის სიახლე ისაა, რომ ყურადღება მახვილდება არა მარტო წინარწმენის მატარებელზე, არამედ წინარწმენის სამიზნეზეც და იმ ურთიერთქმედებაზე, რაც ამ ორ ჯგუფს შორის შეიძლება არსებობდეს და იმ კონტექსტზე, სადაც ეს ურთიერთქმედებები მიმდინარეობს (Dovidio 2001).

1.1.2. წინარწმენის ამხსნელი მოდელები

სოციალურ ფსიქოლოგიაში წინარწმენის ახსნის ბევრი მცდელობა არსებობს, რომელთაგან ზოგი ფენომენის სოციალურ ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას და მას ჯგუფთაშორისი დინამიკის კრილში სწავლობს (მაგ., სოციალური იდენტობის თეორია), ზოგი კი უფრო ინდივიდუალურ სხვაობებზე აკეთებს აქცენტს (იხ. Pettigrew 2000).

მოცემულ ქვეთავში წინარწმენის ამხსნელი ყველა მიდგომა არაა წარმოდგენილი, თუმცა განხილულია მსხვილი თეორიები, რომელთაც სიტუაციურ ფაქტორებსა და, ბოლოს, პიროვნულ მახასიათებლებზე ფოკუსირებული მიდგომები მოსდევს.

1.1.2.1. სოციალური იდენტობის თეორია

სოციალური იდენტობის თეორია (SIT), რომელიც ბრიტანეთში მოღვაწე სოციალურ ფიქოლოგს, ჰენრი ტაიფელსა და ბრიტანელ სოციალურ ფსიქოლოგს, ჯონ ტერნერს ეკუთვნის (Tajfel and Turner 1979), წინარწმენის ამხსნელი თეორიებიდან ალბათ ყველაზე მეტად განეკუთვნება მაკრო-დონის თეორიას, მეორე მხრივ კი ყველაზე

მარტივ წანამძღვრებზე დგას, კერძოდ, ეფუძნება დაშვებას, რომ ჯგუფთან მიკუთვნებულობა საკუთარი თავისა და მე-ხატის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა და საკმარისი წინაპირობა იმისთვის, რომ საკუთარი ჯგუფისადმი დადებითი მიკერძოება გვექონდეს, ხოლო სხვა ჯგუფისადმი – უარყოფითი. საკუთარი ჯგუფისადმი დადებით მიკერძოებას კი საფუძვლად უდევს ადამიანის მოთხოვნილება ემოციურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე (Brewer 2007; იხ. Snellman and Ekehammar 2005).

სოციალური იდენტობა განიმარტება, როგორც „ინდივიდის მე-კონცეფციის ნაწილი, რომელიც აღმოცენდება სოციალური ჯგუფის წევრობის შესახებ ცოდნიდან [...], ისევე, როგორც იმ ღირებულებისა და ემოციური მნიშვნელობიდან, რაც ამ წევრობას ახლავს თან” (Tajfel 1981, 255).

SIT-ი ორ სოციალურ ფსიქოლოგიურ წანამძღვარს ეფუძნება: სოციალურ კატეგორიზაციას (ჩვენ მიდრეკილნი ვართ, სოციალური სამყაროს ორგანიზება კატეგორიებად და კლასებად მოვახდინოთ, რის შედეგადაც, შესაძლოა, კატეგორიის შიდა სხვაობები მინიმუმამდე დავიყვანოთ, ხოლო კატეგორიებს შორის სხვაობები გავამძაფროთ) და სოციალურ შედარებას (საკუთარი თავების უკეთ განსასაზღვრად, ჩვენ მიდრეკილნი ვართ, ჩვენი თავი ან/და ჩვენი ჯგუფი – ჩვენი მოსაზრებები, ღირებულებები, სტატუსი, რესურსები, გარეგნობა და სხვ. – სხვებს შევადაროთ) (Brewer 2007).

SIT-ს წინ ინოვაციური ექსპერიმენტები უძღოდა (Tajfel 1970; Tajfel et al. 1971; Billig and Tajfel 1973; Tajfel and Billig 1974) – ე.წ. მინიმალური ჯგუფის პარადიგმის ექსპერიმენტები, რომლებმაც აჩვენა, რომ საკმარისია, ადამიანები სრულიად პირობითად რაიმე ჯგუფს (მაგ., ჯგუფს „მწვანე” და ჯგუფს „ყვითელი”) მიაკუთვნო, რომ შიდა-ჯგუფური ფავორიტიზმი და გარე-ჯგუფისადმი დიკსრიმინაციული მოპყრობა იჩენს თავს; მართლაც, ამ ექსპერიმენტების მონაწილეები თავისი ჯგუფის წევრებს მეტ ჯილდოს (მაგ., ფულს) უნაწილებდნენ, ვიდრე მეორე ჯგუფს და ეს იმის მიუხედავად, რომ თავიანთ ჯგუფთან არც რაიმე გამოცდილება აკავშირებდათ და ამ ქცევით არც რაიმე პირად სარგებელს იღებდნენ (Brewer 2007).

მინიმალური ჯგუფის პარადიგმის ერთგვარად პესიმისტური შედეგის გასაქარწყლებლად, გარკვეული კვლევები ჩატარდა, რომელთა მიხედვით, ეს პარადიგმა ყოველთვის და მით უფრო, რეალურ ცხოვრებაში, არ მუშაობს (cf. Huddy 2001). ჰოგის თანახმად (2000, 2007), მაგალითად, მართალია, კატეგორიზება ჯგუფთაშორისი დისკრიმინაციისთვის, შესაძლოა, საჭირო წინაპირობა იყოს, მაგრამ არა აუცილებელი, და რომ კატეგორიზების მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა სიტუაცია გაურკვეველია და ადამიანი მოტივირებულია, ეს გაურკვეველობა კატეგორიზებითა და ჯგუფთან იდენტიფიცირებით შეამციროს (Hogg).

SIT-ი მოგვიანებით უფრო განივრცო და მას ისეთი მიდგომები დაემატა, როგორცაა თვით-კატეგორიზების თეორია (SCT) (Turner et al. 1987; Turner et al. 1994) და გარკვეული კამათის საგნად ქცეული თვითშეფასების ჰიპოთეზა (Abrams and Hogg 1988; Rubin and Hewstone 1998; Turner and Reynolds 2001).

თვით-კატეგორიზების თეორიას ორ წვლილს მიაწერენ: მან ჯგუფთაშორის ურთიერთობებში კოგნიტური პროცესების მნიშვნელობას, კერძოდ კი საკუთარი თავის, სხვა ინდივიდის, საკუთარი თუ სხვა ჯგუფის სტერეოტიპიზირებასა და იფორმაციულ გავლენას (ნორმატიულის წინააღმდეგ), მიაქცია ყურადღება, და არა მხოლოდ სოციალურ, არამედ ინდივიდუალურ იდენტობაზე გააკეთა აქცენტი (იხ. Reicher, Spears and Haslam 2010).

რაც შეეხება თვითშეფასების ჰიპოთეზას, მის თანახმად, გარე-ჯგუფის წარმატებული დისკრიმინაცია, ერთი მხრივ, განამტკიცებს სოციალურ იდენტობას და, შესაბამისად, ამადლებს თვითშეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაბალი თვითშეფასება ზრდის გარე-ჯგუფის დისკრიმინაციის სურვილს, ვინაიდან ამ გზით თვითშეფასების განმტკიცებაა შესაძლებელი (იხ. Rubin and Hewstone 1998). ჰიპოთეზის კრიტიკოსთა აზრით, რომელთა შორის თავად ჯონ ტერნერიცაა (Turner 1999), სოციალური იდენტობის თეორიის ჭრილში თვითშეფასებაზე ჩატარებული კვლევების მთავარი ხარვეზი ცნების ოპერაციონალიზაციას უკავშირდება და ნაცვლად იმისა, თვითშეფასება, ამ თეორიის კონტექსტში, სპეციფიკური სოციალური მდგომარეობის

სახით შეისწავლონ, მკვლევრები მას, ძირითადად, გლობალური პიროვნული თვისების სახით სწავლობენ (Rubin and Hewstone).

სოციალური იდენტობის პარადიგმას დღემდე ფართოდ იყენებენ ჯგუფთაშორისი ურთიერთობების სხვადასხვა საკითხის შესასწავლად. მაგალითად, ის გამოყენებულა მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების (Guimond, Dif and Aupy 2002), ევროპაში არსებული სხვადასხვა ხარისხის ანტისემიტური განწყობების (Bergmann 2008), ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეთნიკური რუსებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ წინარწმენების (Minescu, Hagendoorn and Poppe 2008) შესასწავლად; იმის საჩვენებლადაც, რომ ჯგუფთან ძლიერი მიკუთვნებულობა ყოველთვის არ იწვევს შიდა-ჯგუფურ ფავორიტიზმს (Mlicki and Ellemers 1996; Bilewicz and Kofta 2011); და თვით ნაციონალური იდენტობის საკვლევად (Tseung-Wong and Verkuyten 2015).

კვლევათა (მაგ., Branscombe and Wann 1994; Aberson, Healy and Romero 2000; Jetten, Spears and Postmes 2004; Aberson and Gaffney 2008; Bergmann 2008; Morrison and Ybarra 2008) თანახმად, სოციალური იდენტობა მართლაც არის გარე-ჯგუფებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებების წინაპირობა, თუმცა ავტორები (მაგ., Brewer 1999; Brewer 2007), ამავე დროს, ხაზს უსვამენ, რომ შიდა-ჯგუფური სიმპათიები აუცილებლად გარე-ჯგუფურ ანტიპათიასთან არ არის დაკავშირებული და რომ, მაგალითად, მაღალი სტატუსის ჯგუფები უფრო გამოავლენენ დისკრიმინაციულ მიდრეკილებებს, ვიდრე დაბალი სტატუსის ჯგუფები, მეტიც, დაბალი სტატუსის ჯგუფები, შესაძლოა, მაღალი სტატუსის ჯგუფებისადმი დადებითად იყვნენ მიკერძობულნი (Guimond, Dif and Aupy 2002); ასევე, როგორც ეს მინესკუმ და კოლეგებმა რუსეთში ჩატარებული კვლევით (2008) აჩვენეს, მნიშვნელოვანია სოციალური იდენტობის შინაარსიც: როცა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ეთნიკური ჯგუფები იდენტიფიცირებას რუსეთის ფედერაციასთან აკეთებდნენ, მათ დადებითი დამოკიდებულებები ჰქონდათ რუსეთის ფედერაციის (გარე-ჯგუფის) მიმართ, თუმცა თუ საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებთან ახდენდნენ იდენტიფიცირებას, მხოლოდ საკუთარი ჯგუფის (შიდა-ჯგუფის) მიმართ ჰქონდათ დადებითი დამოკიდებულებები (Minescu,

Hagendoorn and Poppe) – შედეგები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ე.წ. ზე-ჯგუფებთან (როგორცაა, მაგალითად, ბელგიელისთვის „ევროპა“) იდენტიფიკაციას გარე-ჯგუფებისადმი წინარწმენის შემცირებაში შეუძლია წვლილის შეტანა (Stephen 2008). ასევე, ძლიერი სოციალური იდენტობა და საკუთარი ჯგუფის შესახებ უარყოფითი სტერეოტიპები არაა ურთიერთგამომრიცხავი (Mlicki and Ellemers 1996) და ასეთი კომბინაციის შემთხვევაში, სოციალური იდენტობა გარე-ჯგუფისადმი უარყოფითი დამოკიდებულებებისთვის ეფექტს კარგავს (Bilewicz and Kofta 2011). მსგავსი მიგნებები სოციალური იდენტობისა და წინარწმენის კავშირის არაუნივერსალურობასა და იმაზე მეტყველებს, რომ ამ კავშირში სხვა – სოციალურ (მაგ., ჯგუფის სტატუსი ან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯგუფთაშორისი კონფლიქტის პრეცედენტი) თუ, სავარაუდოდ, პიროვნებისეულ – ცვლადებსაც აქვთ როლი.

ემპირიული მიზნების გარდა, როგორც ქვემოთაც გამოჩნდება, სოციალური იდენტობის თეორიულ ჩარჩოს წინარწმენისა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ამხსნელი ახალი თეორიული მიდგომების შესამუშავებლადაც ეფუძნებიან (მაგ., Stephen and Stephen 2000; Stephen Ybarra and Morrison 2009; Greenberg, Pyszczynski and Solomon 1986).

1.1.2.2. რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორია

წინარწმენის ამხსნელი კიდევ ერთი მსხვილი თეორია, რომელსაც, SIT-ის მსგავსად, ისეთი მაგისტრალური თეორიები ეყრდნობიან, როგორც ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია (Stephen, Ybarra and Morrison 2009), მუზაფერ შერიფს ეკუთვნის (მაგ., Sherif et al. [1954] 1961; Sherif 1966) და უშუალო კავშირშია შესავალში აღნიშნულ შეჯიბრთან მწირი რესურსებისთვის.

თეორია ხსნის, როგორ ჩნდება ჯგუფთაშორისი მტრულობა და მისი თანამდევი წინარწმენა კონფლიქტური მიზნებისა და შეზღუდულ რესურსებზე შეჯიბრის გამო (Jaccson 1993). მეტიც, ზოგი ავტორის (მაგ., Brewer 1999) აზრით, ამ თეორიაში გატარებული მოსაზრებები ერთგვარად უპირისპირდება SIT-ს და იმის ილუსტრაციაა, რომ შიდა-ჯგუფური ფავორიტიზმი და გარე-ჯგუფის დისკრიმინაცია მხოლოდ იქ

გაჩნდება, სადაც ადგილი აქვს რესურსების გამო რეალისტურ ჯგუფთაშორის კონფლიქტს. საინტერესოა, რომ თეორია გვთავაზობს არგუმენტებს როგორც წინარწმენის მიზეზების, ისე მისი შემცირების საშუალების შესახებ (Sherif 1956; E. Aronson 2012).

თეორია სათავეს იღებს შერიფისა და მისი კოლეგების (Sherif et al. [1954] 1961) ცნობილი ექსპერიმენტიდან, რომელსაც ბიჭების ბანაკის ექსპერიმენტს უწოდებენ. ეს საველე ექსპერიმენტი იყო, რომელშიც 11-12 წლის ბიჭები მონაწილეობდნენ და რომელიც მათთვის ბუნებრივ გარემოში, საზაფხულო ბანაკში ჩატარდა ისე, რომ არც ერთმა ბიჭმა არ იცოდა, კვლევაში რომ იღებდა მონაწილეობას. კვლევამდელი პროცედურებით შერიფმა და კოლეგებმა დაადგინეს, რომ ბიჭები მსგავსი გამოცდილებისანი იყვნენ: „ჯანმრთელები, სოციალურად კარგად ადაპტირებულები, ინტელექტის მხრივ საშუალოზე გარკვეულწილად მაღლა მდგომნი და სტაბილური, თეთრი, პროტესტანტი, საშუალო ფენის ოჯახებიდან” (Sherif 1956, 54).

ბიჭები შემთხვევითი პრინციპით გადაანაწილეს ორ ჯგუფში, რომელთაც „არწივები” და „ჩხრიალა გველები” უწოდეს. თავდაპირველად, ორივე ჯგუფში, ჯგუფშიდა შეკრულობის შესაქმნელად, მათ ისეთი აქტივობების განხორციელებას ავალბდნენ, სადაც საერთო მიზნისთვის თანამშრომლობა და ერთმანეთზე დამოკიდებულება დასჭირდებოდათ (მაგ., თოკის ხიდის აგება, კერძების მომზადება). ამან მართლაც გაზარდა ჯგუფური მიკუთვნებულობისა და შეკრულობის განცდა (Sherif 1956).

მეორე ეტაპზე, ექსპერიმენტატორები ორ ჯგუფს შორის კონფლიქტის გაღვივებას შეუდგნენ, რისთვისაც ჯგუფები სხვადასხვა სახის შეჯიბრებსა და კონკურენტულ აქტივობებში ჩააბეს, რომელთაც რომელიმე ერთი ჯგუფის დაჯილდოვება და წახალისება მოჰყვებოდა (Sherif 1956).

საბოლოოდ, ჯგუფებს შორის კონფლიქტი მართლაც ისე გაღვივდა, რომ მკვლევრებმა მათი შერიგება სცადეს. და ექსპერიმენტის სწორედ ამ ნაწილში ჩანს, თუ როგორაა კონფლიქტისა და წინარწმენების შემცირება შესაძლებელი: საერთო მიზნების მისაღწევად თანამშრომლობით (Dovidio 2001; E. Aronson 2012). ორივე ჯგუფის წევრ

ბიჭებს ისეთ საგანგაშო სიტუაციებში აყენებდნენ, რომ თანამშრომლობის გარდა, სხვა გზა არ რჩებოდათ (მაგალითად, დაზიანებული წყლის სისტემის შეკეთების ერთადერთი გზა თანამშრომლობა იყო), რამაც საბოლოოდ შეამცირა ორ ჯგუფს შორის წარმოქმნილი მტრობა და მეტიც, დაამეგობრა ისინი (Sherif 1956).

ეს ექსპერიმენტი სოციალურ ფსიქოლოგიაში კლასიკურ ნაშრომადაა მიჩნეული, ვინაიდან აჩვენებს, რომ ჯგუფთაშორისი მტრობა და წინარწმენები ერთსა და იმავე რესურსებზე შეჯიბრის დროს იკრებს ძალას.

რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორია დაკიტმა განავცრო (1992) და არა მხოლოდ თანაბარი, არამედ არათანაბარი სტატუსის მქონე ჯგუფებთან კავშირში განიხილა (Duckitt). მისი აზრით, როცა ჯგუფების სტატუსი არათანაბარია, ამან, შესაძლოა, დომინანტი ჯგუფის მხრიდან დაქვემდებარებული ჯგუფის ჩაგვრა გამოიწვიოს, რაზეც დაქვემდებარებულ ჯგუფს ორგვარი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს: პირველ შემთხვევაში, რათა კონფლიქტის გამწვავება აირიდოს თავიდან, დაქვემდებარებული ჯგუფი პასიურად იღებს დომინანტი ჯგუფის დამოკიდებულებებს და, შესაძლოა, მისი ღირებულებებიც კი მიიღოს. მეორე რეაქციას მაშინ აქვს ადგილი, როცა დაქვემდებარებული ჯგუფი მასზე თავსმოხვეულ დაბალ სტატუსზე უარს ამბობს და დომინანტ ჯგუფს მჩაგვრელად აღიქვამს. ასეთ დროს, დომინანტმა ჯგუფმა დაქვემდებარებულის რეაქცია სამართლიანადაც შეიძლება ჩათვალოს და უსამართლოდაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დაქვემდებარებულთა ამბოხს ის მტრულად ხვდება, თუმცა, თუ ეს ამბოხი სამართლიანადაა აღქმული, დომინანტი ჯგუფი დაქვემდებარებულებს ცვლილებათა მოთხოვნის უფლებას აძლევს, რამაც შეიძლება ისეთი მოვლენები განაპირობოს, როგორც 1960-იანების ამერიკის სამოქალაქო მოძრაობა იყო (Duckitt 1992).

რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის ამხსნელი პოტენციალი კროს-კულტურულ კვლევებშიცაა ნაჩვენები (იხ. Khan 2007), საიდანაც ჩანს, თუ როგორ იზრდება ჯგუფთაშორისი მტრობა მაშინ, როდესაც რესურსების დეფიციტია (იხ. Esses, Jackson and Armstrong 1998). ამ თვალსაზრისით, რეალისტური ჯგუფური კონფლიქტი წინარწმენის ერთ-ერთ სიტუაციურ თუ კონტექსტუალურ მიზეზად შეგვიძლია

განვიხილოთ, ვინაიდან რესურსები ყოველთვის არაა შეზღუდული და, შესაბამისად, კონფლიქტს ჯგუფებს შორის ყოველთვის არ აქვს ადგილი (cf. Quillian 1995; 1996).

რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორიის ერთგვარ განშტოებად ან შემავსებლად *განტევების ვაცის თეორია* (იხ. E. Aronson 2012) შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუ პირველი თეორია წინარწმენათა გაჩენის (და შემცირების) უფრო სოციალური ხასიათის მექანიზმს გვთავაზობს, მეორე უფრო ფსიქოლოგიურ მექანიზმზე აკეთებს აქცენტს.

უფრო კონკრეტულად, განტევების ვაცის თეორიის თანახმად, წინარწმენის მიზეზად ჩანაცვლებული აგრესია გვევლინება: ფრუსტრირებულ მდგომარეობაში ადამიანი ეძებს განტევების ვაცს, რომელიც მისი იმედგაცრუების უშუალო წყარო არ არის, მაგრამ „დაბალი ღობეა“, რომლის მიმართაც შეუძლია აგრესია გამოავლინოს (E. Aronson 2012), „დაბალი ღობის“ როლში კი, ჯგუფთაშორისი ურთიერთობების კონტექსტში, ხშირად უმცირესობები და გარე-ჯგუფები არიან.

თეორიას ლაბორატორიული ექსპერიმენტებიც უმაგრებს ზურგს, როცა ფრუსტრირებულმა ცდის პირებმა, ერთ შემთხვევაში, ანტისემიტური წინარწმენები გამოავლინეს (Weatherly 1961), მეორე შემთხვევაში კი რასობრივი (Rogers and Prentice-Dunn 1981).

ამ თეორიის კავშირი რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორიასთან კარგად ჩანს არონსონის (2012) მიერ მოყვანილ მაგალითზე: როცა ქვეყანაში უმუშევრობაა, – ანუ სამუშაო ადგილები (რესურსები) შეზღუდულია და, ამდენად, რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის წინაპირობა არსებობს, – ამით ფრუსტრირებულ ადამიანს სჭირდება ვინმეს დადანაშაულება, მაგრამ ეკონომიკური სისტემა „ზედმეტად ბუნდოვანია“ (E. Aronson, 327), მასზე რომ მიმართოს მთელი აგრესია. შედეგად, ადამიანმა შეიძლება „დაბალი ღობის“ ძებნა დაიწყოს, და მასზე მიიტანოს იერიში (ibid.). ამდენად, სწორედ არაპირდაპირი სახით რეალიზებული აგრესია ხდება წინარწმენის წყარო, ხოლო „ვაცი“ – ამ წინარწმენის სამიზნე. წინარწმენის სამიზნე კი, თავის მხრივ, როგორც უკვე ითქვა, ხშირად დაქვემდებარებული ჯგუფის წარმომადგენელია ან, ყოველ შემთხვევაში, წინარწმენის მქონე სუბიექტზე დაბალი სტატუსისა (იხ. E. Aronson 2012), რომლის

მიმართ მტრული დამოკიდებულებების გამოვლენას განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, როცა ადამიანი საკუთარი სტატუსის მოფრთხილებას ცდილობს (ibid.); მართლაც, კვლევები აჩვენებს, რომ როცა ადამიანის თვითშეფასებას საფრთხე ემუქრება (Fein and Spencer 1997) ან როცა დაბალი ან დაღმავალი სოციალური სტატუსი აქვს (Crocker et al. 1987), ის უფროა მიდრეკილი წინარწმენისკენ. ერთ-ერთი ექსპერიმენტის (Cadinu and Reggiori 2002) თანახმად კი ფსიქოლოგიის სტუდენტებმა, რომელთა სტატუსს საფრთხე გარე-ჯგუფმა (მედიცინის სტუდენტებმა) შეუქმნა, სხვა, უფრო დაბალი სტატუსის მქონე გარე-ჯგუფის (სოციალური მუშაკი სტუდენტების) დისკრიმინაცია დაიწყეს. ამდენად, წინარწმენის ერთ-ერთ წყაროდ *სოციალური სტატუსი და მისი შენარჩუნებისა თუ განმტკიცების სურვილიც* განიხილება (E. Aronson).

1.1.2.3. ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია

ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია (Stephan, Ybarra and Morrison 2009) ბოლო პერიოდში დამუშავებული ერთ-ერთი პოპულარული მსხვილი თეორიაა, რომელსაც თავდაპირველად ინტეგრირებული საფრთხის თეორია (Stephan and Stephan 2000) ერქვა.

თეორია, გარკვეულწილად, სოციალური იდენტობის თეორიას (Tajfel and Turner 1979) ემყარება და ფილოსოფიასა და ანთროპოლოგიაში გავრცელებულ თეორიულ თუ ემპირიულ მოსაზრებებს (მაგ., Ward 1959; Douglas 1966), რომელთა თანახმად, ადამიანები, თავისი არსით, „კლანურები“ არიან, ამ „კლანების“ წევრობა კი მათ ადათებით, ტრადიციებით თუ ძირითადი რესურსებით უზრუნველყოფს, რაც მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „კლანების“ საზღვრების დარღვევა ან ამის მცდელობა გარე-ჯგუფის მხრიდან სერიოზულ საფრთხედ აღიქმება (Stephen, Ybarra and Morrison 2009), ეს კი, თავის მხრივ, წინარწმენებს ამწვავებს. მეტიც, ადამიანებს ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ, აღიქვან საფრთხე მაშინაც, როცა ის რეალურად არ არსებობს (Stephen et al.).

ამ მოსაზრებების საფუძველზე, სტივენნი და კოლეგები (2009) ორი სახის საფრთხეს გამოყოფენ: რეალისტურს, რომელიც, თეორიების ავტორებისვე თქმით

(Stephen and Renfro 2002), ზემოთ განხილული რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორიიდან (Sherif 1966) არის ნასესხები, და სიმბოლურს, რომლის შესახებაც სხვა ტერმინებით, თუმცა ჯერ კიდევ ადორნო (1950) და ოლპორტი ([1954] 1979) წერდნენ (Stephen and Renfro). ვინაიდან სწორედ რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები წარმოადგენს მოცემული კვლევის ცვლადებს, მათზე უფრო დეტალურად მოგვიანებით ვილაპარაკებ. თუმცა, აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საფრთხეს როგორც მოცემული ნაშრომი, ისე რიგი მკვლევრები (Quillian 1995; იხ. Hjerem 2007; cf. Cohrs and Ibler 2009) სიტუაციური დონის ცვლადად განიხილავს, მიუხედავად იმისა, რომ თავად თეორიის ავტორები საფრთხის აღქმებზე (და, შესაბამისად, მის ერთგვარ სუბიექტურობაზე) ამახვილებენ ყურადღებენ (მაგ., Stephen and Stephen 1996; Stephen, Ybarra and Morrison 2009); ამ თვალსაზრისით, ისინი არა ე.წ. „რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორიის“ სკოლას განეკუთვნებიან, – როგორც, მაგალითად, ბობო (Bobo 1983), – რომლის თანახმადაც, გარე-ჯგუფებისადმი წინარწმენები რეალური გამოცდილებებისა და რეალური კონფლიქტური ინტერესების შედეგია, არამედ საფრთხის შემსწავლელ სკოლას, რომელიც ამბობს, რომ „მნიშვნელობა არ აქვს, საფრთხეები რეალურია თუ არა, მთავარია, ისინი ასეთად იყოს აღქმული“ (Hjerem 2007, 1255).

1.1.2.4. ტერორის მართვის თეორია

მტრული დამოკიდებულებების კიდევ ერთ, სიღრმეებში მიმავალ ახსნას ტერორის (შიშის) მართვის თეორია (TMT) (Greenberg, Pyszczynski and Solomon 1986; Solomon, Greenber and Pyszczynski 1991) იძლევა. ეს თეორია სათავეს იმ ხანგრძლივი ისტორიის მქონე თეორიული ტრადიციიდან იღებს, რომელიც იკვლევს ადამიანების მიერ საკუთარი მოკვდავობის გაცნობიერებასა და მის როლს ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებაში (Greenberg and Arndt 2011).

TMT-ის მიხედვით, ადამიანის მუდმივი შიში გარდაუვალი სიკვდილის წინაშე მთავარი მიზეზია, რის გამოც ის სულ საზრისის ძიებისა და მნიშვნელობათა მინიჭების პროცესშია, ხოლო სიკვდილისადმი შიშის შემცირების მიზნით, სხვადასხვა დიდ

კულტურულ ფენომენტან, განსაკუთრებით კი რელიგიურ (მაგ., ეკლესიასთან) და ნაციონალურ (მაგ., სამშობლოსთან) ფენომენტან ახდენს იდენტიფიცირებას, რადგანაც ისინი უკვდავების ილუზიას მეტ-ნაკლებად კვებავს.

მართლაც, კვლევები აჩვენებს (მაგ., Hohman and Hogg 2011), რომ სიკვდილის გარდაუვლობით გამოწვეული გაურკვევლობისა და შფოთვის განცდა ასეთ ფართო სოციო-კულტურულ ჯგუფებთან იდენტიფიკაციას აძლიერებს, მძლავრი შიდა-ჯგუფური იდენტობა კი, თავის მხრივ, სხვა ჯგუფებისადმი მტრულ დამოკიდებულებებს წარმოშობს (Jost et al. 2003) – მიგნება, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სოციალური იდენტობის თეორიის (Tajfel and Turner 1979) რელევანტურობას სოციალურ ფსიქოლოგიაში.

ასევე, ტერორის მართვის თეორიის ჭრილში ჩატარებული კვლევის (Greenberg and Kosloff 2008) თანახმად, წინარწმენა, სტერეოტიპიზირება და აგრესია გარე-ჯგუფების მიმართ (ისევე, როგორც ქარიზმატული ლიდერების მხარდაჭერა) მაშინ იზრდება, როცა ადამიანებს თავიანთ მოკვდავობას შეახსენებენ. ამავნაირად, ტერორის მართვის თეორიასთან თანხვედრაში, სხვა კვლევამ (Das et al. 2009) აჩვენა, რომ როცა ახალი ამბები ტერორიზმის შესახებ სიკვდილთან დაკავშირებულ აზრებს აღმოაცენებს, ამ აზრებს გარე-ჯგუფის წევრთა მიმართ წინარწმენის გაძლიერებამდე მივყავართ.

ამ კვლევათა შედეგებს ტერორის მართვის თეორიის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, ზოგადად, ზურგს უმაგრებს და მიუთითებს, რომ მოკვდავობის განცდა ზრდის უარყოფით დამოკიდებულებებს „ამა თუ იმ სხვათა მიმართ და ამძაფრებს მარტივ „ჩვენ კარგები ვართ, ისინი ბოროტები არიან“ მსოფლაღქმებსა და სურვილს, თავიდან მოვიშოროთ ისინი, ვისაც ბოროტებად აღიქვამთ“ (Greenberg and Arndt 2011, 409).

1.1.2.5. კონტაქტის ჰიპოთეზა

წინარწმენასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ყველაზე გამოკვეთილად სიტუაციური დონის ცვლადის რანგში ჯგუფთაშორისი კონტაქტია განხილული (მაგ., Allport [1959] 1979).

ამდენად, კონტაქტის ჰიპოთეზას, რომელიც სათავეს საკითხისადმი ოლპორტის (1954) დაინტერესებიდან იღებს, და რომელსაც ჯგუფთაშორისი კონტაქტის თეორიასაც უწოდებენ, წინარწმენის კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ კონტაქტი წინარწმენის შემცირების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა (მაგ., Hindriks, Verkuyten and Coenders 2014). პეტიგრუსა და ტროპის თანახმად (2008), 515 კვლევის მეტა-ანალიზი აჩვენებს, რომ კონტაქტსა და წინარწმენის შემცირებას შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობს (Perrigrew and Tropp).

ბოლოდროინდელი კვლევები ამ მხრივ განსაკუთრებით იმედისმომცემია (Hindriks, Verkuyten and Coenders 2014): კონტაქტი ერთ ჯგუფთან, შესაძლოა, გადატანილ იქნეს სხვა ისეთ ჯგუფებზეც, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართულნი ამ კონტაქტში (Pettigrew 2009). და მართლაც, კვლევები ამას ადასტურებს (Eller and Abrams, 2004; Van Laar et al. 2005; Tausch et al. 2010).

წინარწმენაში კონტაქტის როლით დაინტერესებული პირველი მკვლევრები (მაგ., Allport [1954] 1979) ემყარებოდნენ მოსაზრებას, რომ კონტაქტი ხელს უწყობს გარე-ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მიღებას, ინფომირმირებულობა კი, თავის მხრივ, წინარწმენას ამცირებს. მაგრამ გვიანდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ კონტაქტი არ არის საკმარისი წინაპირობა წინარწმენის შემცირებისა, მეტიც, თუ კონტაქტი ამცირებს წინარწმენას, წინარწმენასაც მსგავსადვე შეუძლია შეამციროს კონტაქტი (Binder et al. 2009). არონსონის (2012) სიტყვებით, „ისტორიის მანძილზე, მრავალ თეთრკანიანს ჰქონია შავკანიანებთან ბლომად კონტაქტი, მაგრამ, როგორც წესი, იმგვარ სიტუაციებში, სადაც შავკანიანები ხელქვეითთა როლებს ასრულებდნენ – მონების, შვეიცარების, ჭურჭლის მრეცხავების, ფეხსაცმლის მწმენდავების, სამრეცხაოების მოსამსახურეთა და მოახლეთა როლებს. ამ ტიპის კონტაქტი მხოლოდ თეთრკანიანების მიერ შავკანიანთა სტერეოტიპიზირების გაზრდას თუ ემსახურება და ამრიგად, მხოლოდ ცეცხლს უნთებს შავკანიანთა წინააღმდეგ მიმართულ წინარწმენას” (E. Aronson 2012, 338).

აქედან გამომდინარე, ჯგუფთაშორისი კონტაქტის თეორიაში ყურადღება მიექცა არა ნებისმიერი, არამედ თანაბარ-სტატუსებრივი კონტაქტის მნიშვნელობას (E. Aronson 2012). დაიწყეს, ასევე, იმ შუალედური ცვლადების შესწავლაც, რაც კონტაქტსა და

წინარწმენის შემცირებას შორის კავშირს ზრდის (მაგ., Levin, van Laar and Sidanius 2003; Paolini et al. 2004). ამასთან, პეტიგრუმ და ტროპმა (2008) 515 კვლევის მეტა-ანალიზით აჩვენეს, რომ კონტაქტსა და წინარწმენას შორის მნიშვნელოვანი მედიატორები გარე-ჯგუფის შესახებ ცოდნის მიღება, ჯგუფთაშორის კონტაქტთან დაკავშირებული შფოთვის შემცირება და ემპათიისა და სხვისი პერსპექტივის მიღების ზრდაა (Pettigrew and Tropp 2008).

1.1.2.6. კონფორმულობა

კონფორმულობა, რომელიც წინარწმენის ერთ-ერთ წყაროდ არის მიჩნეული (E. Aronson 2012), სიტუაციური და პიროვნული ფაქტორების გასაყარზე შეიძლება განვიხილოთ. ერთი მხრივ, ზოგი ადამიანი უფროა მიდრეკილი კონფორმული ქცევებისკენ (მაგ., Schwartz et al. 2012) და ზოგიერთი პიროვნული თვისება, როგორც, მაგალითად, დაბალი თვითშეფასებაა, უფრო მეტად ხდის ადამიანებს კონფორმულებს (E. Aronson), მეორე მხრივ კი, როგორც კვლევებითაც იქნა ნაჩვენები (მაგ., Asch 1951; Schachter and Singer 1962; E. Aronson and O'Leary 1982) კონფორმული ქცევები სიტუაციის კარნახით აღმოცენდება, კერძოდ კი მაშინ, როცა ეს სიტუაცია ემოციურად (ნორმატიული გავლენა) ან ინფორმაციულად (ინფორმაციული გავლენა) ორაზროვანია (იხ. E. Aronson). ამასთან, კონფორმულობაზე ისეთი უფრო ფართო დონის სიტუაციური ცვლადებიც მოქმედებს, როგორც კულტურული სხვაობებია: ბონდისა და სმითის მეტა-ანალიტიკური კვლევის (1996) თანახმად, კონფორმული ტენდენციები, მაგალითად კოლექტივისტურ კულტურებში უფრო ჭარბობს, ვიდრე ინდივიდუალისტურ კულტურებში (Bond and Smith).

პეტიგრუს (1958) აზრით, მართალია, წინარწმენაზე ბევრი სხვა (მათ შორის, ზემოთ განხილული) ფაქტორი შეიძლება მოქმედებდეს, მაგრამ მას, მნიშვნელოვანწილად, საფუძვლად სწორედ სოციალური ნორმებისადმი მორჩილება უდევს (Pettigrew).

ასე, მაგალითად, კვლევამ (იხ. E. Aronson 2012) აჩვენა, რომ სამხრეთ აფრიკაში, სადაც რასობრივი დამაბულობის კლიმატია, იმ ადამიანებს, ვინც, ზოგადად, ბევრ

სოციალურ ნორმას ემორჩილებოდა, უფრო მაღალი წინარწმენა ჰქონდათ. არონსონის სიტყვებით, „თუ კონფორმისტებს უფრო მეტად აქვთ წინარწმენები, წინარწმენა, შესაძლოა, კიდევ ერთი რამ იყოს, რის მიმართაც კონფორმულობას ავლენენ” (ibid., 334).

ამდენად, ჯგუფთაშორისი კონფლიქტების გაღვივებისთვის ისეთი საზოგადოებები უფრო ქმნის ნიადაგს, სადაც მტრული განწყობები წაქეზებულია, ნორმად ქცეული და რიგ შემთხვევებში – ინსტიტუციონალიზებული (იხ. E. Aronson 2012).

საგულისხმოა ისიც, რომ ჯენისის (1982) აზრით, კონფორმულობის ერთ-ერთი გამოვლინება – ჯგუფური აზროვნება ყველაზე მძლავრი საფრთხის პერიოდებშია (Janis), ხოლო ფესტინგერის (1954) თანახმად, ადამიანები მაშინ უფრო მიდრეკილნი არიან, დაეყრდნონ სოციალურ რეალობას, როცა ფიზიკური რეალობა ბუნდოვანი და გაურკვეველი ხდება (Festinger), რაც კვლავ იმას მიუთითებს, რომ ადამიანები კონფორმულობას სწორედ უფრო გაურკვეველ სიტუაციებში გამოავლენენ (E. Aronson) და, წინარწმენაც, მეტი ალბათობით სწორედ ასეთ არამკაფიო, არასტაბილურ ვითარებებში გაღვივდება.

1.1.2.7. პიროვნული მახასიათებლები

წინარწმენაზე მოქმედი პიროვნული ფაქტორები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ფაქტორებად, რომლებიც ხელს უწყობს წინარწმენის აღმოცენებას (ანუ წინარწმენასთან დადებითადაა დაკავშირებული) და ფაქტორებად, რომლებიც ამცირებს წინარწმენას (ანუ წინარწმენასთან უარყოფითადაა დაკავშირებული).

წინარწმენის მაპროვოცირებელ ორ ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნულ წყაროდ *ავტორიტარიზმი* და *სოციალური დომინანტობის ორიენტაცია (SDO)* მიიჩნევა. მეტიც, წინარწმენის პროგნოზირების მაღალი მაჩვენებლების გამო, მაკფარლანდი (2010) ამ ორს „მომაკვდინებელ კავშირად” (McFarland, 454) განიხილავს, ალტემეიერი (1998) კი წერს, რომ „თუ გვინდა, ავხსნათ წინარწმენის მრავალი ფორმა [...] *პიროვნების ორ ტიპთან გვექნება, პრაქტიკულად, საქმე* [კურსივი ავტორისაა]: სოციალურ დომინანტთან და მემარჯვენე ფრთის ავტორიტართან” (Altemeyer, 60).

ავტორიტარიზმი, რომელიც მკვლევრებში მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმის (RWA) (Altemeyer 1981) სახელით არის ცნობილი, სათავეს ამ თავის დასაწყისში განხილული ავტორიტარი პიროვნების ცნებიდან (Adorno et al. 1950) იღებს; მისი ძირები ბავშვობაში, კერძოდ, დასჯით გაჯერებულ აღზრდის სტილში უნდა ვეძიოთ, რომელიც დაუცველობისა და საფრთხის გამდაფრებულ განცდებს აღმოაცენებს, ამ განცდების შესამცირებლად კი ინდივიდი ავტორიტეტებისა და სოციალური ნორმებისადმი ჭარბ მორჩილებას ავლენს (McFarland 2010).

ადორნოსა და კოლეგების მიერ 1947 წელს შემუშავებული ავტორიტარიზმის საზომი, F-სკალა იმდენად მაღალ კორელაციაში იყო ამავე ავტორების შექმნილ ეთნოცენტრიზმის სკალასთან (Adorno et al. 1950), რომ 1950-იანებში ავტორიტარიზმი ე.წ. განზოგადებული წინარწმენის ამხსნელ ლამის ერთადერთ პიროვნულ ფაქტორად განიხილებოდა (McFarland 2010).

თუმცა, სხვა, მათ რიცხვში, ზემოთ განხილული თეორიული მიდგომების გაჩენასთან ერთად, ამ კონსტრუქტისადმი ინტერესი მინელდა (McFarland 2010).

ათწლეულების შემდეგ, ალტემეირის (1981) მიერ კონსტრუქტისა და მისი საზომის (მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმის სკალის) დახვეწის კვალდაკვალ, კონსტრუქტს კვლავ მიუბრუნდნენ და დღეს ის ფართოდ გამოიყენება წინარწმენასა (მაგ., Stephen and Renfro 2002; Cohrs and Ibler 2009) და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფენომენის შესასწავლად, როგორცაა, მაგალითად, მსოფლალქმა და იდეოლოგიური განწყობები (მაგ., Duckitt and Fisher 2003), პოლიტიკური კონსერვატიზმი (მაგ., Jost et al. 2003), რეაქციონიზმისა და სამხედრო მოქმედებების მხარდაჭერა (McFarland, Ageyev and Abalakina-Paap 1992); ამ მხრივ, – იდეოლოგიური თვალსაზრისით, – საინტერესოა, რომ ავტორიტარიზმი განსხვავებულად მოქმედებს დასავლეთსა და აღმოსავლეთში, კერძოდ აშშ-სა და რუსეთში: თუ რუსეთში ავტორიტარიზმი სოციალისტურ თანაბარუფლებიანობას, მათ შორის, მარქსისტულ-ლენინისტურ იდეოლოგიას, წინასწარმეტყველებდა, აშშ-ში საპირისპირო სურათი მიიღეს (ibid.) – ამერიკელი ავტორიტარები, როგორც წესი, ანტი-კომუნისტები არიან (E. Aronson 2012).

ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ავტორიტარიზმის საზომს ხშირად არა პიროვნული მახასიათებლის, არამედ იდეოლოგიური და პოლიტიკური განწყობების ინსტრუმენტად განიხილავენ (Goertzel 1987; Stone, Ledere and Christie 1993; Feldman and Stenner 1997; Verkuyten and Hagendoorn 1998; Saucier 2000; Duckitt and Fisher 2003). მიუხედავად ამისა, თავად ავტორიტარიზმი მაინც პიროვნულ მახასიათებლად მიიჩნევა (მაგ., Cohrs and Ibler 2009; McFarland 2010; E. Aronson 2012) – „წინარწმენისადმი ინდივიდუალური სხვაობების მიდგომის ცენტრალურ კონსტრუქტად“ (Cohrs and Ibler, 81), რომელიც გულისხმობს ავტორიტეტისადმი მორჩილებას, კონვენციონალიზმს, ტრადიციული სოციალური ნორმების რიგიდულ ერთგულებას და ამ ნორმების დამრღვევთა მიმართ ძალის გამოყენებს მხარდაჭერას (მაგ., Altemeyer 1981; Cohrs and Ibler, 2009; Duckitt et al. 2010; Dunwoody and McFarland 2017).

„მომაკვდინებელი კავშირის“ მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი შედარებით ახალი კონსტრუქტი, *სოციალური დომინანტობის ორიენტაცია (SDO)* (Pratto et al. 1994; Sidanius and Pratto 1999). სოციალური დომინანტობის თეორიის თანახმად, ყველა თანამედროვე საზოგადოება იერარქიულადაა მოწყობილი ისე, რომ შესაძლებელი ხდება, გამართლება მოუვუძებნოთ, თუ რატომაა ძალაუფლება და რესურსები არათანაბრად განაწილებული – დომინანტური ჯგუფების სასარგებლოდ წინააღმდეგ დაქვემდებარებული ჯგუფებისა (Sidanius and Pratto 1999). შესაბამისად, სოციალური დომინანტობა განიმარტება, როგორც „დონე, რა ზომითაც ადამიანს აქვს სურვილი, თავისი ჯგუფი დომინირებდეს სხვა ჯგუფზე და მასზე აღმატებული იყოს“ (ibid., 67) ან კი ზოგად ორიენტაციად, რომელიც ასახავს, რამდენად ანიჭებს უპირატესობას ადამიანი ასეთ იერარქიულ, არათანასწორ ჯგუფთაშორის ურთიერთობებს, თანასწორ ურთიერთობებთან შედარებით (ibid.). ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც სოციალური იერარქიების შენარჩუნებას უწყობს ხელს, მალეგეტიმიზირებელი მითებია (ibid.; იხ. ჯავახიშვილი, ბერუაშვილი და კლდიაშვილი 2006), რაც სტერეოტიპების ერთგვარ სინონიმადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ: თუ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რომელიმე ჯგუფი რაიმე უარყოფითი თვისების მატარებელია, ამ თვისებით შესაძლებელი ხდება, გავამართლოთ ამ ჯგუფისადმი უარყოფითი ემოციები (Asbrock et

al., 2011) და სწორედ ამავე გზით ხდება იერარქიების ლეგიტიმაცია (Jost and Banaji 1994; Sidanius and Pratto).

იერარქიული სტრუქტურების მხარდაჭერა, ლოგიკურად, დომინანტურ ჯგუფებში უფრო მაღალია. მართლაც, კვლევების თანახმად, კაცებს უფრო მაღალი SDO აქვთ, ვიდრე ქალებს ისევე, როგორც მაღალი სტატუსის ჯგუფებს დაბალი სტატუსის ჯგუფებთან შედარებით (Sidanius and Pratto 1999).

ავტორიტარიზმის მსგავსად, SDO-ც მნიშვნელოვნადაა წინარწმენასა (მაგ., McFarland 2010) და მასთან ასოცირებულ ფენომენებთან დაკავშირებული, მათ შორის, იმიგრაციისადმი უარყოფით დამოკიდებულებებსა და ომის მხარდაჭერასთან (Pratto et al. 1994; McFarland 2005; Dunwoody et al. 2014).

ავტორიტარიზმის საზომის მსგავსადვე, SDO-ს სკალასაც (Pratto et al. 1994), რიგ შემთხვევებში, უფრო იდეოლოგიური და პოლიტიკური რწმენების საზომად მიიჩნევენ (Duckitt and Fisher 2003), ვიდრე პიროვნული თვისებისა.

ავტორიტარიზმსა და SDO-ს შორის მსგავსების და იმის მიუხედავად, რომ ორივე მათგანი წინარწმენისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების მნიშვნელოვანი პრედიქტორია, ისინი, რიგი კვლევების თანახმად, ხშირად ან არ კორელირებს ერთმანეთთან, ან სუსტ კორელაციაშია (Altemeyer 1998; Sidanius and Pratto 1999; იხ. McFarland 2010). ასევე, მართალია, ორივე მათგანი მჭიდროდ უკავშირდება უსაფრთხოების ღირებულებას, ავტორიტარიზმი მეტადაა დაკავშირებული ტრადიციისა და კონფორმულობის ღირებულებებთან, ხოლო SDO – ძალაუფლებისა და მიღწევის ღირებულებებთან (Cohrs et al. 2005). ამასთან, ერთმა კვლევამ (Whitley 1999) ისიც აჩვენა, რომ ავტორიტარიზმი უფრო ძლიერად პროგნოზირებდა ანტი-გეი დამოკიდებულებებს, ვიდრე რასობრივ წინარწმენებს მაშინ, როცა SDO-ს შემთხვევაში საპირისპირო ტენდენციები გამოვლინდა (ibid.).

მიუხედავად ამისა, ავტორიტარიზმიცა და SDO-ც ყველა სახის წინარწმენის ყველაზე უკეთ ამხსნელ პიროვნულ კონსტრუქტებად რჩება (McFarland 2010).

წინარწმენასთან კავშირში მყოფ კიდევ ერთ პიროვნულ მახასიათებლად ე.წ. *სიცხადის მოთხოვნილება (need for closure)*, იგივე სიცხადის კოგნიტური მოთხოვნილება (need for cognitive closure) (Kruglanski 1990) განიხილება.

სიცხადის მოთხოვნილება განიმარტება, როგორც გაურკვეველობისა და ორაზროვნების ვერ-ატანა და სურვილი, ცხადი, მკაფიო პასუხები მიიღო (Kruglanski 1990). ის ისეთ ცნებებს ენათესავება, როგორცაა დოგმატიზმი, ორაზროვნების აუტანლობა, რწმენა ადამიანის ბუნების უცვლელობაში (Oskamp and Schultz 2005).

კვლევათა სერიაში (Shah, Kruglanski and Thompson 1998) აჩვენა, რომ სიცხადის მაღალი მოთხოვნილების მქონე ადამიანები უფრო მაღალი შიდა-ჯგუფური იდენტიფიკაციით გამოირჩევიან, რისი მიზეზიც, კვლევის ავტორების აზრით, ისაა, რომ ამ თვისების მატარებელი ადამიანებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სტაბილური სოციალური რეალობა, ასეთ რეალობას კი შიდა-ჯგუფი უზრუნველყოფს, ხოლო შიდა-ჯგუფური იდენტობა, თავის მხრივ, გარე-ჯგუფების დისკრიმინაციასა და მათთან დისტანცირების სურვილს წარმოქმნის (ibid.) – ემპირიულად შემოწმებული მოსაზრება, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჯგუფის „ეპისტემოლოგიურ ფუნქციას“ (ibid., 383) მისი წევრებისათვის.

მართლაც, ზემოთ აღნიშნულმა კვლევათა სერიაში (Shah, Kruglanski and Thompson 1998) დაადასტურა სიცხადის მოთხოვნილებასა და წინარწმენას შორის კავშირი: სამივე კვლევამ აჩვენა, რომ სიცხადის მაღალი მოთხოვნილება ზრდიდა შიდა-ჯგუფურ ფავორიტიზმსა და გარე-ჯგუფის დისკრიმინაციის ტენდენციებს (ibid.).

სიცხადის მოთხოვნილება, შესაძლოა, სიტუაციისამებრ იცვლებოდეს, მაგალითად, იზრდებოდეს ბუნდოვანი, უსიამოვნო სიტუაციების დროს, როგორცაა დროში შეზღუდულობა (Kruglanski and Freund 1983; Kruglanski and Webster 1991), ხმაური (Kruglanski, Webster and Klem 1993) ან მენტალური გადაღლა (Webster, Richter and Kruglanski 1996). მიუხედავად ამისა, როგორც *სიტუაციურად მანიპულირებულს*, ისე *პიროვნული დისპოზიციის სახით გაზომილს*, მას მაინც მსგავს შედეგები მოსდევს (Jost et al. 2003) და ამ შედეგებიდან ერთ-ერთი გარე-ჯგუფის სტერეოტიპიზირებაა (Kruglanski and Freund 1983).

სიცხადის მოთხოვნების როლი წინარწმენაში უფრო ახალი კვლევებითაცაა შემოწმებული. მაგალითად, ბრანდტისა და რეინას (2010) კვლევაში ის ფუნდამენტალიზმთან იყო კავშირში და, ამავე დროს, მედიაციას ახდენდა ფუნდამენტალიზმსა და ლესბოსელების და გეიების მიმართ წინარწმენას შორის (Brandt and Reyna).

წინარწმენის ინდივიდუალურ სხვაობებზე ფოკუსირებულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია *ემპათიას* (მაგ., McFarland 2010; E. Aronson 2012), როგორც ცვლადს, რომელიც წინარწმენას უარყოფითად წინასწარმეტყველებს. ასეთივე ფუნქცია აქვს მის მონათესავე ცნებას, *სხვისი პერსპექტივის მიღებას* (Davis 1983). მართლაც, კვლევებით ნაჩვენებია, რომ ემპათია და სხვისი პერსპექტივის მიღება წინარწმენის დაბალ დონესთანაა კავშირში, მაგალითად, ჰომოსექსუალების მიმართ (Johnson, Brems and Alford-Keating 1997); ასევე, ნაჩვენებია, რომ ექსპერიმენტული ჩარევის გზით გაზრდილი ემპათია უფრო დადებით დამოკიდებულებებს იწვევდა სტიგმატიზირებული ჯგუფის მიმართ (Batson et al. 1997).

ემპათიაზე ყურადღების გამახვილება წინარწმენაში გენდერული სხვაობების აღმოჩენას მოჰყვა (McFarland 2010): კაცები, ქალებთან შედარებით უფრო მეტად ავლენდნენ წინარწმენას (Altemeyer 1998; იხ. McFarland). ემპათია კი სწორედ ერთ-ერთი ისეთ პიროვნულ მახასიათებლად მიიჩნიეს, რომელსაც ამ გენდერული სხვაობის ახსნა შეეძლო, ვინაიდან ემპათიის დონე ქალებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე კაცებს (მაგ., Cohen and Strayer 1996).

მაკფარლანდის (2010) კვლევაში, რომელშიც წინარწმენის პიროვნული კორელატები ამომწურავადაა შესწავლილი, ავტორიტარიზმსა და SDO-სთან ერთად, სწორედ ემპათია გამოვლინდა წინარწმენის მნიშვნელოვან, თუმცა, ამ შემთხვევაში, ცხადია, უარყოფით პრედიქტორად (McFarland).

ამავე კვლევაში (McFarland 2010) გამოჩნდა, რომ წინარწმენის მეოთხე, ასევე უარყოფითი მნიშვნელოვანი პრედიქტორი *პრინციპული მორალური მსჯელობა* იყო. ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც „მორალური მსჯელობა, რომელიც სცდება როგორც პირად ინტერესებს, ისე საზოგადოებაში არსებული კონვენციური ნორმების

გათვალისწინებას და ისეთი აბსტრაქტული ეთიკური პრინციპების ძიებაშია, რომლებიც მთელი კაცობრიობისთვის სამართლიანი იქნება” (McFarland, 464). კვლევათა (მაგ., Rest et al. 1999; McFarland and Mathews 2005) თანახმად, პრინციპული მორალური მსჯელობა ადამიანის უფლებების მხარდაჭერის პრედიქტორია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინარწმენის შემცირებაში (McFarland 2010).

მაკფარლანდის (2010) დასკვნით, ემპათია წინარწმენის შემცირების ემოციურ საფუძველს იძლევა, პრინციპული მორალური მსჯელობა კი რაციონალურს.

ამავე დროს, ემპათიის, უფრო ზუსტად კი სხვისი პერსპექტივის მიღების ცნება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, საშუალებას იძლევა, წინარწმენა განვითარების ფსიქოლოგიის ჭრილშიც დავინახოთ. შესაძლებელია, ამ ფენომენსა და პიაჟეს (1956) განვითარების სტადიებს, კერძოდ, ეგოცენტრულ სტადიას (Piaget and Inhelder 1956), შორის პარალელების გავლება. განვითარების ეგოცენტრული სტადიის ილუსტრირება ავტორებმა თავიანთი ცნობილი ექსპერიმენტით, ე.წ. სამი მთის ამოცანით (ibid.) შემოგვთავაზეს. ექსპერიმენტში ბავშვს მაგიდასთან სვამდნენ, სადაც მთის სამი მოდელი იყო წარმოდგენილი და სამივე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან როგორც ზომით, ისე სხვა მახასიათებლებით. ბავშვს მოდელების ზედმიწევნით დათვალიერების საშუალება ეძლეოდა. ამის შემდეგ, მაგიდის სხვა მხარეს, მთის ერთ-ერთი მოდელის წინ თოჯინას სვამდნენ და ბავშვს მთის მოდელების 10, სხვადასხვა კუთხიდან გადაღებულ ფოტოს აძლევდნენ, რათა ამოერჩია, რომელი პერსპექტივიდან ხედავდა მთას თოჯინა. აღმოჩნდა, რომ განვითარების ეგოცენტრულ საფეხურზე მყოფი, ანუ 4 წლის, ბავშვები იმ ფოტოს ირჩევდნენ, რომელიც მათივე პერსპექტივას შეესაბამებოდა და არა თოჯინისას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ კაცებს, რომელთაც ქალებთან შედარებით უფრო მაღალი აქვთ წინარწმენა (მაგ., Altemeyer 1998), უფრო მაღალი აქვთ ეგოცენტრიზმთან მონათასევე ნარცისიზმიც (Gabriel, Critelli and Ee 1994).

განვითარების დონის ერთგვარ ეკვივალენტად წინარწმენის კვლევებში განათლება გამოიყენება. განათლების დონე წინარწმენის უარყოფით კორელატადაა მიჩნეული (იხ. Pettigrew 2000). მართლაც, მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევების თანახმად, განათლების დონესა და წინარწმენას შორის კავშირი არსებობს

(Zick, Pettigrew and Wagner 2008): განათლების უფრო დაბალი დონე წინარწმენის უფრო მაღალ დონესთანაა დაკავშირებული (მაგ., Wagner and Zick 1995). ნაჩვენებია ისიც, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ნაკლებად არიან შიდა-ჯგუფური ფავორიტიზმისკენ მიდრეკილნი, ვიდრე უფრო დაბალი განათლების მქონენი (იხ. Coenders and Scheepers 2003).

ასევე, 22 ქვეყნის მონაცემთა გაანალიზების საფუძველზე, აღმოჩენილია კავშირი განათლების დაბალ დონესა და ეთნიკურ დისკრიმინაციას და შოვინიზმს შორის (Coenders and Scheepers 2003), თუმცა ამავე კვლევით ირკვევა, რომ განათლების ეფექტი ეთნიკურ დისკრიმინაციაზე ახალ დემოკრატიებში უფრო სუსტია (ibid.), რის მიზეზადაც კვლევის ავტორები განათლების სისტემათა შორის სხვაობებს ასახელებენ; კერძოდ, დემოკრატიული ტრადიციის მქონე ქვეყნებში ეს სისტემა ისეა მოწყობილი, რომ განათლების მიმღებებს დემოკრატიული ღირებულებები გადაეცეთ, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიებში, უმაღლესი განათლების მქონეთ ეს განათლება, უმეტესად, იმ დროს აქვთ მიღებული, როცა პოლიტიკური წყობა – და, შესაბამისად, განათლების სისტემა – არადემოკრატიული იყო (ibid.).

წინარწმენის განმაპირობებელ ინდივიდუალური დონის ფაქტორებს შორისაა *ეთნოცენტრიზმი* (მაგ., Pettigrew and Meertens 1995; cf. Neuliep 2002) და კონკრეტული *პიროვნული ღირებულებებიც*, მაგალითად, *ტრადიციის, უსაფრთხოებისა და კონფორმულობის ღირებულებები* (მაგ., Sagiv and Schwartz 1995), მაგრამ ვინაიდან როგორც ეთნოცენტრიზმი, ისე პიროვნული ღირებულებები მოცემული კვლევის დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენს, მათ დეტალურად ქვემოთ განვიხილავ.

1.2. ეთნოცენტრიზმი

ეთნოცენტრიზმის ცნება საუკუნეზე მეტი ხნის წინ უილიამ სამნერმა (1906) შემოიტანა და განმარტა, როგორც პოზიცია, „როდესაც ადამიანი საკუთარ ჯგუფს ყველაფრის ცენტრად აღიქვამს, ყველა დანარჩენს კი ამ ჯგუფთან მიმართებაში აწონ-დაწონის და აფასებს” (Sumner, 13).

ნახევარი საუკუნის შემდეგ, სამნერის კონსტრუქტს ადორნო და კოლეგები (Adorno et al. 1950) დაესესხნენ, „რათა აღეწერათ მრავალი წინარწმენის ქონის დისპოზიცია. ვინაიდან ეს დისპოზიცია მრავალ არაეთნიკურ წინარწმენას – შიდა-ჯგუფური პატრიოტიზმის (რომელსაც ადორნო და კოლეგები „ფსევდოპატრიოტიზმად“ მოიხსენიებდნენ, გვ. 107) გარდა, სექსიზმს, ანტი-ჰომოსექსუალობას და სხვ. – აერთიანებს, ოლპორტი (1954) მას „განზოგადებულ წინარწმენას“ უწოდებდა“ (McFarland 2010, 453–454).

ამდენად, მართალია, ეთნოცენტრიზმის ცნება, თავდაპირველად, ეთნიკურ თუ ნაციონალურ ჯგუფებთან ჭარბი მიკუთვნებულობის განცდისა და სხვა ეთნიკური თუ ნაციონალური ჯგუფების დისკრიმინაციის აღსაწერად იქნა შემოტანილი (Brewer 2007), მოგვიანებით, კვლევებმა აჩვენა, რომ ეთნოცენტრიზმი, ზოგადად, ყველა სახის გარე-ჯგუფისადმი წინარწმენასთან არის კავშირში (ibid.). ამ მხრივ, ეთნოცენტრიზმი უფრო ახალ ტერმინს, „წინარწმენათა თანავარსკვლავედს“ (Stephen 2008, 422) ჰგავს – ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფისკენ მიმართულ წინარწმენას, რომელიც ზიკმა და კოლეგებმა (Zick et al. 2008) გერმანიაში აღმოაჩინეს განსხვავებული დაქვემდებარებული ჯგუფების – შავკანიანების, ებრალების, იმიგრანტების, ქალების, მუსლიმების, ჰომოსექსუალებისა და უსახლკაროების – მიმართ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეთნოცენტრიზმი საკუთარი ჯგუფის, საკუთარი კულტურის უპირატესად დანახავაა და ის აერთიანებს საკუთარი ჯგუფისადმი – დადებით, ხოლო გარე-ჯგუფისადმი, მათ რიცხვში, ნებისმიერი გარე-ჯგუფისადმი (იხ. Brewer 2007; McFarland 2010), უარყოფით დამოკიდებულებებს (Adorno et al. 1950; LeVine and Campbell 1972). ამ თვალსაზრისით, ეთნოცენტრიზმი საშუალებას იძლევა, ჯგუფთაშორისი ურთიერთობების კვლევებში, რომლებიც, როგორც წესი, გარე-ჯგუფისადმი დამოკიდებულებებზე აკეთებს აქცენტს, ყურადღება შიდა-ჯგუფის მიმართ დამოკიდებულებებსაც მიექცეს (Coenders and Scheepers 2003).

ეთნოცენტრიზმი, რომელიც მაღალ კორელაციაშია ავტორიტარიზმთან (Adorno et al. 1950), პიროვნულ მახასიათებლად (Stephen and Stephen 1996; Stephen 2014) მიიჩნევა – „ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ დისპოზიციად, როცა შიდა-ჯგუფის ღირებულებები,

დამოკიდებულებები და ქცევები გამოიყენება სხვა ჯგუფის ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ქცევების შესახებ მსჯელობის სტანდარტად” (Neuliep 2002, 201).

ეთნოცენტრიზმს უნივერსალურ ფენომენად თვლიან (Neuliep and McCroskey 1997), თუმცა, ასევე, ვარაუდობენ, რომ ის კულტურითაა გაშუალებული (Neuliep 2002). მართლაც, ერთ-ერთმა კვლევამ (Neuliep, Chadoir and McCroskey 2001) აჩვენა, რომ იაპონელი სტუდენტები მნიშვნელოვნად მაღალ ქულებს იღებდნენ ეთნოცენტრიზმის სკალაზე, ვიდრე ამერიკელი სტუდენტები.

პრატოსა და კოლეგების (1994) აზრით, ეთნოცენტრიზმს მალეგიტიმიზირებული მითების ფუნქციის შესრულებაც შეუძლია (Pratto et al.).

ცნების ბუნებიდან გამომდინარე და სოციალური იდენტობის თეორიასთან თანხვედრაში, ეთნოცენტრიზმი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ეთნიკურ იდენტობასთან (Negy et al. 2003). შარმას, შიმპისა და შინის (1995) თანახმად, ის კონფორმულობასთანაც არის კავშირში (Sharma, Shimp and Shin). ეთნოცენტრიზმი, ასევე, კავშირშია განათლებასთან – უფრო ხშირად განათლების უფრო დაბალი დონის ხალხში გვხვდება (Coenders and Scheepers 2003), და გენდერთან – კაცებს, ქალებთან შედარებით, უფრო მაღალი ეთნოცენტრიზმი აქვთ (იხ. Hooghe 2008). ის დადებითად უკავშირდება ორაზროვნების აუტანლობასა და აბსტრაქტული აზროვნების მწირ უნარებს (O'Connor 1952) და, აგრეთვე, რიგიდულობას (Rokeach 1948). ეთნოცენტრიზმი ნაკვლევია სიკვდილის შიშისა და დაავადებებისადმი განსაკუთრებული შიშის მიმართაც (Navarrete and Fessler 2006) და ორივე ფენომენთან დადებითად არის დაკავშირებული.

კვლევებში, ეთნოცენტრიზმი, უმეტესად, დამოუკიდებელ ან/და პრედიქტორ ცვლადად გამოიყენება (მაგ., Stephen and Stephen 1996). 9/11-ის მოვლენების შემდეგ ეთნოცენტრიზმი მნიშვნელოვნად ხსნიდა ტერორიზმის წინააღმდეგ ომის მხარდაჭერას (Kam and Kinder 2007). ამერიკელ ბაკალავრ სტუდენტებზე ჩატარებულმა კვლევამ (Goldstein and Kim 2006) კი აჩვენა, რომ ეთნოცენტრიზმი სწავლის უცხოეთში გაგრძელებას უარყოფითად წინასწარმეტყველებდა.

ლოგიკურად, ეთნოცენტრიზმი წინარწმენასაც უკავშირდება: მაგალითად,

ევროპაში ჩატარებული კვლევით, პეტიგრუმ და მირტენსმა (1995) აჩვენეს, რომ ეთნოცენტრიზმი როგორც ღია, ისე ფარული წინარწმენის მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო (Pettigrew and Meertens). სტივენმა და სტივენმა (1996) აღმოაჩინეს, რომ ამერიკელ სტუდენტებში ეთნოცენტრიზმი მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდა უარყოფით დამოკიდებულებებს ერაყელების მიმართ (Stephen and Stephen); ერთ-ერთმა კვლევამ ისიც აჩვენა, რომ ბავშვებში არსებული წინარწმენები მშობლების ეთნოცენტრიზმის შედეგად ვლინდებოდა (Epstein and Komorita 1966); მინიმალური ჯგუფის პარადიგმის ექსპერიმენტში (Perrault and Bourhis 1999) კი ტრაექტორიის ანალიზმა გამოავლინა, რომ ეთნოცენტრიზმი აძლიერებდა ჯგუფთან მიკუთვნებულობას, რაც, თავის მხრივ, ზრდიდა გარე-ჯგუფის დისკრიმინაციის ტენდენციებს.

ზემოთქმულიდან – კერძოდ კი ცნების შინაარსიდან – გამომდინარე, ეთნოცენტრიზმი, გარკვეულწილად, სოციალური იდენტობის (Tajfel and Turner 1979) პიროვნული დონის ვერსიადაც შეიძლება იქნას განხილული, რაც მისი, როგორც წინარწმენის პოტენციური პრედიქტორის, შესწავლის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

1.3. ღირებულებები

მილტონ როკიჩი (1973), რომელმაც, შესაძლოა, ყველაზე დიდი ბიძგი მისცა სოციალურ ფსიქოლოგიაში ღირებულებების შესწავლას (Biernat and Vescio 2004), აღნიშნავდა, რომ ღირებულებები ყველა ფენომენში ვლინდება, რაც კი შეიძლება სოციალურმა მეცნიერებმა კვლევისათვის საინტერესოდ ჩათვალონ, და რომ რასაც არ უნდა შეისწავლიდეს მკვლევარი, ღირებულებების უგულებელყოფა არ გამოუვა (Rokeach).

მართლაც, ღირებულებებით დაინტერესება ხანგრძლივ პერიოდსა და ბევრ ავტორს ითვლის, შესწავლილია როგორც ინდივიდუალურ (მაგ., Schwartz, Struch and Bilsky 1990; Sagiv and Schwartz 1995; Schwartz et al. 2012), ისე კულტურულ დონეზე (მაგ., Inglehart 1977, 1990; Triandis 1990; Schwartz 1999) და, შესაბამისად, ამ კონსტრუქტის

ბევრი სხვადასხვა განმარტება არსებობს (მაგ., Kluckhohn 1951; Maslow 1956; Allport, Vernon and Lindzey 1960; Allport 1961; Rokeach 1973; Levy and Guttman 1974; Hofstede 1980; Schwratz 1992). მიუხედავად ამისა, ამ განმარტებებსა თუ კონცეპტუალიზებებში საერთო თემები მაინც იჩენს თავს; პირველ ყოვლისა, ღირებულებები განიხილება, როგორც „რწმენებად თუ ორიენტირებად, რომელიც ერთ ინდივიდს მეორისაგან განასხვავებს” (Biernat and Vescio 2004, 192), ან კი პირდაპირ პიროვნების ტიპებად (Allport, Vernon and Lindzey; იხ. Biernat and Vescio).

შვარცმა და ბილსკიმ (1987) ღირებულებების სხვადასხვა განმარტებაში ხუთი საერთო მახასიათებელი აღმოაჩინეს და მათზე დაყრდნობით, ცნება შემდეგნაირად განმარტეს: „ღირებულებები არის (ა) კონცეფციები ან რწმენები (ბ) სასურველ შედეგებსა თუ ქცევებზე, (გ) რომელიც სცდება კონრეტულ სიტუაციებს, (დ) გავლენას ახდენს ქცევებისა და მოვლენების არჩევასა თუ შეფასებაზე და (ე) შედარებითი მნიშვნელოვნების მიხედვით არის ორგანიზებული” (Schwartz and Bilsky, 551).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღირებულებები ერთგვარი სტანდარტებია, რომლის მიხედვითაც ვაფასებთ საკუთარ თუ სხვათა მოქმედებებს და რომლითაც ჩვენი ქცევებია ნაკარნახევი (Rokeach 1968). და, ასევე, ღირებულებებს უფრო მიზნის ფუნქცია აქვთ, რომლისკენაც ადამიანები მიისწრაფიან, და არა მიზნის მიღწევის საშუალების (Oskamp and Schultz 2005).

მიჩნეულია, რომ რამდენადაც ღირებულებებს ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანის რწმენათა სისტემაში, ისინი ცვლილებისადმი რეზისტენტულები არიან (Oskamp and Schultz 2005), ასეთ ცენტრალურ ღირებულებათა შორის კი, როგორც წესი, თანასწორობის, თავისუფლების ღირებულებები ხვდება (Rokeach 1973) ან ინდივიდუალიზმისა და ჰუმანიტარიზმის (იხ. Feldman and Zaller 1992) ან კი ტრადიციებისადმი ერთგულება და ღვთისმოშიშობა (Oskamp and Schultz).

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ღირებულებები მთელ წყება აფექტურ, კოგნიტურ თუ ქცევით პროცესებზე ახდენს გავლენას (მაგ., Rokeach 1979; Kahle 1983; Tetlock 1986) და, მათ რიცხვში, ცხადია, გარე-ჯგუფებისადმი დამოკიდებულებებიც არის (მაგ., Feather and McKee 2008). მეტიც, გამოიყენება ტერმინი „ღირებულებების გამომხ-

ატველი დამოკიდებულება” (Oskamp and Schultz 2005, 89), რომელიც ადამიანისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ღირებულების დამოკიდებულებაში გამოვლენას აღნიშნავს, ასეთი დამოკიდებულება (ისევე, როგორც თავად ღირებულება) კი, პრაქტიკულად, არ ექვემდებარება შეცვლას (ibid.).

ამჟამად, ღირებულებების ინდივიდუალური სხვაობების შემსწავლელი ყველაზე პრაქტიკული ინსტრუმენტი და მოდელი შალომ შვარცის სახელს უკავშირდება (Schwartz 1992; Schwartz et al. 2012).

შვარცის მიერ შემუშავებული ადამიანის ბაზისური ღირებულებების თეორია თავდაპირველად 10 ღირებულებას მოიცავდა (Schwartz 1992), მოგვიანებით კი მან, კოლეგებთან ერთად, კონსტრუქტის სხვადასხვა ქვეყნის შერჩევებზე ვალიდაციის გზით (Schwartz et al. 2012; Schwartz and Butenko 2014; Schwartz et al. 2017), ერთმანეთისაგან უკვე 19 ღირებულება განასხვავა (იხ. ცხრილი 1), რომლებიც წრიულ მოტივაციურ კონტინუუმზე ლაგდება (იხ. ილუსტრაცია 1). თავის მხრივ, ეს 19 ღირებულება ოთხ მაღალი რიგის ღირებულებად შეგვიძლია გავაერთიანოთ, რომლებიცაა *ღიაობა ცვლილებებისადმი, თვით-გაძლიერება, კონსერვაცია და თვით-ტრანსცენდენტურობა*.


მეტიც, შვარცი (2012) ღირებულებებს კიდევ უფრო მსხვილ ორ-ორ თეორიულ კატეგორიაში აჯგუფებს (იხ. ილუსტრაცია 1): ღირებულებებად, რომელთაც *სოციალური ფოკუსი* აქვთ (კონსერვაცია და თვით-ტრანსცენდენტურობა) და ღირებულებებად, რომელთაც *პიროვნული ფოკუსი* აქვთ (ღიაობა ცვლილებებისადმი და თვით-გაძლიერება); და, ასევე, – რაც მოცემული კვლევისათვის უფრო საგულისხმოა, – ღირებულებები *ჯგუფდება ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებად*, რომელიც მოიცავს თვით-ტრანსცენდენტურობასა და ღიაობას ცვლილებებისადმი, და *თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებად*, რომელიც თვით-გაძლიერებასა და კონსერვაციას აერთიანებს (Schwartz et al.).

კონტინუუმზე ერთმანეთის გვერდგვერდ განლაგებული ღირებულებები (მაგ., მიღწევა და ძალაუფლება) ერთმანეთთან თავსებად ღირებულებებად მიიჩნევა მაშინ, როცა წრეზე ერთმანეთის საპირისპიროდ მოთავსებული ღირებულებები (მაგ.,

კონფორმულობა და სტიმულაცია) ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის (Schwartz 2012). შვარცის თანახმად (2012), ეს, მოტივაციურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდუალური ღირებულებები, უნივერსალურია და თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება, განსაკუთრებით თვალშისაცემი კი მათი ერთნაირი წრიული სტრუქტურაა სხვადასხვა კულტურაში: „ხალხი ყველგან კონფლიქტს აწყდება ცვლილებებისადმი ღიაობისა და კონსერვაციის ღირებულებებს შორის” (Schwartz, 17).

ილუსტრაცია 1.

ღირებულებათა სისტემის წრიული სტრუქტურა (Schwartz et al. 2012)



ავტორის მიერ კლასიფიცირებული და განსაზღვრული 19 ღირებულება ცხრილ 1-შია მოცემული (Schwartz et al. 2012).

როგორც ღირებულებათა განმარტებებიდან ჩანს (იხ. ცხრილი 1), წინარწმენასა და

მასთან დაკავშირებულ ცნებებთან ყველაზე ახლო დადებით კავშირში კონსერვაციის ღირებულებები უნდა იყოს, ხოლო უნივერსალიზმის ღირებულებები – უარყოფით კავშირში.

ცხრილი 1.

19 ღირებულება განსაზღვრული მათი მოტივაციური მიზნების მიხედვით (Schwartz et al. 2012)

| ღირებულებები | კონცეპტუალური განმარტებები |
|--|---|
| <i>1. ღიაობა ცვლილებებისადმი</i> | |
| (1) ავტონომიური აზროვნება | პირადი იდეებისა და უნარების კულტივირების თავისუფლება |
| (2) ავტონომიური მოქმედება | საკუთარი ქმედებების განსაზღვრის თავისუფლება |
| (3) სტიმულაცია | ემოციური აგზნება, სიახლეები, ცვლილება |
| (4) ჰედონიზმი | სიამოვნება და სენსუალური დაკმაყოფილება |
| <i>2. თვით-გამლიერება</i> | |
| (5) მიღწევა | სოციალური სტანდარტების შესაბამისი წარმატება |
| (6) ძალაუფლება-დომინანტობა | ძალაუფლება ხალხის კონტროლის გზით |
| (7) ძალაუფლება-რესურსები | ძალაუფლება მატერიალური და სოციალური რესურსების კონტროლის გზით |
| <i>3. კონსერვაცია</i> | |
| (8) იმიჯი | უსაფრთხოება და ძალაუფლება საჯარო იმიჯის შენარჩუნებისა და დამცირების თავიდან არიდების გზით |
| (9) პირადი უსაფრთხოება | უსაფრთხოება უშუალო პირად გარემოში |
| (10) საზოგადოებრივი უსაფრთხოება | უსაფრთხოება და სტაბილურობა უფრო ფართო საზოგადოებაში |
| (11) ტრადიცია | კულტურული, ოჯახური ან რელიგიური ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა |
| (12) კონფორმულობა-წესები | წესების, კანონების, ფორმალური ვალდებულებების მორჩილება |
| (13) ინტერპრესონალური კონფორმულობა | სხვათა განაწყენების ან მათთვის ზიანის მიყენებისგან თავის არიდება |
| (14) თავმდაბლობა | საკუთარი უმნიშვნელობის განცდა დიდ სამყაროში |
| <i>თვით-ტრანსცენდენტურობა</i> | |
| (15) კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება | შიდა-ჯგუფის საიმედო და სანდო წევრად ყოფნა |
| (16) კეთილგანწყობა-ზრუნვა | შიდა-ჯგუფის წევრთა კეთილდღეობაზე ზრუნვა |
| (17) უნივერსალიზმი-ზრუნვა | თანასწორუფლებიანობასა და სამართლიანობაზე ზრუნვა |
| (18) უნივერსალიზმი-ბუნება | ბუნებრივი გარემოს დაცვა |
| (19) უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | განსხვავებული ადამიანების მიღება და გაგება |

მართლაც, ტრადიციის, კონფორმულობისა და უსაფრთხოების ღირებულებები ძლიერად კორელირებს ავტორიტარიზმთან (Altemeyer 1998; Cohrs et al. 2005; იხ. McFarland 2010), თუმცა სოციალური დომინანტობის ორიენტაციასთან, მოსალოდნელად, დადებით კორელაციაში უკვე ძალაუფლებისა და მიღწევის ღირებულებებია (Altemeyer; Cohrs et al.), უნივერსალისტური ღირებულებები კი უარყოფითში (Altemeyer).

მართალია, წინარწმენაზე ღირებულებების პირდაპირი გავლენა არცთუ ფართოდაა შესწავლილი (Biernat and Vescio 2004), რიგი კვლევები ლოგიკურ მოლოდინს ადასტურებს. მაგალითად, ისრაელში მცხოვრები ებრაელი მასწავლებლების დამოკიდებულება ისრაელში მცხოვრებ არაბებთან უფრო დადებითი იყო მაშინ, როცა მასწავლებლებს უნივერსალიზმის ღირებულებები ჰქონდათ გამოხატული, ხოლო უარყოფითი მაშინ, როცა ტრადიციის, კონფორმულობისა და უსაფრთხოების ღირებულებები ჰარბობდა (Sagiv and Schwartz 1995). მსგავსადვე, იტალიურ, ესპანურ და გერმანულ შერჩევებზე ჩატარებული კვლევის (Vecchione et al. 2012) თანახმად, უნივერსალიზმის ღირებულებები დაკავშირებული იყო აღქმასთან, რომ იმიგრაციას დადებითი შედეგები აქვს, ხოლო უსაფრთხოების ღირებულებები იმიგრაციის უარყოფით კრილში აღქმას წინასწარმეტყველებდა. ასევე, ერთ-ერთმა კვლევამ, რომელიც ავსტრალიელი აბორიგენებისადმი დამოკიდებულებებს იკვლევდა, აჩვენა, რომ ძალუფლება და უსაფრთხოება დადებითად პროგნოზირებდა წინარწმენას, ხოლო უნივერსალიზმი და კეთილგანწყობა – უარყოფითად (Feather and McKee 2008).

წინარწმენასა და ღირებულებებს შორის კავშირზე ჯერ კიდევ ოლპორტი (1954) ამახვილებდა ყურადღებას: „ჩვენ იმ ღირებულებებს წარმოვადგენთ, რომლებიც გვაქვს, არ შეგვიძლია, ისინი არ დავიცვათ [...] და არ უარვყოთ ყველა ის ჯგუფი, რომელიც მათ ეწინააღმდეგება” (in Stephen et al., 2002, 1243). როკიჩის (1960) თანახმად კი სხვა რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს ჩვენ ისედაც ჩვენგან განსხვავებული ღირებულებების მატარებლებად აღვიქვამთ და ამას მათდამი არსებული წინარწმენის გასამართლებლად ვიყენებთ (Rokeach). საინტერესოა, რომ ღირებულებებს (მაგ., ტრადიციის ღირებულებებს) შეუძლიათ წინარწმენების როგორც

გამოვლენა და გამართლება, ისე მათი დათრგუნვა და შეკავება (მაგ., უნივერსალისტურ ღირებულებებს) (Crandall and Eshleman 2004), ეს კი იმიტომ, რომ პირადი ბაზისური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების თუ ქცევების თავსებადობა ადამიანისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია (იხ. Oskamp and Schultz 2005).

1.4. საფრთხე: ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია

საფრთხისა და შიშის მნიშვნელობაზე წინარწმენისა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების მკვლევრები ამ პროცესების აქტიური შესწავლიდან მოყოლებული ამახვილებდნენ ყურადღებას (Adorno et al. 1950; Allport [1954] 1979; Levine and Campbell 1972; Sherif 1966; Smith 1993).

ბრიუერის (2007) თანახმად, „ფაქტი, რომ ინდივიდები აფასებენ, მოსწონთ და ემორჩილებიან თავიანთ ჯგუფებს (შიდა-ჯგუფებს) და არა იმ ჯგუფებს, რომელთაც არ ეკუთვნიან (გარე-ჯგუფებს), სოციალურ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე კარგად დადგენილი ფენომენია“ (Brewer, 729) – ფენომენი, რომელსაც სოციალური იდენტობის თეორია (Tajfel and Turner 1979) ეფუძნება და ამბობს, რომ, თვითშეფასების განსამტკიცებლად, ადამიანები უარყოფით ასპექტებს ეძებენ გარე-ჯგუფში, რასაც მათდამი მტრული დამოკიდებულებები მოჰყვება. ამ მსჯელობის კვალდაკვალ, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია (ITT) (Stephen, Ybarra and Morrison 2009) მიიჩნევს, რომ ადამიანებს ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ, გარე-ჯგუფი საფრთხის შემცველად აღიქვან, რაც, თავის მხრივ, წინარწმენის წარმოქმნას უწყობს ხელს (მაგ., Stephen et al. 2005; Morrison, Fast and Ybarra 2009; Myers et al. 2013).

მართლაც, საფრთხეს რომ წინარწმენა მოსდევს, სოციალურ ფსიქოლოგიაში კარგადაა ცნობილი როგორც კორელაციური (იხ. Riek, Mania and Gaertner 2006), ისე ექსპერიმენტული კვლევების (მაგ., Florack et al. 2003; Stephen et al. 2005) შედეგებით. და, ასევე, თუ წინარწმენას, ზოგადად, უცხოს შიშად განვიხილავთ, ITT-ის ეს პოსტულატი – რომ საფრთხის აღქმის (და თანამდევი დისკრიმინაციის) ბუნებრივი პრედისპოზიცია

გვაქვს – უფრო ნათელი გახდება: ადამიანებს აქვთ ტენდენცია, უცხოში (გარე-ჯგუფში) *a priori* საფრთხე დაინახონ.

შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ საფრთხის აღქმა მაშინაც კი ხდება, როცა ის რეალურად არ არსებობს (Stephen, Ybarra and Morrison 2009). ასე, მაგალითად, ჰოლანდიაში ჩატარებულმა კვლევამ (Coenders et al. 2008) აჩვენა, რომ ეთნიკურ დისკრიმინაციას უმუშევრობის არა რეალური, არამედ აღქმული დონე განაპირობებდა, რაც ჰგავს ზემოთ ნახსენები კიდევ ერთი კვლევის (Semyonov et al. 2004) შედეგს, როცა იმიგრანტებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას არა მათი რეალური, არამედ აღქმული რაოდენობა წინასწარმეტყველებდა – გარემოება, რომელიც სტივენის (2008) თქმით, „სოციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლურ პრინციპზე“ (Stephen, 419) მიუთითებს, რომ „დამოკიდებულებებისა და ქცევების განსაზღვრაში აღქმები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალობა“ (ibid., 419).

მიუხედავად ამისა, საფრთხის აღქმას გარკვეული წინაპირობები მაინც სჭირდება: პირველ ყოვლისა, საფრთხე რაღაც ფორმით უნდა არსებობდეს და საკმარისად უსამართლოდ უნდა იყოს აღქმული, რათა მისი ვერბალიზება და, შედეგად, ამით თანამდევნი წინარწმენის გამართლება იყოს შესაძლებელი (Crandall and Eshleman 2004).


საფრთხის აღქმის წინაპირობებს თავად ITT-ის ავტორებიც გვთავაზობენ თავიანთი თეორიის პირველ ვერსიაში, რომელსაც ინტეგრირებული საფრთხის თეორია (Stephen and Stephen 2000) ერქვა და რომელიც, როგორც სახელიდან ჩანს, წინარწმენის ახსნის მიზნით, ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ლიტერატურაში დაგროვილი ძირითადი ცოდნის ინტეგრირებას ცდილობდა ერთ თეორიულ მოდელში (იხ. სქემა 1).

სოციალური იდენტობის თეორიაზე (Tajfel and Turner 1979) დაყრდნობით, საფრთხის აღქმის წინაპირობად სტივენმა და სტივენმა (2000) *ჯგუფთან იდენტიფიკაცია* გამოყვეს (რაც უფრო ძლიერია შიდა-ჯგუფური იდენტობა, მით უფრო ძლიერად აღიქმება საფრთხე); კონტაქტის ჰიპოთეზაზე (მაგ., Allport [1954] 1979) დაყრდნობით, ხაზი გაუსვეს, ასევე, *კონტაქტის* მნიშვნელობას (რაც უფრო მწირი ან/და უარყოფითია გარე-ჯგუფთან კონტაქტის გამოცდილება, მით უფრო ხდება საფრთხის აღქმა); ავტორების მიერ ხაზგასმული *ინფორმაციის* როლი (მწირი ან/და უარყოფითი

ინფორმაცია გარე-ჯგუფის შესახებ დადებითად უკავშირდება საფრთხის აღქმას) წინარწმენის შესახებ არსებულ იმ მოსაზრებებს ითავსებს, რომელთა თანახმადაც, მტრული განწყობების გაშინაგნება მცდარი ან/და სტერეოტიპული, ხშირად მას-მედიის მიერ გავრცელებული, ინფორმაციის საფუძველზე ხდება (Crandall and Eshleman 2004); რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორიაზე (Sherif 1966) დაყრდნობით, ავტორებმა ხაზი გაუსვეს *კონფლიქტის* წვლილსაც (რაც უფრო კონფლიქტურია გარე-ჯგუფთან ურთიერთობის გამოცდილება, მით უფრო მაღალია საფრთხის აღქმის ალბათობა); და ყურადღება გაამახვილეს *არათანაბარ სტატუსზეც* (რაც უფრო მაღალია გარე-ჯგუფის სტატუსი, მით ძლიერად განიცდება საფრთხე) (Stephen and Stehpen).

სქემა 1.

ინტეგრირებული საფრთხის თეორია: თავდაპირველი მოდელი (Stephen and Renfro 2002)



მართალია, თეორიის ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ისინი *სუბიექტურად აღქმულ* და არა ობიექტურად არსებულ საფრთხეებს შეისწავლიან (მაგ., Stephen and Stephen 1996), რაც საფრთხის აღქმაში ინდივიდუალურ სხვაობებს გულისხმობს, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ მოდელში – საფრთხის ინტეგრირებულ თეორიაში (Stephen and

Stephen 2000), ისინი პიროვნულ ცვლადებს არ იხილავდნენ. მიუხედავად ამისა, საფრთხესთან პიროვნული ცვლადების დაკავშირება ამ თეორიამდეც უცდიათ მკვლევრებს: მაგალითად, ალტემიერმა (1988; 1998) აჩვენა, რომ მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი დადებითად კორელირებს სამყაროს საშიშ და საფრთხის შემცველად აღქმასთან (Altemeyer); კორელაციები არის აღმოჩენილი, ასევე, ამ ცვლადსა და არაკონვენციური ადამიანებისა თუ სიტუაციების შიშს შორის (Eigenberger 1998).

მოგვიანებით, საფრთხისა და ავტორიტარიზმის კავშირის შესწავლა უფრო გართულებული სტატისტიკური ანალიზებით დაიწყო. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის (Duckitt and Fisher 2003) მიხედვით, აღქმული საფრთხე ავტორიტარიზმის ზრდაზე ზემოქმედებდა, ეს ზემოქმედება კი მსოფლალქმით იყო გაშუალებული (მედიაციური მოდელი); ასევე, კვლევამ (Duckitt 2006) აჩვენა, რომ აღქმული საფრთხე ავტორიტარიზმსა და წინარწმენას შორის კავშირის მედიაციას ახდენდა; საფრთხის მედიაციური როლი ავტორიტარიზმსა და წინარწმენას შორის კიდევ ერთ კვლევაშიც (Cohrs and Ibler 2009) გამოვლინდა და ამავე კვლევის თანახმად, ავტორიტარიზმი საფრთხისა და წინარწმენის კავშირის მოდერატორიც იყო; მსგავსად, უფრო ახალ კვლევაში (Dunwoody and McFarland 2017), საფრთხე ავტორიტარიზმსა და ანტი-მუსლიმურ განწყობებებს შორის როგორც მედიატორის, ისე მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. ნაკვლევია, ასევე, სოციალური დომინანტობის ორიენტაციის გამაშუალებელი წვლილი შიდა-ჯგუფურ იდენტობასა და საფრთხის აღქმას შორის (Morrison and Ybarra 2008).

გარდა იმისა, რომ საფრთხის თეორიის პირვანდელ მოდელში (Stephen and Stephen 2000) პიროვნული ფაქტორები არ იყო ინტეგრირებული, ავტორები საფრთხის სახეთა შორის უარყოფით სტერეოტიპებსა და ჯგუფთაშორის შფოთვასაც განიხილავდნენ. მოგვიანებით, უარყოფითი სტერეოტიპები მათ საფრთხის არა ცალკე ფორმად, არამედ საფრთხის აღქმის წინაპირობად მიიჩნეს (Stephen, Ybarra and Morrison 2009); საფრთხეთა სახეებიდან მათ ჯგუფთაშორისი შფოთვაც ამოიღეს (ibid.), რომელსაც გარე-ჯგუფთან ინტერაქციის ან ამ ინტერაქციის მოლოდინის შედეგად წარმოქმნილ უსიამოვნო და ორაზროვან ემოციად განმარტავდნენ (Stephen and Stephen 1985).

საბოლოო ჯამში, მათ ყურადღება საფრთხის ორ სახეზე გაამახვილეს: *რეალისტურ* და *სიმბოლურ* საფრთხეებზე (Stephen, Ybarra and Morrison 2009).

რეალისტური საფრთხის ცნება შერიფის (1966) რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის თეორიიდან იღებს სათავეს და ეხება ჯგუფის ხელშესახებ, რეალურ რესურსებსა თუ მოთხოვნილებებს, როგორცაა ტერიტორია, ფიზიკური უსაფრთხოება, მატერიალური რესურსები. სხვა სიტყვებით, ამ საფრთხის აღქმას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ჯგუფის რეალურ – ფიზიკურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ – კეთილდღეობას ექმნება საფრთხე (Stephen, Ybarra and Bachman 1999; Stephen, Ybarra and Morrison 2009). ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ისინი, პირველ რიგში, სუბიექტურად აღქმულ საფრთხეს შეისწავლიან, რადგან თვლიან, რომ „საფრთხის აღქმას წინარმენის გამოწვევა შეუძლია, განურჩევლად იმისა, „რეალურია“ ეს საფრთხე თუ არა“ (Stephen et al., 1999, 2222) – მოსაზრება, რომელსაც ზურგს ზემოთ აღნიშნული კვლევები (Semyonov et al. 2004; Coenders et al. 2008) უმაგრებს. მიუხედავად ამისა, კვლევები (მაგ., Quillian 1995) – და ისტორიული გამოცდილება (იხ. E. Aronson 2012) – იმასაც მოწმობს, რომ რეალურად არსებული საფრთხეები – ცუდი ეკონომიკური პირობები, უმცირესობების ან იმიგრანტების დიდი წილი – ზრდის უარყოფით დამოკიდებულებებს გარე-ჯგუფების მიმართ, რაც რიეკისა და კოლეგების (2006) თანახმად, და განტევების ვაცის თეორიასთან თანხვედრაში, ნიშნავს, რომ ნაციონალური პრობლემები, მათ შორის, ეკონომიკური სირთულეები, აღქმული საფრთხის შემცველ გარე-ჯგუფებს მიეწერებათ (Riek, Mania and Gaertner).

რეალისტური საფრთხისაგან განსხვავებით, *სიმბოლური საფრთხე* ჯგუფის არახელშესახებ საფრთხეებს გულისხმობს და მორალთან, ღირებულებებთან, ტრადიციებთან, ნორმებთან, რელიგიასთან, იდეოლოგიასა თუ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს მოიცავს (Stephen Ybarra and Bachman 1999; Stephen, Ybarra and Morrison 2009). აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ სიმბოლური საფრთხეების აღქმას მეტი საერთო უნდა ჰქონდეს პიროვნულ მახასიათებლებებთან, განსაკუთრებით კი ღირებულებებთან; მაგალითად, მეტად სავარაუდოა, ამგვარი სახის საფრთხის აღქმისკენ ტრადიციული ღირებულების მქონე

ადამიანი იყოს მიდრეკილი: რაც უფრო განსხვავებული ტრადიციებისა და იდეოლოგიის მატარებელია გარე-ჯგუფი, მით უფრო მეტად აღიქმება ის სიმბოლური საფრთხის შემცველად (Stephen et al. 1999).

ზოგი მკვლევრის აზრით (მაგ., Esses, Haddock and Zanna 1993), გარე-ჯგუფებისადმი უარყოფით დამოკიდებულებებში სწორედ სიმბოლური საფრთხე იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კვლევათა (ibid.; Esses, Hodson and Dovidio 2003) თანახმად, იმიგრანტებისადმი წინარწმენის ზრდა მართლაც აღქმულ სიმბოლურ საფრთხეებს უკავშირდებოდა. მეტიც, მაკლარენმა (2003) აჩვენა, რომ რწმენა იმისა, რომ უცხოელები საფრთხეს შეუქმნიდნენ ამერიკულ ღირებულებებს, უფრო ძლიერად წინასწარმეტყველებდა იმიგრანტებისადმი უარყოფით დამოკიდებულებებს, ვიდრე რეალისტური საფრთხეები (McLaren).

ცხადია, ის, თუ რომელი ტიპის საფრთხის აღქმა იქნება აქტივირებული, გარე-ჯგუფზეა დამოკიდებული (Stephen, Ybarra and Morrison 2009). მაგალითად, რეალისტური საფრთხის გამოწვევა ეკონომიკურად კონკურენტუნარიან ჯგუფებს, დაავადებების მატარებელ ადამიანებს შეუძლიათ, ხოლო სიმბოლური საფრთხეები უფრო ისეთ ჯგუფებს მიეწერება, რომლებიც სოციალურად მარგინალიზებულ ჯგუფებადაა მიჩნეული, მაგალითად, ჰომოსექსუალები (Haddock, Zanna and Esses 1993) და რელიგიური სექტები (Stephen et al.).

ამდენად, მართალია, ბევრი კვლევა მიუთითებს, რომ წინარწმენაში წვლილი როგორც სიმბოლურ, ისე რეალისტურ საფრთხეს შეაქვს (მაგ., Stephen and Stephen 1996; Stephen et al. 2002; Riek, Mania and Gaertner 2006; Aberson and Gaffney 2008), კვლევები იმასაც აჩვენებს, რომ სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა სახის საფრთხის შემცველად აღიქმება. მაგალითად, ინდოეთში ჩატარებული კვლევის (Tausch, Hewstone and Roy 2009) თანახმად, უმრავლესობის წევრებში (ინდუიზმის წარმომადგენლებში) უმცირესობის წევრთა (მუსლიმების) მიმართ წინარწმენას სიმბოლური საფრთხე წინასწარმეტყველებდა მაშინ, როცა უმცირესობის წინარწმენას უმრავლესობისადმი რეალისტური საფრთხე პროგნოზირებდა. ასევე, სტივენისა და კოლეგების (2000) ამერიკაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების უარყოფით დამოკიდებულებებს

კაცების მიმართ სიმბოლური საფრთხე ხსნიდა და არა რეალისტური (Stephen et al.). რაც შეეხება ეთნიკურ დამოკიდებულებებს, ისრაელის მკვიდრთა წინარწმენა რუსი იმიგრანტებისადმი რეალისტური საფრთხით იყო განპირობებული (Bizman and Yinon 2001) და პირიქით – სიმბოლური საფრთხე აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ჰოლანდიელი მოზარდების წინარწმენისთვის მუსლიმი უმცირესობის მიმართ (González et al., 2008). მეტიც, რიგ შემთხვევებში, წინარწმენა არა რომელიმე ერთი საფრთხის, არამედ მათი კომბინაციის ფუნქციაა (მაგ., Stephen et al. 2005): როგორც ექსპერიმენტმა (ibid.) აჩვენა, ამერიკელი სტუდენტების დამოკიდებულება იმიგრანტებისადმი მაშინ იყო ყველაზე უარყოფითი, როცა ეს იმიგრანტები როგორც რეალისტურ, ისე სიმბოლურ საფრთხეს წარმოადგენდნენ – გარემოება, რომელიც მიანიშნებს, რომ ამ ორი სახის საფრთხის გამოცალკევებას სირთულეები ახლავს და რომ ისინი არა მარტო არ გამორიცხავენ, არამედ მოიცავენ კიდევ ერთმანეთს (Riek, Mania and Gaertner 2006).

წინამდებარე კვლევა

წინარწმენის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მკვლევრები ამ ფენომენის არაერთ, მათ შორის, ინდივიდუალურ და სიტუაციურ, დონეზე შესწავლის საჭიროებაზე მიუთითებებენ (Stephen 2008).

მეტიც, როგორც ჯომუა არონსონი (2009) წერს, „სოციალური ფსიქოლოგიის ამოცანა იმის ჩვენებაა, რომ სოციალურმა კონტექსტმა შეიძლება მძლავრი გავლენა იქონიოს ადამიანის ქცევასა და ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებაზე და გადაფაროს ის ფენომენები, რასაც ჩვენ მთავარ, საკვანძო პიროვნულ მახასიათებლებად მივიჩნევთ” (J. Aronson, 108).

ელიოტ არონსონი (2012) კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უსიამოვნო ან დესტრუქციული ქცევების ახსნისას ე.წ. დისპოზიციური მიდგომის გამოყენება ხშირად სახიფათოა: სანამ ასეთ ქცევებს პირდაპირ პიროვნული მახასიათებლებით ავხსნიდეთ, „სიტუაციის ბუნება და ის პროცესები [უნდა] გავიგოთ, რომლებიც ქცევის

წარმოქმნას ედო საფუძვლად“ (E. Aronson, 9), მით უფრო, რომ „ზოგ სიტუაციურ ცვლადს შესწევს ძალა, ჩვენს, „ნორმალური“ ზრდასრული ადამიანების, საკმაოდ დიდ ნაწილს ძალიან არასანდომიანი ქცევებისკენ გვიბიძგოს“ (ibid., 10).

მოცემული კვლევა წინარწმენის ახსნას სწორედ კონტექსტუალური და ინდივიდუალური ცვლადების გაერთიანებით ცდილობს. ინდივიდუალური ცვლადების სახით კვლევაში გამოყენებულია ეთნოცენტრიზმი (Neuliep 2002) და შვარცის (Schwartz et al. 2012) მიერ განსაზღვრული ღირებულებები, ხოლო კონტექსტუალურ ცვლადებად – სტივენისა და კოლეგების (Stephen, Ybarra and Morrison 2009) შემოთავაზებული სიმბოლური და რეალისტური საფრთხეები.

საფრთხეების ექსპერიმენტული მანიპულაციის გზით, კვლევის მიზანია, გაარკვიოს, რამდენად შედის ეთნოცენტრიზმსა და კონკრეტულ ღირებულებებთან – კერძოდ, კონსერვაციისა და თვით-გაძლიერების ღირებულებებთან, – ინტერაქციაში სიმბოლური და რეალისტური საფრთხეები და რამდენად წინასწარმეტყველებს ეს ინტერაქცია წინარწმენას; სხვა სიტყვებით, არის თუ არა აღქმული საფრთხე პიროვნულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის კავშირის მოდერატორი (ცვლადებს შორის ნავარაუდები კავშირი სქემა 2-შია მოცემული).


კორსის და იბლერის (2009) თანახმად, თუ გვინდა, რომ საფრთხე კონტექსტუალური ცვლადის სახით შევისწავლოთ, ყველაზე სწორი მიდგომა მისი ექსპერიმენტული მანიპულირებაა ანუ კვლევის მონაწილეებისთვის საფრთხის შემცველი (ექსპერიმენტული პირობა) და საფრთხის არ-შემცველი (საკონტროლო პირობა) ინფორმაციის მიწოდება, რადგან სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი, გავარკვიოთ საფრთხის გამაშუალებელი როლი პიროვნულ ფაქტორებსა და წინარწმენას შორის (Cohrs and Ibler).

წინამდებარე კვლევა ზუსტად ამ მიდგომას ეფუძნება და, კვლევათა უმეტესობისგან განსხვავებით, წინარწმენის სამიზნის როლში გამოგონილ, არარეალურ გარე-ჯგუფს („აბირიელები“) იყენებს; ეთნოცენტრიზმისა და ღირებულებების კითხვარების შევსების შემდეგ, კვლევის მონაწილეებს, ერთ შემთხვევაში, ეძლეოდათ საგაზეთო სტატიის ტიპის (როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, რათა მონაწილეებს

დაეჯერებინათ, რომ გარე-ჯგუფი რეალურია) ტექსტი (იხ. დანართი 3), სადაც გამოგონილი გარე-ჯგუფისგან წამოსული რეალისტური საფრთხეები იყო აღწერილი (ექსპერიმენტული პირობა 1), მეორე შემთხვევაში, ტექსტში სიმბოლურ საფრთხეებზე იყო ლაპარაკი (ექსპერიმენტული პირობა 2) და ბოლოს – ტექსტი გარე-ჯგუფს „უსაფრთხო“, ნეიტრალურ ტერმინებში აღწერდა (საკონტროლო პირობა) (იხ. თავი 2.4.2).

სქემა 2.

მოცემული კვლევის ჰიპოთეტური მოდელი



შენიშვნა. სიმარტივისთვის, აქ 19 ღირებულება არ არის ჩამოთვლილი. სანაცვლოდ, ისინი შფოთვის შემამცირებელ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებადაა დაყოფილი. მოდელის თანახმად, შფოთვის შემამცირებელი ღირებულებები და ეთნოცენტრიზმი წინარწმენას დადებითად იწინასწარმეტყველებს მაშინ, როცა შფოთვისგან თავისუფალი ღირებულებები წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორები იქნება. რეალისტურ საფრთხეს მოდერაციული ეფექტი ექნება და იმოქმედებს წინარწმენასა და როგორც შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებს, ისე ეთნოცენტრიზმს შორის კავშირის გაძლიერებაზე, ხოლო შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებსა და წინარწმენას შორის კავშირზე არ ექნება გავლენა. ასეთივე ეფექტია ნავარაუდები სიმბოლური საფრთხის შემთხვევაშიც.

რეალისტური და სიმბოლური საფრთხეების ექსპერიმენტულად შესწავლის საჭიროებაზე რიეკმა და კოლეგებმა (2006) გაამახვილეს ყურადღება. ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიაზე დაფუძნებული კვლევების მეტა-ანალიტიკური მიმოხილვის

საფუძველზე, რომელიც 95 სხვადასხვა შერჩევას მოიცავდა, მათ გარკვეული მეთოდოლოგიური ხარვეზები აღმოაჩინეს: „ერთ-ერთი მათგანი ექსპერიმენტული კვლევების სიმწირეა, განსაკუთრებით რეალისტური და სიმბოლური საფრთხეების სფეროში” (Riek, Mania and Gaertner, 346).

წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ შესაბამისი ლიტერატურის დეტალურად გაცნობის შედეგად, ირკვევა, რომ შვარცის მიერ კონცეპტუალიზირებული ღირებულებები (Schwartz et al. 2012) და ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია (Stephen, Ybarra and Morisson 2009) კვლევებში ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. ამასთან, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ღირებულებების პირდაპირი ეფექტები არც საკუთრივ წინარწმენაზეა ფართოდ შესწავლილი ან თუ არის, როგორც წესი, შავკანიანი ამერიკელებისადმი თერთკანიანთა დამოკიდებულებების ჭრილში (Biernat and Vescio 2004).

წინარწმენის ზემოთ განხილულ კორელატებზე (მაგ., ავტორიტარიზმი, კონფორმულობა, სიციხადის მოთხოვნილება) დაყრდნობით, ლოგიკურად, მოსალოდნელია, რომ წინარწმენასთან დადებითი კავშირი ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ (თვით-გამღიერებისა და კონსერვაციის) ღირებულებებს (Schwartz et al. 2012) ექნება, ხოლო ე.წ. ზრდაზე მიმართული და შფოთვისგან თავისუფალი ღირებულებები (თვით-ტრანსცენდენტურობა და ღიაობა ცვლილებებისადმი) (ibid.) წინარწმენასთან უარყოფითად იქნება დაკავშირებული. უფრო კონკრეტულად, ყველა ცვლადს შორის მოსალოდნელი კავშირები ჰიპოთეზებშია ჩამოყალიბებული (იხ., ასევე, სქემა 2).

ჰიპოთეზა 1. ეთნოცენტრიზმი წინარწმენის დადებითი პრედიქტორი იქნება.

ჰიპოთეზა 2. თვით-გამღიერების ღირებულებები, – მიღწევა, ძალაუფლება-დომინანტობა და ძალაუფლება-რესურსები, – და კონსერვაციის ღირებულებები, განსაკუთრებით კი უსაფრთხოების, ტრადიციისა და კონფორმულობის ღირებულებები, წინარწმენას, ასევე, დადებითად იწინასწარმეტყველებს.

ჰიპოთეზა 3. ღიაობა ცვლილებებისადმი, კერძოდ, სიხალეებისადმი მიმდებლობის გამომხატველი სტიმულაციისა და ჰედონიზმის ღირებულებები, და

თვით-ტრანსცენდენტურობა, განსაკუთრებით კი უნივერსალიზმის ღირებულებები (უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ბუნება და უნივერსალიზმი-ტოლერანტობა), უარყოფითად იწინასწარმეტყველებს წინარწმენას.

ჰიპოთეზა 4. პიროვნული მახასიათებლებისგან (ეთნოცენტრიზმისა და ზემოთ აღნიშნული ღირებულებებისგან) განურჩევლად, ორივე ტიპის საფრთხე წინარწმენის დადებითი პრედიქტორი იქნება და ექსპერიმენტულ პირობებში, საკონტროლო პირობასთან შედარებით, მნიშვნელოვნად მაღალ წინარწმენას ექნება ადგილი.

ჰიპოთეზა 5. როგორც რეალისტური, ისე სიმბოლური საფრთხე გაძლიერებს კავშირს პიროვნულ ცვლადებს – ეთნოცენტრიზმსა და თვით-გაძლიერების და კონსერვაციის ღირებულებებს – და წინარწმენას შორის; სხვა სიტყვებით, საფრთხეები ამ კავშირის მოდერატორი იქნება.

ჰიპოთეზა 5ა. ნავარაუდევია, რომ თვით-გაძლიერების ღირებულებების, განსაკუთრებით კი ძალაუფლება-რესურსების, და რეალისტური საფრთხის ინტერაქციას წინარწმენის უკეთესი ამხსნელი პოტენციალი ექნება, ვიდრე ამ ღირებულებებისა და სიმბოლური საფრთხის ინტერაქციას, ვინაიდან რეალისტური საფრთხე საკუთარ თავში რესურსებზე შეჯიბრს მოიცავს (Stephen and Renfro 2002).

ჰიპოთეზა 5ბ. ნავარაუდევია, რომ კონსერვაციის, განსაკუთრებით კი ტრადიციის, ღირებულებებისა და სიმბოლური საფრთხის (რეალისტურთან შედარებით) ინტერაქცია წინარწმენის ახსნისას უკეთეს სტატისტიკურ მაჩვენებლებს გამოავლენს, რადგან სიმბოლური საფრთხე სწორედ ტრადიციებისადმი მიმართულ საფრთხეს გულისხმობს, განსხვავებული ტრადიციის მატარებელი გარე-ჯგუფები კი მეტი სიმბოლური საფრთხის შემცველად აღიქმებიან მათთვის, ვისთვისაც ასეთი ღირებულებები მნიშვნელოვანია (Stephen, Ybarra and Bachman 1999).

ჰიპოთეზა 5გ. ვინაიდან რეალისტურ საფრთხეს, როგორც წესი, უფრო რაციონალური რეაქციები (მაგ., ინფორმაციის მოძიება გარე-ჯგუფის ირგვლივ ან მასთან მოლაპარაკებები) მოჰყვება (Stephen, Ybarra and Morrison, 2009), ხოლო, ვინაიდან სიმბოლური საფრთხეები უფრო პიროვნულ და ემოციურ დონეზე განიცდება (რამდენადაც ადამიანები მგრძნობიარენი არიან თავიანთი ძირეული ღირებულებებისა

და შეხედულებების მიმართ) (ibid.), ნავარაუდევია, რომ წინარწმენის წინასწარმეტყველებისას, რეალისტურთან შედარებით, სიმბოლური საფრთხე უფრო ძლიერად შევა, ზოგადად, პიროვნულ ცვლადებთან (თვით-გამლიერების ღირებულებების გამოკლებით; იხ. *ჰიპოთეზა 5ა*) ინტერაქციაში, სხვა სიტყვებით – მათი ინტერაქცია უფრო მაღალ სტატისტიკურ მაჩვენებლებს გამოავლენს. მართლაც, მოდერაციული მიდგომა გულისხმობს, რომ პიროვნული დისპოზიციები (მაგ., ეთნოცენტრიზმი ან ტრადიციული ღირებულებების ერთგულება, ამ შემთხვევაში) შესაბამისი კონტექსტის გავლენით (ამ შემთხვევაში, აღქმული სიმბოლური საფრთხის გამო) უფრო გამოკვეთილი ხდება და, შესაბამისად, მათი კომბინაცია უფრო მეტ „ძალას იკრებს“ წინარწმენის გასაღვივებლად (Cohrs and Ibler 2009).

2. მეთოდი

2.1. შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის, მათ შორის, ილიაუნის, თსუ-ს, სამედიცინო უნივერსიტეტის, GIPA-სა და სხვ., ბაკალავრის საფეხურის სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენელმა 611-მა სტუდენტმა. მათი უმრავლესობა – 95.1% – ეთნიკური ქართველი იყო, ხოლო დანარჩენები ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენდნენ, კერძოდ, სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, უკრაინელებსა და ოსებს. მონაცემების ჰომოგენურობის შენარჩუნების მიზნით, მონაცემთა ბაზიდან ამოვიღე კვლევის ყველა ეთნიკურად არაქართველი მონაწილე. შედეგად, ბაზაში 589 მონაწილის მონაცემი დარჩა.

589 მონაწილიდან 92% საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მართლმადიდებელ ქრისტიანთან ახდენდა, 4.4%-ის თქმით, ისინი არც ერთ რელიგიურ აღმსარებლობას არ განეკუთვნებოდნენ, ხოლო 13-მა (3.4%) მონაწილემ კითხვას საერთოდ არ გასცა პასუხი.

მათი რელიგიურობის დონის საშუალო ქულა 6.36 ($N=582$, $SD=2.41$) იყო, მინიმალური 1 ქულითა და მაქსიმალური 10 ქულით.

მათ მშობლებს, უმეტესწილად, უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული, კერძოდ, მონაწილეთა თქმით, 426 (73.8%) მათგანის დედა და 417-ის (72.4%) მამა უმაღლესი განათლებისა იყო, პროფესიული განათლება 90-ის (15.6%) დედასა და 95-ის (16.6%) მამას ჰქონდა, საშუალო კი 61-ის (10.6%) დედასა და 63-ის (11%) მამას. 12-მა მონაწილემ არ დაასახელა დედის, 14-მა კი მამის განათლების დონე.

კვლევის 423 (72%) მონაწილე ქალი იყო, 166 (28%) – კაცი², მათი საშუალო ასაკი კი 20.37-ს ($SD=3.98$) შეადგენდა, დაწყებული 18 წლიდან 25 წლით დამთავრებული.

² გენდერის არათანაბარი განაწილება სტუდენტთა პოპულაციაში არსებულ ვითარებას ასახავს: პოპულაცია, საიდანაც მოცემული შერჩევა იყო აღებული, აერთიანებს სტუდენტებს ჰუმანიტარული, სოციალური და სამედიცინო მეცნიერებებიდან, სადაც ქალების რიცხვი საგრძნობლად აჭარბებს კაცების რიცხვს. ამასთან, კვლევის დიზაინიდან გამომდინარე, მთავარი სამ (ორ ექსპერიმენტულ და საკონტროლო) ჯგუფში ეკვივალენტურობის შენარჩუნება იყო – პირობა, რომელიც დაცულ იქნა (იხ. ცხრილები 2, 3, 4 და 5).

ექსპერიმენტულ (სიმბოლური და რეალისტური საფრთხის) და საკონტროლო („უსაფრთხო“) ჯგუფებს შორის ასაკის განაწილების ეკვივალენტურობის შესამოწმებლად, გამოყენებულ იქნა ცვალებადობის ჰომოგენურობის საზომი. ჯგუფების საშუალოებისა ($p=.193$) და მედიანების ($p=.680$) შედარებამ აჩვენა, რომ ჯგუფებს შორის არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2.

ასაკისა და რელიგიურობის დონის საშუალოები და სტანდარტული გადახრები ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში

| | ასაკი | | | რელიგიურობის დონე | | |
|--------------------|-------|-------|------|-------------------|------|------|
| | N | M | SD | N | M | SD |
| საფრთხეები | | | | | | |
| რეალისტური საფრთხე | 197 | 20.08 | 1.95 | 196 | 6.26 | 2.4 |
| სიმბოლური საფრთხე | 196 | 20.15 | 2.21 | 195 | 6.68 | 2.65 |
| „უსაფრთხო“ | 196 | 20.08 | 1.61 | 191 | 6.13 | 2.29 |

მსგავსადვე, ცვალებადობის ჰომოგენურობის საზომმა ჯგუფების საშუალოებსა ($p=.062$) და მედიანებზე ($p=.076$) დაყრდნობით, აჩვენა, რომ მონაწილეები რელიგიურობის დონის მიხედვითაც თანაბრად იყვნენ განაწილებულნი ექსპერიმენტულ და საკონტროლო პირობებში (იხ. ცხრილი 2).

ასევე, კროსტაბულაციების მიხედვით, მართალია, სამივე ჯგუფში ქალების რაოდენობა კაცებისას საგრძნობლად აღემატებოდა, გენდერული განაწილება მაინც მსგავსი იყო სამ ჯგუფში (იხ. ცხრილი 3).

ამავენაირად, კროსტაბულაციებმა აჩვენა, რომ მონაწილეთა დედისა და მამის განათლების დონეც თანაბრად იყო ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში განაწილებული. სამივე შემთხვევაში მეტი იყო მონაწილე უმაღლესი განათლების მშობლებით, რასაც მშობელთა პროფესიული და საშუალო განათლება მოჰყვებოდა (იხ. ცხრილები 4 და 5).

მონაცემების შეგროვება მოიცავდა 2015 წლის დეკემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე პერიოდს.

ცხრილი 3.

სქესის სიხშირული განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში

| | კაცები N=166 | ქალები N=423 |
|-----------------------------|-----------------|-----------------|
| <i>საფრთხეები</i> | | |
| რეალისტური საფრთხე N=197 | 56 | 141 |
| სიმბოლური საფრთხე N=196 | 65 | 131 |
| „უსაფრთხო“ N=196 | 45 | 151 |

ცხრილი 4.

დედის განათლების სიხშირული განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში

| | უმაღლესი განათლება N=426 | პროფესიული განათლება N=90 | საშუალო განათლება N=61 |
|-----------------------------|-----------------------------|------------------------------|---------------------------|
| <i>საფრთხეები</i> | | | |
| რეალისტური საფრთხე N=191 | 148 | 23 | 20 |
| სიმბოლური საფრთხე N=193 | 131 | 37 | 25 |
| „უსაფრთხო“ N=193 | 147 | 30 | 16 |

ცხრილი 5.

მამის განათლების სიხშირული განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში

| | უმალესი განათლება N=417 | პროფესიული განათლება N=95 | საშუალო განათლება N=63 |
|-----------------------------|----------------------------|------------------------------|---------------------------|
| <i>საფრთხეები</i> | | | |
| რეალისტური საფრთხე N=190 | 136 | 33 | 21 |
| სიმბოლური საფრთხე N=194 | 138 | 33 | 23 |
| „უსაფრთხო“ N=191 | 143 | 29 | 19 |

2.2. პროცედურა

კვლევის დაწყებამდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას განხილვისთვის გადაეცა კვლევის დეტალური პროექტი და კვლევის ჩატარება მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყო.

ამის შემდეგ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, მომზადდა მოკლე ინფორმაციული ტექსტი კვლევის შესახებ, რომლითაც უნივერსიტეტების ადმინისტრაციისგან ვითხოვდი ნებართვას, ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებთან 20-30 წუთის განმავლობაში ეს კვლევა ჩამეტარებინა.

თანხმობის მიღების შემდეგ, ადმინისტრაციასთან კოორდინირებულად, შევდიოდი აუდიტორიებში და პოტენციურ მონაწილეებს ვეკითხებოდი, ჰქონდათ თუ არა სადოქტორო დისერტაციებისთვის გამიზნულ კვლევებში მონაწილეობის სურვილი, რაც მათ 20-30 წუთს წაართმევდა. მათი თანხმობის შემდეგ, კვლევის დიზაინიდან გამომდინარე, ვეუბნებოდი, რომ ორი სხვადასხვა დისერტაციისთვის ორი სხვადასხვა კვლევა ტარდებოდა და დროის დაზოგვის მიზნით, ორივეს ერთსა და იმავე ჯგუფში ვატარებდი; რომ ერთი კვლევა ეხებოდა ღირებულებებსა და ეთნო-კულტურულ

დამოკიდებულებებს, მეორე კი მედიის როლს, კერძოდ, თუ როგორ აშუქებს ადგილობრივი მედია ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორ აწვდის მკითხველს ინფორმაციას და რა როლს თამაშობს, ზოგადად, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. განვუმარტავდი, რომ სწორი და არასწორი პასუხები არ არსებობს და ვთხოვდი, მაქსიმალურად გულწრფელები ყოფილიყვნენ. ასევე, ვეუბნებოდი, რომ პასუხები ანონიმური იყო და მათი კონფიდენციალობა დაცული იქნებოდა, და რომ კითხვარების შევსების შემდეგ აუდიტორიაში დარჩენილიყვნენ. უფრო კონკრეტულად, შესავალი ინსტრუქცია შემდეგნაირი იყო:

„მე ვარ ანა მაყაშვილი, ილიაუნის დოქტორანტი და ჩემი და ჩემი კოლეგის დისერტაციებისთვის მონაცემების შეგროვება მინდა. მართალია, ჩვენი კვლევები საკმაოდ განსხვავებულ თემებს ეხება, მაგრამ მონაცემების შეგროვება გვეჩქარება და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა თქვენგანმა ორივე კვლევაში მიიღოს მონაწილეობა. ვვარაუდობ, რომ სადღაც 20-30 წუთი დაგჭირდებათ. ასე რომ, თუ არ გაქვთ ამდენი დრო, მაშინ უმჯობესია, არც დაიწყოთ შევსება.

პირველი კვლევა ეხება ღირებულებებსა და ეთნიკურ-კულტურულ დამოკიდებულებებს. ამასთან დაკავშირებით, მოგცემთ ორ კითხვარს. გახსოვდეთ, რომ სწორი და არასწორი პასუხები აქ არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ გულწრფელი პასუხები გასცეთ და თქვენი პირველი რეაქციები გამოხატოთ.

მეორე კვლევა კი შეისწავლის მედიის როლს, კერძოდ, როგორ აშუქებს ადგილობრივი მედია ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას; რამდენად გასაგებად აწვდის ინფორმაციას მკითხველს; რა როლს თამაშობს, ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულებებში. ამისათვის მოგაწვდით პატარა ზომის საგაზეთო სტატიას, რომლის შემდეგაც ვთხოვთ, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უპასუხოთ შეკითხვებს. აქაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პასუხებში გულწრფელები იყოთ და პირველი შთაბეჭდილებები თუ რეაქციები გამოხატოთ.

სულ ბოლოს კი რამდენიმე მარტივ, დემოგრაფიულ კითხვას უნდა გასცეთ პასუხი.

მნიშვნელოვანია, იმ თანმიმდევრობით შეავსოთ კითხვარები, რა თანმიმდევრობითაც მოგაჩვენებთ.

სახელისა და გვარის დაფიქსირება არც ერთი კვლევისთვის არაა საჭირო. ამდენად, თქვენი პასუხები სრულიად ანონიმურია.

ასევე, გთხოვთ, რომ როცა ყველა კითხვარს შეავსებთ, არ გახვიდეთ აუდიტორიიდან, სანამ ყველა არ დაასრულებს მუშაობას და კიდევ 5-10 წუთი დარჩეთ.

წინასწარ ძალიან დიდ მადლობას გიხდით დახმარებისთვის. ყოველი თქვენგანის დრო და ძალისხმევა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“

ამის შემდეგ, სტუდენტებს ეძლეოდათ კვლევის მასალები. პირველ რიგში, ავსებდნენ ეთნოცენტრიზმისა და ღირებულებების კითხვარს. ამის შემდეგ, – რათა ჰქონოდათ განცდა, რომ „პირველი კვლევის“ კითხვარების შევსება დაასრულეს და რომ „მეორე კვლევაზე“ უნდა დაიწყონ მუშაობა, – კითხულობდნენ შემდეგ ინსტრუქციას, სათაურით „მედია-კვლევა“:

„თქვენ გაეცნობით სტატიას ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთიდან.

ჩვენი კვლევის მიზანია, შეისწავლოს მედიის როლი თანამედროვე ყოფაში, კერძოდ კი ის, თუ როგორ ამუშავებს ადგილობრივი მედია ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას; რამდენად გასაგებად და ობიექტურად აწვდის ინფორმაციას მკითხველს; რა გავლენას ახდენს, ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულებებზე.

გთხოვთ, რომ ყურადღებით წაიკითხოთ სტატია, ამის შემდეგ კი, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უპასუხოთ შეკითხვებს. კვლევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გულწრფელი პასუხები გასცეთ და პირველი შთაბეჭდილებები თუ რეაქციები გამოხატოთ.

თქვენი პასუხები სრულიად ანონიმურია!

დიდ მადლობას გიხდით წინასწარ, კვლევაში გაწეული დახმარებისთვის, თქვენი დროისა და ძალისხმევისთვის!”

ამის შემდეგ სტუდენტები უკვე კითხულობდნენ საგაზეთო ტიპის ერთ-გვერდიან ტექსტს გამოგონილი გარე-ჯგუფის შესახებ. შემდეგ პასუხობდნენ ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებს, შემდეგ წინარწმენის კითხვარს (სოციალური დისტანციის განახლებულ სკალას) ავსებდნენ, რომლის დებულებები ტექსტში აღწერილ ჯგუფს – აბირიელებს – ეხებოდა, და ბოლოს, პასუხობდნენ დემოგრაფიული შინაარსის შეკითხვებს.

როცა ყველა სტუდენტი ასრულებდა მუშაობას, იწყებოდა ე.წ. დებრიფინგი (კვლევის შემდგომი ინტერვიუ): მათ განემარტებოდათ კვლევის ნამდვილი მიზნები, ეძლეოდათ დრო, დაესვათ კითხვები და მიეღოთ ამომწურავი პასუხები, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ კვლევის შემადგენელ ტყუილს მათში უსიამოვნება არ გამოეწვია.

2.3. კვლევის დიზაინი

კვლევაში გამოყენებული იყო 2X19X3 ჯგუფთაშორისი ფაქტორული დიზაინი. დამოუკიდებელი (პრედიქტორი) ცვლადები იყო ეთნოცენტრიზმი ორი დონით (ეთნოცენტრიზმი და მისი არ-არსებობა) და ღირებულებები 19 დონით (კერძოდ, 19 ღირებულება: ავტონომიური აზროვნება, ავტონომიური მოქმედება, სტიმულაცია, ჰედონიზმი, მიღწევა, ძალაუფლება-დომინანტობა, ძალაუფლება-რესურსები, იმიჯი, პირადი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ტრადიცია, კონფორმულობა-წესები, ინტერპერსონალური კონფორმულობა, თავმდაბლობა, უნივერსალიზმი-ბუნება, უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ტოლერანტობა, კეთილგანწყობა-ზრუნვა, კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება); მოდერატორ (მანიპულაციურ) ცვლადად გამოყენებული იყო საფრთხე სამი დონით: რეალისტური საფრთხე (N=197) და სიმბოლური საფრთხე (N=196) ექსპერიმენტულ პირობებში და „უსაფრთხო“ სიტუაცია (N=196) საკონტროლო პირობაში; ხოლო დამოკიდებული ცვლადი წინარწმენა იყო, კერძოდ, ერთი სკალით გაზომილი წინარწმენის ორი ფორმა: მეტად სენსიტიური

წინარწმენა და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა (იხ. თავები 2.4.3 და 3.1).

2.4. საზომები

2.4.1. დამოუკიდებელი ცვლადები

2.4.1.1. ეთნოცენტრიზმის საზომი

ეთნოცენტრიზმი ეთნოცენტრიზმის სკალით (Ethnocentrism Scale) გაიზომა (Neuliep and McCroskey 2013), რომელიც ლიკერტის სკალის 22 ხუთ-ქულიანი დებულებისგან შედგება, როგორცაა „სხვა კულტურათა უმეტესობა ჩემს კულტურასთან შედარებით ჩამორჩენილია“ ან „განსხვავებულ ადამიანებს არ ვენდობი“ (1=საერთოდ არ ვეთანხმები, 5=სრულიად ვეთანხმები).

ავტორთა ინსტრუქციით, უარყოფითად და დადებითად ფორმულირებული დებულებების დასაბალანსებლად შექმნილი შვიდი დებულება ანალიზის დროს უნდა ამოვიღოთ. დარჩენილი 15 დებულებიდან კი სამი დებულება უარყოფითადაა ფორმულირებული და რევერსიულ კოდირებას საჭიროებს.

თუმცა, CFA-მ აჩვენა, რომ ქართულენოვან ვერსიაში, დაბალი დატვირთვის გამო, კიდევ ერთი დებულება („სხვა კულტურები ჭკვიანები არიან და ჩვენს კულტურას პატივს სცემენ“) უნდა ამომეღო, რის შემდეგაც მორგების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მივიღე, $\chi^2(68, 317)=100.42$, $p=.000$, CFI=.940, TLI=.920, RMSEA=.039, SRMR=.016.

შესაბამისად, 14 დებულების მონაცემები გაანალიზდა. ამ ოდნავ შეცვლილი სკალის მიხედვით, უმაღლესი შესაძლო ქულა 70 იყო (ეთნოცენტრიზმის მაღალ დონეზე მიმანიშნებელი), ყველაზე დაბალი შესაძლო ქულა კი 14 (ეთნოცენტრიზმის დაბალ დონეზე მიმანიშნებელი).

კრონბახის ალფა ეთნოცენტრიზმის სკალისათვის .765 იყო.

2.4.1.2. ღირებულებების საზომი

ღირებულებების საზომად გამოყენებული იყო შვარცის ღირებულებების კითხვარი, Portraits Values Questionnaire-Revised (PVQ-RR) (Schwartz et al. 2012). კითხვარი ლიკერტის ექვს-ქულიანი სკალის 57 დებულებისაგან შედგება, როგორცაა „მისთვის მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს ტრადიციული ღირებულებები და აზრები” ან „მისთვის მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღოს ბუნების დაცვის ღონისძიებებში.” რესპონდენტმა უნდა აღნიშნოს, რამდენად ჰგავს მას დებულებაში აღწერილი ადამიანი (1=საერთოდ არ მგავს, 6=ძალიან მგავს).

ეს 57 დებულება 19 ღირებულებად ერთიანდება, თითოეულ ღირებულებას კი სამი დებულება ზომავს. თავის მხრივ, 19 ღირებულებაც უფრო მაღალი რიგის ოთხ ღირებულებად ერთიანდება, როგორცაა თვით-ტრანსცენდენტურობა, თვით-გაძლიერება, ღიაობა ცვლილებებისადმი და კონსერვაცია. და ასევე, ეს ოთხი ღირებულებაც ორ ე.წ. მეგა-ღირებულებაშია გადანაწილებული, კერძოდ, თვით-გაძლიერება და კონსერვაცია თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებში ხვდება, ხოლო თვით-ტრანსცენდენტურობა და ღიაობა ცვლილებებისადმი – ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებში (იხ. ილუსტრაცია 1). თუმცა, სტატისტიკური ანალიზების უმეტესობა მხოლოდ 19 ღირებულებაზე ტარდება.

ღირებულებების ეს საზომი უახლესია შვარცის კითხვარებს (SVS, Schwartz 1992; PVQ, Schwartz et al. 2001) შორის, რომლებიც 19-ის ნაცვლად, 10 ღირებულებას ზომავს. ცხრა ღირებულების დამატება და PVQ-RR-ის შექმნა ზემოაღნიშნული ორი კითხვარის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას – მრავალგანზომილებიან სკალირებასა და დამადასტურებელ ფაქტორულ ანალიზს (CFA) – და თეორიულ მოსაზრებებს ეფუძნება (Schwartz et al. 2012).

მოცემული კვლევის საპილოტე ეტაპზე, რომელშიც 317 ბაკალავრი სტუდენტი მონაწილეობდა (29% – კაცი, 71% – ქალი, საშუალო ასაკით 20.50 (SD=1.56)), Mplus-ში (Muthén & Muthén 2010) ღირებულებების საზომს CFA ჩაუტარდა. ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულენოვანი ვერსიით მიღებული მონაცემების ფაქტორული სტრუქტურა,

პრაქტიკულად, იმეორებს ორიგინალ სტრუქტურას, შესაბამისად, მორგების მაჩვენებლებიც დამაკმაყოფილებელი იყო (იხ. ცხრილი 6) (იხ. ასევე, ჯავახიშვილი და სხვ., 2016)³.

ავტორთან შეთანხმებით, ოთხი ლატენტური ფაქტორისთვის ანალიზი ცალ-ცალკე იქნა ჩატარებული.

ცხრილი 6.

ღირებულებების კითხვარის დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის შედეგები

| | χ^2 | <i>Df</i> | p | CFI | TLI | RMSEA | SRMR |
|------------------------|----------|-----------|------|------|------|-------|------|
| <i>PVQ-RR</i> | | | | | | | |
| თვით-ტრანსცენდენტურობა | 95.88 | 36 | .000 | .961 | .954 | .032 | .016 |
| თვით-გამღიერება | 71.95 | 24 | .000 | .949 | .923 | .045 | .018 |
| ღიაობა ცვლილებებისადმი | 149.94 | 50 | .000 | .930 | .916 | .052 | .014 |
| კონსერვაცია | 203.78 | 68 | .000 | .934 | .918 | .032 | .017 |

პირველი ფაქტორი – თვით-ტრანსცენდენტურობა – მოიცავს ხუთ სამ-სამი დებულებით გაზომილ ღირებულებას: კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება, კეთილგანწყობა-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ბუნება და უნივერსალიზმი-ტოლერანტობა.

მეორე ფაქტორი, თვით-გამღიერება სამ (ასევე სამ-სამ დებულებიან) ღირებულებას მოიცავს: მიღწევას, ძალაუფლება-დომინანტობასა და ძალაუფლება-რესურსებს.

მესამე ფაქტორი, ღიაობა ცვლილებებისადმი, ოთხ (სამ-სამ დებულებიან) ღირებულებას აერთიანებს: ავტონომიური აზროვნება, ავტონომიური მოქმედება,

³ PVQ-RR-ისა და ეთნოცენტრიზმის სკალის ქართულენოვანი ვალიდირებული ვერსიები (ისევე, როგორც სხვა ვალიდირებული კითხვარები) სამეცნიერო მიზნებისთვის ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის განყოფილებაში: <http://research-instruments.iliauni.edu.ge/>.

სტიმულაცია და ჰედონიზმი.

ხოლო მეოთხე ფაქტორში, კონსერვაციაში, შვიდი (სამ-სამ დებულებიანი) ღირებულებაა გაერთიანებული: იმიჯი, პირადი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ტრადიცია, კონფორმულობა-წესები, ინტერპერსონალური კონფორმულობა და თავმდაბლობა.

2.4.2. მოდერატორი ცვლადი: საფრთხით მანიპულაცია

საფრთხის ეფექტების გასაზომად, შევადგინე ერთ-გვერდიანი საგაზეთო ტიპის ტექსტები გამოგონილი (არ-არსებული) გარე-ჯგუფის, „აბირიელების“ შესახებ. ექსპერიმენტული ჯგუფებისთვის (სიმბოლური და რეალისტური საფრთხეების პირობები) განკუთვნილ ტექსტებში „აბირიელებისგან“ მოსალოდნელ საფრთხეებზე იყო ლაპარაკი, ხოლო საკონტროლო („უსაფრთხო“) პირობაში ეს ჯგუფი ნეიტრალურ ტერმინებში იყო აღწერილი. ტექსტები ისე იყო დაკაბადონებული, რომ მკითხველს რეალური საგაზეთო გვერდის ასლი ჰგონებოდა (იხ. დანართი 3).

მსგავსი არარეალური ჯგუფების მიმართ წინარწმენის გაზომვა სოციალურ ფსიქოლოგიაში ხშირად არ ხდება, თუმცა, არც სიახლეს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ჰარტლიმ (1946) წინარწმენა რამდენიმე ეთნიკური და რასობრივი ჯგუფის (მაგ., შაკვანიანებისა და ებრაელების) მიმართ გაზომა და ამ ჯგუფებს შორის არარსებული ჯგუფებიც, „დანირეელები“, „პირენეელები“ და „ვალონიელები“, შეიყვანა; აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც დაბალი მიმდებლობა ჰქონდათ რეალური გარე-ჯგუფებისადმი, დაბალი მიმდებლობა ჰქონდათ არარსებული ჯგუფების მიმართაც (Hartley). მაიომ და კოლეგებმა (1994) იმიგრანტებისადმი დამოკიდებულების გასაზომად ონტარიოს (კანადა) მკვიდრ კვლევის მონაწილეებს ბროშურები დაურიგეს, სადაც კანადაში „კამარიელების“ ჩასახლებაზე იყო ლაპარაკი – ამ გამოგონილი ჯგუფის წევრებისადმი დამოკიდებულებები მაშინ უფრო უარყოფითი იყო, როცა მათი ღირებულებები და პიროვნული თვისებები უარყოფით კონტექსტში იყო წარმოჩენილი (Maio, Esses and Bell). მსგავსად, იმის დასადგენად, თუ რამდენად იწვევს გარე-ჯგუფის განსხვავებული

ღირებულებები საფრთხის აღქმას, როჰმანმა (2008) და კოლეგებმა ამ ჯგუფის როლში გამოგონილი გარე-ჯგუფი გამოიყენეს (Rohmann, Piontowski and Randenborgh).

რეალური ჯგუფის (რუანდელების) შესახებ, თუმცა, სტივენმა და კოლეგებმა (2005) რეალისტური და სიმბოლური საფრთხეების მანიპულაციის მიზნით, შექმნეს ყალბი საგაზეთო სტატიები, სადაც ლაპარაკი იყო ამ ჯგუფის ჩასახლებაზე ნიუ მეხიკოში (Stephen et al.); ასეთივე მიდგომას მიმართეს კორსმა და იბლერმა (2009) გერმანიაში თურქების მიმართ წინარწმენის გასაზომად (Cohrs and Ibler).

საფრთხის ექსპერიმენტული მანიპულაციის გზით გაზომვის კიდევ ერთი მიზეზი იმ ინსტრუმენტის საექვო ვალიდობა იყო, რითაც უმეტეს კვლევებში (მაგ., Stephen et al. 1998; Stephen et al. 2002; Aberson and Gaffney 2008; Myers et al. 2013; Dunwoody and McFarland 2017) ხდება საფრთხეთა შესწავლა; კერძოდ, საფრთხეებს რამდენიმე, ხშირად 12 (მაგ., Stephen et al. 2002) ან ნაკლები დებულებისაგან (მაგ., Dunwoody and McFarland, 2017) შემდგარი კითხვარებით ზომავენ; ამ დებულებათა მაგალითებს რეალისტური საფრთხის შემთხვევაში განეკუთვნება შემდეგი: „შავკანიანები ზედმეტად ბევრი ძალაუფლების პოზიციითა და პასუხისმგებლობით სარგებლობენ ამ ქვეყანაში“ ან „შავკანიანებს ამ ქვეყანაში იმაზე მეტი ეკონომიკური ძალაუფლება აქვთ, ვიდრე იმსახურებენ“ (Stephen et al. 2002), სიმბოლური საფრთხის შემთხვევაში კი ასეთი დებულებები გამოიყენება: „შავკანიანებსა და თეთრკანიანებს განსხვავებული ოჯახური ფასეულობები აქვთ“ ან „შავკანიანების ღირებულებები მუშობასთან დაკავშირებით განსხვავდება თეთრკანიანთა ღირებულებებისგან“ (ibid.). ეს დებულებები საზომის ვალიდობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ნამდვილად იძლევა, ვინაიდან თავისუფლად შეიძლება, არა საფრთხეს, არამედ პიროვნებაში უკვე არსებულ წინარწმენას ზომავდეს გარე-ჯგუფის მიმართ, და, გარდა ამისა, საფრთხის სიტუაციურ ცვლადად განხილვას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათწლეულის წინ, რეალისტური კონფლიქტი და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების სიმბოლური თეორიები – სხვა სიტყვებით, რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები – ლიტერატურაში ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ ფენომენებად იყო განხილული (Riek, Mania and

Gaertner 2006), მაინც არის საშიშროება, რომ კონკრეტულ შემთხვევებში მათ ერთმანეთი მოიცვან და გადაფარონ: მაგალითად, გარკვეული რელიგიური ჯგუფისგან წამოსული სიმბოლური საფრთხე შეიძლება, ამავე დროს, რეალისტურ საფრთხესაც გულისხმობდეს (ან მასში გადაიზარდოს) და პირიქით (ibid.). ამდენად, ამ ორი სახის საფრთხის განსხვავებულ ეფექტებზე დასაკვირვებლად, მოცემული კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო, რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები ერთმანეთისგან მკაფიოდ გამემიჯნა, რის საშუალებასაც, ამ ორი საფრთხის განმარტებაზე (Stephen, Ybarra and Morisson 2009) დაყრდნობით, საგაზეთო სტატიის სტილში დაწერილი ტექსტები იძლეოდა.

მოცემულ კვლევაში, ექსპერიმენტულ პირობებთან (ანუ რეალისტურ და სიმბოლურ საფრთხეებთან) დაკავშირებულ „სტატიებში“ ლაპარაკი იყო, რომ გაერო საქართველოში ღაზას სექტორში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის, აბირიელების ჩასახლებას გეგმავდა და აღწერილი იყო საფრთხეები, რაც შეიძლება ამ ჯგუფის საქართველოში გადმოყვანას გამოეწვია.

უფრო კონკრეტულად, „საგაზეთო“ ტექსტის ერთ ვერსიაში აბირიელები აღწერილნი იყვნენ, როგორც რეალისტური საფრთხის შემცველნი საქართველოსთვის. ეს საფრთხეები უკავშირდებოდა კონკურენციას სამუშაო ადგილებისა და უმაღლესი განათლებისთვის, გაზრდილ გადასახადებს და ისეთი დაავადებების გავრცელების საშიშროებას, როგორც ჰეპატიტი C-ა. მაგალითად, ფრაგმენტი ამ სტატიიდან:

„ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოში ჩამოსულ აბირიელებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაუყოვნებლივ დასჭირდებათ სამუშაო ადგილები. ნავარაუდევია, რომ მათი დასაქმების მიზნით, სახელმწიფოს მოუწევს მცირე ბიზნესის განსაკუთრებული ხელშეწყობა. განათლებისა და დასაქმებისუნარიანობის საერთაშორისო ინდექსის (IIEE) მიხედვით, აბირიელები არ ჩამოუვარდებიან ევროპის წამყვან ქვეყნებს, რაც ნიშნავს, რომ როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ისე შრომით ბაზარზე, ადგილობრივ მოსახლეობას ადვილად გაუწევენ კონკურენციას.“

„სტატიის“ მეორე ვერსიაში აბირიელები საქართველოსთვის სიმბოლური

საფრთხის შემცველად იყვნენ წარმოჩენილნი, ეს საფრთხეები კი, უმეტესად, უკავშირდებოდა იმ კულტურულ სხვაობებს, რის მიმართაც, სხვადასხვა ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის კვლევების (მაგ., CRRC 2015; NDI 2016; იხ. სუმბაძე 2012) თანახმად, ქართველები მგრძნობიარენი არიან; გარე-ჯგუფი დახასიათებული იყო, როგორც ერთიანი რელიგიის არ-მქონე, ჰომოსექსუალური ქორწინების მომხრე და საქართველოსთვის არაჩვეული ტრადიციებისა და ღირებულებების მატარებელი. მაგალითად:

„ორგანიზაციის ინფორმაციით, აბირიელები ერთგვარად შერეულ რასას წარმოადგენენ – ე.წ. კავკასიური (თეთრკანიანი) და აზიური რასების ნაზავს. იმის გამო, რომ ისინი მუსლიმური და იუდაისტური კულტურების გასაყარზე ცხოვრობენ, ისტორიულად მათ არ გააჩნიათ ერთიანი რელიგია, რის შედეგადაც ზოგი მათგანი მუსლიმობის მიმდევარია, ზოგი – იუდაიზმის, ზოგი კი ამ ორი განსხვავებული რელიგიის საფუძველზე კულტურულად აღმოცენებულ რიტუალურ პრაქტიკებს მისდევს, თუმცა, მსოფლიო რელიგიათა საერთაშორისო კვლევის ცენტრის (IRCWR) მიხედვით, მათი უმრავლესობა საერთოდ არ განეკუთვნება არც ერთ კონფესიას.“

„სტატის“ მესამე ვერსია, რომელიც საკონტროლო პირობისთვის („უსაფრთხო“ სიტუაცია) იყო შედგენილი, წინა ორს ჰგავდა სტრუქტურითა და სტილით, მაგრამ აბირიელებს ნეიტრალურ ტერმინებში აღწერდა, საფრთხეებზე ყოველგვარი მინიშნებების გარეშე: არ იყო ნახსენები, რომ აბირიელების საქართველოში ჩასახლება იგეგმებოდა, არამედ ეწერა, რომ გაერო ღაზას სექტორში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების აღრიცხვას იწყებდა და მოთხრობილი იყო ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის, აბირიელების, შესახებ. მაგალითად:

„როგორც PCW იუწყება, ამ მომენტისთვის დასრულებულია ღაზას სექტორში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის, აბირის აღწერა. ისტორიული წყაროების მიხედვით, აბირიელები ხსენებულ ტერიტორიაზე მე-18 საუკუნის 1830-იანი წლებიდან

ცხოვრობენ: დაახლოებით იმ დროიდან, როცა პალესტინა ეგვიპტემ დაიპყრო, ხოლო მოგვიანებით, ბრიტანეთის ინტერვენციის შედეგად, რეგიონზე კონტროლი კვლავ ოსმალეთის იმპერიას დაუბრუნდა.”

ერთი მხრივ, მანიპულაციის ეფექტის გასაზრდელად და იმაში დასარწმუნებლად, რომ კვლევის მონაწილეებმა წაიკითხეს და გაიგეს ტექსტი, ხოლო მეორე მხრივ, იმის გასაგებად, განიცადეს თუ არა საფრთხე (სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონსტრუქტის ვალიდობის შესამოწმებლად), სტატიებს მოსდევდა ოთხი კითხვა სტატიის შინაარსთან და სტილთან დაკავშირებით და ორი კითხვა – კონკრეტულად საფრთხის არსებობასა და მის აღქმასთან დაკავშირებით; კერძოდ, რეალისტური და სიმბოლური საფრთხეების შემთხვევაში ეს ორი კითხვა იყო: „სტატიის თანახმად, შეიცავს თუ არა აბირიელების ჩასახლება საქართველოში გარკვეულ საფრთხეებს?“ პასუხები ლიკერტის ხუთ-ქულიან სკალაზე იყო მოცემული (1=*დიახ, საფრთხე სერიოზულია*, 5=*არავითარი საფრთხე არ არსებობს*); და „თქვენ თავად იგრძენით საფრთხე?“ (1=*დიახ, ძლიერად ვიგრძენი*, 5=*საერთოდ არ მიგრძენია*). რაც შეეხება დანარჩენ ოთხ კითხვას, რეალისტური და სიმბოლური საფრთხეებისთვის ეს იყო შემდეგი: „შეაფასეთ სტატიის სტილი“ (*ობიექტური, ავტორს ინფორმაცია კარგად არ აქვს გადამოწმებული, სუბიექტური, სხვა – მიუთითეთ*); „რა არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც იგეგმება აბირიელების ჩასახლება საქართველოში?“ (*საქართველოში შრომითი გარემოს გაუმჯობესება, კულტურათა დაახლოება, ეთნიკური ჯგუფის გაყვანა კონფლიქტის ზონიდან, საქართველოში განათლების დონის ამაღლება*); „ჩამოთვალეთ ის ძირითადი პოტენციური საფრთხეები, რაც აბირიელების ჩამოსვლით შეიძლება შეექმნას საქართველოს მოსახლეობას“; და „რამდენად ამომწურავი იყო სტატიაში მოცემული ინფორმაცია?“ (*ამომწურავი, ინფორმაცია დამაკლდა – ვისურვებდი მეტი მცოდნოდა სტატიაში მოტანილი ფაქტების შესახებ*).

საკონტროლო პირობაში დასმული ოთხი კითხვიდან მხოლოდ მეორე და მესამე კითხვები განსხვავდებოდა ექსპერიმენტული პირობების კითხვებისგან, კერძოდ, საკონტროლო პირობის ეს ორი კითხვა იყო: „რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც გაერო

იწყებს სტატიაში აღნიშნულ მისიას?” (ღაზას სექტორში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან, ამ ეთნიკური ჯგუფების კულტურებთან გაცნობა გაეროს მსოფლიო კულტურული პროგრამების სრულყოფის მიზნით, ეთნიკური ჯგუფების თავისებურებათა შესწავლა მათი დახმარებისა და მხარდაჭერის სრულყოფის მიზნით, ეთნიკური ჯგუფების განათლების ამაღლება); და „ჩამოთვალეთ სტატიაში აღწერილი ის ოთხი ძირითადი თავისებურება, რითაც აბირიელები შეიძლება სხვა ქვეყნებისაგან განსხვავდებოდნენ.”

2.4.3. დამოკიდებული ცვლადი: წინარწმენის საზომი

წინარწმენა გამოგონებული გარე-ჯგუფის მიმართ ბოგარდუსის (1925) სოციალური დისტანციის სკალის (Social Distance Scale) განახლებული ვერსიით გაიზომა. ორიგინალი ვერსია კუმულაციური (გატმანის) სკალის შვიდ დებულებას მოიცავს, რომლებიც განსხვავებულ დისტანციებს ასახავენ, დაწყებული ახლო დისტანციებით („დავქორწინდებოდი [გარე ჯგუფის წევრზე]“), დამთავრებული შორეული დისტანციებით („ქვეყნიდან გავაძევებდი“). თავად ბოგარდუსი თავის სკალას, ძირითადად, ამერიკელი მოსახლეობის დამოკიდებულებების გასაზომად იყენებდა იმიგრანტების მიმართ (Bogardus 1925, 1929a, 1929b, 1933, 1938, 1940, 1958).

თუმცა, საზომი და უმეტესად მისი განახლებული და სახეცვლილი ვერსიები დღემდე ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში სხვადასხვა სახის წინარწმენის გასაზომად (მაგ., Kleinpenning and Hagendoorn 1991; Verkuyten and Kinket 2000; Adewuya and Makanjoula 2005; Snellman and Ekehammar 2005; Sakuragi 2006; Weaver 2008; Binder et al. 2009; Tseung-Wong and Verkuyten 2015).

მიჩნეულია, რომ სოციალური დისტანციის სკალა წინარწმენის დაუფარავ გამოვლინებებს და უფრო ქცევით კომპონენტს ზომავს, განსხვავებით, მაგალითად, გრძნობის თერმომეტრისაგან, რომელიც წინარწმენის აფექტურ კომპონენტზე აკეთებს აქცენტს (Henry 2008; Stefaniak and Bilewicz 2016). საქართველოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი აზრის კვლევების (მაგ., სუმბაძე 2012; CRRC 2015), ადამიანის უფლებებისა (Human Rights Watch 2017) და მედია ანგარიშების (UNDP 2011,

2013, 2014), ისევე, როგორც რეალურ დროში მომხდარი ფაქტების გათვალისწინებით, რაც წინარწმენის ღია ფორმების არსებობაზე მიუთითებს, სოციალური დისტანციის სკალა, ამ შემთხვევაში, შესაბამის საზომად შეიძლება ჩაითვალოს (Javakhishvili 2011; Javakhishvili et al. 2012; ვარდანაშვილი და ჯავახიშვილი 2016; Javakhishvili et al. 2016), მით უფრო, რომ ის წინარწმენის ერთ-ერთ ყველაზე ხელშესახებ თვისებას – გარე-ჯგუფის მიძღვრულობა-მიუღებლობის დონეს – აფასებს.

ამასთან, დოვიდიოს თანახმად, ახლადშექმნილი დამოკიდებულებები, როგორც წესი, უფრო გაცნობიერებული და დაუფარავია (Dovidio 2001), მოცემულ კვლევაში კი დამოკიდებულებები უცნობი ჯგუფის (აბირიელების) მიმართ ყველა შემთხვევაში ახლადშექმნილი დამოკიდებულებებია, რაც სოციალური დისტანციის სკალის გამოყენების მიზანშეწონილობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

მოცემულ კვლევაში სოციალური დისტანციის მოდიფიცირებული კითხვარი ლიკერტის სკალის რვა ხუთ-ქულიანი დებულებისაგან შედგებოდა, როგორცაა, მაგალითად, „დავექორწინდებოდი [აბირიელებზე]“, „მივიღებდი ჩემს უფროსად“, საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი” (1=*არასოდეს ვიზიარებ*, 5=*საერთოდ არ ვიზიარებ*), სადაც მაღალი ქულები წინარწმენის მაღალ დონეზე მიუთითებს.

თუმცა, რვა დებულებით ნაწინასწარმეტყველები ერთი ლატენტური ცვლადისთვის (წინარწმენისთვის) შექმნილ მოდელს, CFA-ს თანახმად, არ ჰქონდა მორგების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები (იხ. თავი 3.1) და სკალა ორ ლატენტურ ფაქტორად დავყავი. ერთი ლატენტური ფაქტორი მეტად სენსიტიური წინარწმენის გამომხატველ სამ დებულებას აერთიანებდა („დავექორწინდებოდი“, „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“ და „დავუმეგობრდებოდი“), მეორე კი ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის გამომხატველ დანარჩენ ხუთ დებულებას („დავუმეგობრდებოდი“, „მივიღებდი მეზობლად“ და ა.შ.) (ფაქტორთა სახელდების საკითხისთვის, იხ. თავი 4.1). ამ მოდელს მორგების კარგი მაჩვენებლები ჰქონდა, რაც დეტალურად შედეგების განყოფილებაშია განხილული.

როგორც მეტად სენსიტიური, ისე ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის მაჩვენებლად თითოეული მონაწილის ქულათა საშუალო იქნა გამოყენებული (თითოეული მონაწილის ქულათა დაჯამების ნაცვლად) ისე, რომ წინარწმენის ორივე ფორმისთვის

ყველაზე მაღალი შესაძლო ქულა 5 იყო (წინარწმენის მაღალ დონეზე მიმანიშნებელი), ყველაზე დაბალი შესაძლო ქულა კი 1 (წინარწმენის დაბალ დონეზე მიმანიშნებელი).

2.4.4. დემოგრაფიული ცვლადები

დემოგრაფიული ცვლადები მოიცავდა თითო კითხვას რესპონდენტის ასაკზე, სქესზე, ეროვნებაზე, რელიგიურ მიკუთვნებულობაზე, რელიგიურობის დონეზე (1=საერთოდ არარელიგიური, 10=მალიან რელიგიური) და მშობლების – როგორც დედის, ისე მამის – განათლების დონეზე.

3. შედეგები

3.1. სოციალური დისტანციის სკალა: დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი

წინარწმენის საზომად გამოყენებული სოციალური დისტანციის სკალის ვალიდობა Mplus-ში (Muthén and Muthén 2010) დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით (CFA) შემოწმდა. პირველი მოდელი მხოლოდ ერთ ლატენტურ ცვლადს – სოციალურ დისტანციას, როგორც ერთ მთლიან კონსტრუქტს – ითვალისწინებდა, ეს ცვლადი კი შესაბამისი რვა დებულებით იყო ნაწინასწარმეტყველები. მაგრამ მოდელმა არ გამოავლინა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები.

ამის შემდეგ, კონცეპტუალური მოსაზრების საფუძველზე, სკალა ორ ლატენტურ ფაქტორად დაყავი. პირველ ფაქტორში შემდეგი სამი დებულება გავერთიანე: „დავექორწინდებოდი [აბირიელზე]“, „მივიღებდი ჩემი შვილის მასწავლებლად“ და „მივიღებდი სამსახურში ჩემს უფროსად“, ხოლო მეორე ფაქტორი დანარჩენ ხუთ დებულებას მოიცავდა: „დავუმეგობრდებოდი“, „მივიღებდი ჩემს მეზობლად“, „საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი“, „მივიღებდი ნაცნობად“, „ქვეყანაში სტუმრად მივიღებდი“.

ამჯერად გაუმჯობესებელი მაჩვენებლები მივიღე, თუმცა ე.წ. მოდელის მოდიფიკაციის ინდექსები მოდელში გარკვეული ცვლილებების შეტანას მთავაზობდა, კერძოდ, პირველი ფაქტორის შემთხვევაში, 1-ლი და მე-2 დებულებების ნაშთების/შეცდომების კორელირებული სახით განლაგებას, მეორე ფაქტორის შემთხვევაში კი მე-3 და მე-5, მე-6 და მე-7, მე-6 და მე-8, და მე-7 და მე-8 დებულებების ნაშთების/შეცდომების კორელირებას.

ამ პროცედურებმა მორგების სასურველი მაჩვენებლები გამოავლინა, $\chi^2(14, 589)=20.38$, $p=.119$, CFI=.997, TLI=.993, RMSEA=.027, SRMR=.018. ფაქტორთა დატვირთვები ცხრილ 7-შია მოცემული.

კორელაცია წინარწმენის ორ ფაქტორს შორის მაღალი დარჩა ($r(587)=.68, p=.000$), თუმცა დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სოციალური დისტანციის სკალა ორი სხვადასხვა ქვესკალისგან შედგება, რომელთაგან ერთი უფრო ინტიმურ, სენსიტიურ დისტანციებს ასახავს მეორე კი ნაკლებ ინტიმურ, ნაკლებ სენსიტიურ დისტანციებს: პირველი ფაქტორის საშუალო ქულა ($N=589, SD=1.03$) – 3.22 საგრძნობლად აღემატებოდა მეორე ფაქტორის საშუალო ქულას ($N=589, SD=.82$) – 2.00.

ცხრილი 7.

სოციალური დისტანციის განახლებული სკალის ფაქტორთა დატვირთვის მონაცემები

| დატვირთვები | |
|-------------------------------------|--------|
| <i>მეტად სენსიტიური წინარწმენა</i> | |
| დავკორწინდებოდი | .63*** |
| მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად | .83*** |
| მივიღებდი სამსახურში ჩემს უფროსად | .82*** |
| <i>ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა</i> | |
| დავუმეგობრდებოდი | .90*** |
| მივიღებდი ჩემს მეზობლად | .91*** |
| საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით | |
| დავჯდებოდი | .73*** |
| მივიღებდი ნაცნობად | .76*** |
| ქვეყანაში სტუმრად მივიღებდი | .66*** |

შენიშვნა. *** $p \leq .001$.

კრონბახის ალფა პირველი ფაქტორისთვის, რომელსაც „მეტად სენსიტიური წინარწმენა“ ვუწოდებ, .829 იყო, ხოლო მეორე ფაქტორისთვის – „ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის“ – .879 (ფაქტორთა სახელდების საკითხისთვის, იხ. თავი 4.1).

3.2. აღწერითი მონაცემები

3.2.1. ეთნოცენტრიზმი, ღირებულებები, მეტად სენსიტიური წინარწმენა და ნაკლებ სენსიტიური: საშუალო ქულები

ეთნოცენტრიზმის საშუალო ქულა მთლიან შერჩევაში (N=589) 30.34 (SD=7.67) იყო; რაც შეეხება დიაპაზონს, მინიმალური ქულა 14 იყო, მაქსიმალური კი 61.

19 ღირებულების საშუალოები, სტანდარტული გადახრები და მინიმალური და მაქსიმალური ქულები მთლიანი შერჩევისთვის ცხრილ 8-შია წარმოდგენილი.

ცხრილი 8.

ღირებულებათა საშუალოები, სტანდარტული გადახრები და მინიმალური და მაქსიმალური ქულები

| | N | M | SD | Min | Max |
|-------------------------------------|-----|------|------|------|------|
| ავტონომიური აზროვნება | 589 | 5.14 | .67 | 2.00 | 6.00 |
| ავტონომიური მოქმედება | 589 | 5.24 | .73 | 2.00 | 6.00 |
| სტიმულაცია | 589 | 4.53 | .94 | 1.33 | 6.00 |
| ჰედონიზმი | 589 | 4.41 | 1.06 | 1.00 | 6.00 |
| მიღწევა | 589 | 4.61 | .95 | 1.33 | 6.00 |
| ძალაუფლება-დომინანტობა | 589 | 2.84 | 1.26 | 1.00 | 6.00 |
| ძალაუფლება რესურსები | 589 | 3.06 | 1.24 | 1.00 | 6.00 |
| იმიჯი | 589 | 5.06 | .86 | 1.00 | 6.00 |
| პირადი უსაფრთხოება | 589 | 4.65 | .94 | 1.33 | 6.00 |
| საზოგადოებრივი უსაფრთხოება | 589 | 5.20 | .86 | 1.00 | 6.00 |
| ტრადიცია | 589 | 4.13 | 1.40 | 1.00 | 6.00 |
| კონფორმულობა-წესები | 589 | 3.87 | 1.21 | 1.00 | 6.00 |
| ინტერპერსონალური კონფორმულობა | 589 | 4.51 | 1.10 | 1.00 | 6.00 |
| თავმდაბლობა | 589 | 3.73 | 1.06 | 1.00 | 6.00 |
| კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება | 589 | 5.33 | .68 | 2.33 | 6.00 |
| კეთილგანწყობა-ზრუნვა | 589 | 5.43 | .67 | 2.50 | 6.00 |
| უნივერსალიზმი-ზრუნვა | 580 | 5.08 | .85 | 1.00 | 6.00 |
| უნივერსალიზმი-ბუნება | 589 | 4.43 | 1.07 | 1.00 | 6.00 |
| უნივერსალიზმი ტოლერანტობა | 589 | 4.64 | .99 | 1.00 | 6.00 |

მეტად სენსიტიური წინარწმენის საშუალო მაჩვენებელი ყველა მონაწილისათვის (N=589) 3.22 (SD=1.03) აღმოჩნდა, მინიმალური 1 ქულითა და მაქსიმალური 5 ქულით.

მთლიან შერჩევას (N=589) უფრო დაბალი საშუალო ქულა აღმოაჩნდა *ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის* შემთხვევაში: 2.00 (SD=.82), თუმცა დიაპაზონი აქაც იგივე იყო, მინიმალური 1 ქულითა და მაქსიმალური 5 ქულით.

3.2.2. სხვაობა სქესის მიხედვით ეთნოცენტრიზმში, ღირებულებებსა და რელიგიურობის დონეში

აღმოჩნდა, რომ კაცები (N=166, M=32.08, SD=8.88), ქალებთან (N=423, M=29.63, SD=7.03), შედარებით, უფრო მაღალ საშუალო ქულებს იღებდნენ ეთნოცენტრიზმში, $t(587)=-3.50, p=.000$.

გენდერული სხვაობები ღირებულებებისთვის ცხრილ 9-შია მოცემული. გაირკვა, რომ *ღიაობისადმი ცვლილებების* ოთხიდან სამი ღირებულება კაც მონაწილეებთან უფრო გამოკვეთილი იყო, ვიდრე ქალებთან. მხოლოდ ავტონომიური აზროვნების ღირებულებაში არ გამოვლენილა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა.

მოსალოდნელად, კაცებმა უფრო მაღალი ქულები მიიღეს *თვით-გაძლიერების* სამივე ღირებულებაშიც.

საპირისპიროდ, ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ *კონსერვაციაში* შემავალი შვიდიდან ოთხ ღირებულებაში. კერძოდ, მათი *პირადი უსაფრთხოების, კონფორმულობა-წესების, ინტერპერსონალური კონფორმულობისა და თავმდაბლობის* საშუალო ქულები მნიშვნელოვნად აღემატებოდა კაცების საშუალო მაჩვენებლებს. გენდერული სხვაობები არ გამოვლენილა იმიჯის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ტრადიციის ღირებულებებისთვის.

ამავენაირად, ქალები, კაცებთან შედარებით, უფრო მაღალ საშუალო ქულებს იღებდნენ *თვით-ტრანსცენდენტურობის* ხუთი ღირებულებიდან ოთხის შემთხვევაში. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება მხოლოდ უნივერსალიზმი-ბუნების შემთხვევაში არ გამოვლენილა.

ცხრილი 9.

ღირებულებათა საშუალოები და სტანდარტული გადახრები კაცებისა და ქალებისთვის

| | კაცები | | | ქალები | | |
|-------------------------------------|--------|----------------|------|--------|-------|------|
| | N | M ⁴ | SD | N | M | SD |
| <i>ცვლილებებისადმი ღიაობა</i> | | | | | | |
| ავტონომიური მოქმედება | 166 | .85 | .73 | 423 | .67 | .72 |
| სტიმულაცია | 166 | .17 | .88 | 423 | -.04 | .84 |
| ჰედონიზმი | 166 | .10 | 1.04 | 423 | -.19 | .98 |
| <i>თვით-გადლიერება</i> | | | | | | |
| ძალაუფლება-დომინანტობა | 166 | -1.31 | 1.28 | 423 | -1.82 | 1.11 |
| ძალაუფლება-რესურსები | 166 | -1.13 | 1.14 | 423 | -1.58 | 1.17 |
| მიღწევა | 166 | .28 | .68 | 423 | .02 | .87 |
| <i>კონსერვაცია</i> | | | | | | |
| პირადი უსაფრთხოება | 166 | -.04 | .87 | 423 | .20 | .75 |
| კონფორმულობა-წესები | 166 | -.79 | 1.09 | 423 | -.59 | 1.05 |
| ინტერპერსონალური-კონფორმულობა | 166 | -.41 | 1.04 | 423 | .14 | .89 |
| თავმდაბლობა | 166 | -.98 | .92 | 423 | -.72 | 1.00 |
| <i>თვით-ტრანსცენდენტურობა</i> | | | | | | |
| კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება | 166 | .72 | .58 | 423 | .84 | .55 |
| კეთილგანწყობა-ზრუნვა | 166 | .74 | .60 | 423 | .96 | .52 |
| უნივერსალიზმი-ზრუნვა | 166 | .31 | .87 | 423 | .65 | .63 |
| უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | 166 | -.10 | 1.05 | 423 | .20 | .88 |

შენიშვნა. ცხრილში მოტანილია მხოლოდ ის ღირებულებები, რომელთა შემთხვევაშიც, T-კრიტერიუმის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p < .05$) სხვაობები გამოვლინდა.

მსგავსი შედეგი დადგა *რელიგიურობის დონისთვის*: აღმოჩნდა, რომ ქალების რელიგიურობის საშუალო ქულები ($N=418, M=6.52, SD=2.29$) უფრო მაღალი იყო, ვიდრე კაცებისა ($N=164, M=5.94, SD=2.65$), $t(580)=2.46, p=.015$.

⁴ ღირებულებათა სკალის (PVQ-RR) ავტორის (იხ. Schwartz et al. 2012) რეკომენდაციით, ჯგუფების საშუალოთა შედარების, მათ შორის, T-კრიტერიუმის გამოყენების, დროს, როცა ღირებულებები დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს, ცენტრირებული ქულები უნდა დავითვალოთ, რის გამოც მოცემულ ცხრილში ღირებულებათა საშუალოები 1-ზე ნაკლებია და ზოგჯერ უარყოფითი ნიშანი აქვს.

3.3. კორელაცია ღირებულებებს შორის

რეგრესიულ ანალიზამდე, პოტენციურ პრედიქტორ ცვლადებს, ანუ, ამ შემთხვევაში, ღირებულებებს, შორის მულტიკოლინიარობის შესამოწმებლად, დათვლილ იქნა კორელაციები 19-ივე ღირებულებისთვის (იხ. ცხრილი 10). კორელაციის კოეფიციენტები არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა .70-ზე მაღალი, რამაც მულტიკოლინიარობის პრობლემა გამორიცხა (Pallant 2010).

მოსალოდნელად, უმეტეს შემთხვევებში, ერთსა და იმავე მაღალი რიგის ღირებულებებში გაერთიანებული ღირებულებები ერთმანეთთან დადებით კორელაციაში აღმოჩნდა.

კერძოდ, *ცვლილებებისადმი ღიაობაში* შემავალი ყველა ღირებულება – ავტონომიური აზროვნება, ავტონომიური მოქმედება, სტიმულაცია და ჰედონიზმი – ერთმანეთს დადებითად დაუკავშირდა.

ამავენაირად, *თვით-გაძლიერების* სამივე ღირებულება – მიღწევა, ძალაუფლება-დომინანტობა და ძალაუფლება-რესურსები – ერთმანეთთან დადებით კორელაციაში იყო.

ოდნავ განსხვავებული სურათი გამოვლინდა *კონსერვაციის ღირებულებების* შემთხვევაში: გამონაკლისებს შორის იყო თავმდაბლობის ღირებულება, რომელიც საერთოდ არ კორელირებდა პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ღირებულებებთან, ხოლო იმიჯის ღირებულებასთან უარყოფითად კორელირებდა; იმიჯთან, ასევე, უარყოფითად იყო დაკავშირებული როგორც კონფორმულობა-წესები, ისე ინტერპერსონალური კონფორმულობა, ხოლო საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან იმიჯი საერთოდ არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირში; საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, ასევე, არ კორელირებდა ინტერპერსონალური კონფორმულობა.

ცხრილი 10.

კორელაციები ღირებულებებს შორის

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | |
|---|---|--------|--------|--------|--------|--------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|--------|
| 1. ავტონომიური აზროვნება | - | .60*** | .35*** | .08* | .14*** | -.09* | -.13*** | -.13** | -.26*** | -.16*** | -.30*** | -.26*** | -.31*** | -.17*** | | | | | | .19*** |
| 2. ავტონომიური მოქმედება | - | - | .37*** | .23*** | .25*** | | -.09* | -.28*** | -.14*** | -.42*** | -.35*** | -.40*** | -.26*** | | -.09* | | | | | .16*** |
| 3. სტიმულაცია | - | - | - | .26** | .22** | | -.12** | -.39*** | -.23*** | -.38*** | -.34*** | -.32*** | -.26*** | -.18*** | -.15*** | .09* | .11* | .16** | | |
| 4. ჰედონიზმი | - | - | - | - | .25*** | .19*** | .31*** | | -.21*** | -.24*** | -.35*** | -.43*** | -.30*** | -.31*** | -.11* | -.18*** | | | | |
| 5. მიღწევა | - | - | - | - | - | .36*** | .48*** | .18*** | -.17*** | -.19*** | -.31*** | -.35*** | -.44*** | -.53*** | -.18*** | -.24*** | -.24*** | -.19*** | -.11* | |
| 6. ძალაუფლება-დომინანტობა | - | - | - | - | - | - | .56*** | .15*** | | -.25*** | -.14*** | -.22*** | -.36*** | -.30*** | -.15*** | -.32*** | -.38*** | -.32*** | -.35*** | |
| 7. ძალაუფლება-რესურსები | - | - | - | - | - | - | - | .17*** | | -.25*** | -.13*** | -.24*** | -.35*** | -.44*** | -.17*** | -.29*** | -.42*** | -.37*** | -.36*** | |
| 8. იმიჯი | - | - | - | - | - | - | - | - | .13** | | .12** | -.24*** | -.08* | -.10* | | | -.29*** | -.29*** | -.39*** | |
| 9. პირადი უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | - | - | .10* | .12** | .20*** | .10* | | | | | -.12** | -.20*** | |
| 10. საზოგადოებრივი უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .17*** | .18*** | | | | | | | .22*** | |
| 11. ტრადიცია | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .18*** | .21*** | .28*** | .09* | .12** | -.18*** | -.10* | -.38*** | |
| 12. კონფორმულობა - წესები | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .29*** | .20*** | -.11* | | | | .14*** | |
| 13. ინტერპერსონალური კონფორმულობა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .41*** | .12** | .24** | .16*** | .10* | | |
| 14. თავმდაბლობა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .12** | .10* | | | |
| 15. კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .37** | | | | |
| 16. კეთილგანწყობა - ზრუნვა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | .15*** | | | |
| 17. უნივერსალიზმი - ზრუნვა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | -.28*** | .41*** | |
| 18. უნივერსალიზმი - ბუნება | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | -.23*** | |
| 19. უნივერსალიზმი - ტოლერანტობა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |

შენიშვნა. ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$, ** $p \leq .005$, * $p \leq .05$. გამოტოვებული ადგილები კორელაციის არამნიშვნელოვნებას მიუთითებს, ხოლო ხაზები – იმას, რომ მაჩვენებლები ამ ცხრილში უკვე აღნიშნული იყო.

რაც შეეხება *თვით-ტრანსცენდენტურობის ღირებულებებს*, კეთილგანწყობა-ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც შიდა-ჯგუფის წევრად ყოფნაზეა ორიენტირებული, მხოლოდ მონათესავე კეთილგანწყობა-ზრუნვის ღირებულებას დაუკავშირდა დადებითად, ხოლო უფრო ფართო ჯგუფების, მათ შორის, გარე-ჯგუფების, კეთილდღეობობასა და განსხვავებული ადამიანების მიღებაზე ორიენტირებულ უნივერსალისტურ ღირებულებებს (უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ბუნება, უნივერსალიზმი-ტოლერანტობა) საერთოდ არ დაუკავშირდა; კეთილგანწყობა-ზრუნვა, თავის მხრივ, მართო უნივერსალიზმი-ზრუნვასთან აღმოჩნდა დადებით კორელაციაში, თუმცა სამივე უნივერსალისტური ღირებულება ერთმანეთს დადებითად დაუკავშირდა.

ასევე, კონტინუუმზე ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული *ცვლილებებისადმი ღიაობისა და კონსერვაციის ღირებულებები* (იხ. Schwartz et al. 2012), მეტწილად, მართლაც უარყოფითად დაუკავშირდა ერთმანეთს, მხოლოდ ჰედონიზმი არ იყო მნიშვნელოვან კორელაციაში იმიჯის ღირებულებასთან.

და ბოლოს, მოსალოდნელად, კონვენციური ნორმების შენარჩუნებაზე მომართული *ტრადიციის ღირებულებაც* უარყოფით კავშირში აღმოჩნდა თანასწორუფლებიანობასა და განსხვავებული ადამიანების მიმღებლობაზე მომართულ *უნივერსალისტურ ღირებულებებთან*.

3.4. დამოკიდებული ცვლადის მიმართება კვლევის სხვა ცვლადებთან

პირველ ეტაპზე, რათა განმესაზღვრა, რომელ ცვლადებს ექნებოდათ წინარწმენის წინასწარმეტყველების პოტენციალი, შემოწმდა მათი მიმართება როგორც მეტად სენსიტიურ, ისე ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენასთან.

3.4.1. კავშირი პიროვნულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის: კორელაცია

პოტენციურ პრედიქტორ ცვლადებს – ღირებულებებსა და ეთნოცენტრიზმს – და წინარწმენას შორის კავშირები პირსონის კორელაციის კოეფიციენტით იქნა დათვლილი. ამავე დროს, ამ პროცედურამ საშუალება მომცა, შემემოწმებინა მულტიკოლინიარობა პრედიქტორ ცვლადებს, კერძოდ, ეთნოცენტრიზმსა და ღირებულებებს შორის; კორელაციის მაჩვენებლები ამჯერადაც არ აღემატებოდა .70-ს და, შესაბამისად, ეს პრობლემა გამოირიცხა (Pallant 2010).

კორელაციები როგორც მეტად სენსიტიურ წინარწმენას, ისე ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენას, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ – ანუ თვით-გაძლიერებისა და კონსერვაციის – ღირებულებებს შორის ცხრილ 11-შია წარმოდგენილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, *ეთნოცენტრიზმი* ზომიერ დადებით კორელაციაში აღმოჩნდა წინარწმენის როგორც მეტად სენსიტიურ, ისე ნაკლებ სენსიტიურ ფორმასთან, რამაც *ჰიპოთეზა 1*-ის შემოწმების საჭიროებას გაუსვა ხაზი, რომლის თანახმადაც, ეთნოცენტრიზმი წინარწმენის დადებითი პრედიქტორი უნდა იყოს.

თუმცა, მოლოდინის წინააღმდეგ, წინარწმენის არც ერთ ფორმას არ დაუკავშირდა თვით-გაძლიერების ღირებულებებში შემაჯავალი ისეთი ღირებულებები, როგორცაა ძალაუფლება-დომინანტობა და ძალაუფლება-რესურსები, რამაც *ჰიპოთეზა 5*-ს შემოწმების საჭიროება გამოირიცხა, რომელშიც ნავარაუდევია იყო, რომ თვით-გაძლიერების ღირებულებებს, განსაკუთრებით კი ძალაუფლება-რესურსებს, წინარწმენის უკეთესი ამხსნელი პოტენციალი ექნებოდა, როცა რეალისტურ (ვიდრე სიმბოლურ) საფრთხესთან შევიდოდა ინტერაქციაში; თვით-გაძლიერებაში შემაჯავალი ღირებულებებიდან მხოლოდ წარმატებაზე ორიენტირებული *მიღწევის ღირებულება* მხოლოდ მეტად სენსიტიურ წინარწმენას დაუკავშირდა უარყოფითი ნიშნით.

ასევე, კონსერვაციაში გაერთიანებული შვიდი ღირებულებიდან ოთხი, კერძოდ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კონფორმულობა-წესებისა და ინტერპერსონალური კონფორმულობის ღირებულებები არ აღმოჩნდა წინარწმენის არც ერთ ფორმასთან მნიშვნელოვნად დაკავშირებული, ხოლო *იმიჯი* მხოლოდ მეტად სენსიტიურ

წინარწმენასთან იყო დაბალ დადებით კორელაციაში, თუმცა პირადი უსაფრთხოების ღირებულება, თავმდაბლობა და ტრადიცია ორივე სახის წინარწმენასთან დადებითად კორელირებდა, ტრადიციის კორელაციის მაჩვენებელი კი ორივე შემთხვევაში ყველაზე მაღალი იყო. – შედეგები, რომელიც ნაწილობრივ ეხმიანება ჰიპოთეზა 2-ს, რომლის თანახმადაც, კონსერვაციის ღირებულებებმა, მათ რიცხვში, ტრადიციის ღირებულებამ, უნდა შეძლოს წინარწმენის დადებითი წინასწარმეტყველება.

ცხრილი 11.

კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებს შორის

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---------------------------------|---|--------|--------|---------|--------|--------|---------|---------|
| 1. მეტად სენსიტიური წინარწმენა | - | .68*** | .44*** | -.13*** | .14*** | .16*** | .46*** | .14*** |
| 2. ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | - | - | .43*** | | | .15*** | .34*** | .14*** |
| 3. ეთნოცენტრიზმი | - | - | - | | .19*** | .20*** | .51*** | .18*** |
| 4. მიღწევა | - | - | - | - | .18*** | -.17** | -.31*** | -.53*** |
| 5. იმიჯი | - | - | - | - | - | .13*** | .12** | .10* |
| 6. პირადი უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | .12** | .10** |
| 7. ტრადიცია | - | - | - | - | - | - | - | .28*** |
| 8. თავმდაბლობა | - | - | - | - | - | - | - | - |

შენიშვნა. ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$, ** $p \leq .005$. ცხრილში მოყვანილია მხოლოდ ის ცვლადები, რომელთაც მნიშვნელოვანი კორელაცია აღმოაჩნდათ წინარწმენის რომელიმე ფორმასთან. გამოტოვებული ადგილები კორელაციის არამნიშვნელოვნებას მიუთითებს, ხოლო ხაზები – იმას, რომ მაჩვენებლები ამ ცხრილში უკვე აღნიშნული იყო. გამუქებულია ის კორელაციები, რომლებიც ცხრილ 10-ში არ ყოფილა მოტანილი.

ცხრილი 12 მოიცავს კორელაციებს ორივე სახის წინარწმენას, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ – ანუ ცვლილებებისადმი ღიაობისა და თვით-ტრანსცენდენტურობის – ღირებულებებს შორის.

მოსალოდნელად, ე.წ. შფოთვისგან თავისუფალი ღირებულებები უარყოფითად დაუკავშირდა როგორც წინარწმენის ორივე სახეს, ისე ეთნოცენტრიზმს.

ცვლილებებისადმი დიაოზაში შემავალი მხოლოდ ერთი ღირებულება – სტიმულაცია – არ კორელირებდა ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენასთან.

ცხრილი 12.

კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებს შორის

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---------------------------------|---|--------|--------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 1. მეტად სენსიტიური წინარწმენა | – | .68*** | .44*** | -.24*** | -.18*** | -.14*** | -.17*** | -.18*** | -.15*** | -.38*** |
| 2. ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | – | – | .45*** | -.16*** | -.16*** | -.12*** | | -.23*** | -.13*** | -.36*** |
| 3. ეთნოცენტრიზმი | – | – | – | -.26*** | -.27*** | -.11* | -.28*** | -.31*** | -.22*** | -.50*** |
| 4. ავტონომიური მოქმედება | – | – | – | – | .60*** | .23*** | .37*** | | | .16*** |
| 5. ავტონომიური აზროვნება | – | – | – | – | – | .08* | .35*** | | | .19*** |
| 6. ჰედონიზმი | – | – | – | – | – | – | .26*** | | | |
| 7. სტიმულაცია | – | – | – | – | – | – | – | .09* | 11* | .16*** |
| 8. უნივერსალიზმი-ზრუნვა | – | – | – | – | – | – | – | – | .28*** | .41*** |
| 9. უნივერსალიზმი-ზუნება | – | – | – | – | – | – | – | – | – | .23*** |
| 10. უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |

შენიშვნა. ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია. *** $p \leq .01$, ** $p \leq .005$, * $p \leq .05$. ცხრილში მოყვანილია მხოლოდ ის ცვლადები, რომელთაც მნიშვნელოვანი კორელაცია აღმოაჩნდათ წინარწმენის რომელიმე ფორმასთან. გამოტოვებული ადგილები კორელაციის არამნიშვნელოვნებას მიუთითებს, ხოლო ხაზები – იმას, რომ მაჩვენებლები ამ ცხრილში უკვე აღნიშნული იყო. გამუქებულია ის კორელაციები, რომლებიც ცხრილებში 10 და 11 არ ყოფილა მოტანილი.

რაც შეეხება თვით-ტრანსცენდენტურობაში გაერთიანებულ ღირებულებებს, წინარწმენის არც ერთ ფორმასთან არ ჰქონია კავშირი შიდა-ჯგუფის წევრობასა და მის

კეთილდღეობაზე ორიენტირებულ კეთილგანწყობის ორ ღირებულებას, თუმცა უნივერსალიზმის, კერძოდ, *უნივერსალიზმი-ზრუნვის*, *უნივერსალიზმი-ბუნებისა და უნივერსალიზმი-ტოლერანტობის* ღირებულებები უარყოფით კორელაციაში იყო როგორც მეტად სენსიტიურ, ისე ნაკლებ სენსიტიურ ღირებულებებთან, მათგან უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულება კი ყველაზე ძლიერად დაუკავშირდა წინარწმენის ორივე ფორმას. მიღებული შედეგები *ჰიპოთეზა 3*-ს ეხმიანება, რომელშიც ნავარაუდევია, რომ უნივერსალიზმის ღირებულებები წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორები იქნება.

3.4.2. კავშირი დემოგრაფიულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის: საშუალოთა შედარება და კორელაცია

წინარწმენის ქულებში *გენდერული სხვაობები* T-კრიტერიუმის საშუალებით შემოწმდა. აღმოჩნდა, რომ მონაწილის სქესს მნიშვნელოვანი როლი მხოლოდ ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში ჰქონდა, $t(587)=3.36$, $p=.001$; კაცი მონაწილეები უფრო მაღალ ქულებს იღებდნენ წინარწმენის ამ საზომზე ($N=166$, $M=2.167$, $SD=.985$), ვიდრე ქალები ($N=423$, $M=1.915$, $SD=.738$).

მონაწილის *რელიგიურობის დონე* დადებით კორელაციაში აღმოჩნდა როგორც მეტად სენსიტიურ, ისე ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენასთან. ცხრილ 13-ში მოცემულია კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, რელიგიურობის დონეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებს შორის, ხოლო ცხრილი 14 ამ ცვლადებსა და ე.წ. ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებს შორის კორელაციებს ასახავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, რელიგიურობის დონე დადებითად დაუკავშირდა წინარწმენის ორივე ფორმას, თუმცა, უფრო ძლიერად – მეტად სენსიტიურ წინარწმენას.

ასევე, ის ზომიერ დადებით კორელაციაში აღმოჩნდა ეთნოცენტრიზმთან.

რელიგიურობის დონესთან დადებითად კორელირებდა ე.წ. შფოთვის შემამცირებელი, კერძოდ კონსერვაციის, ღირებულებებიც, განსაკუთრებით ძლიერ კორელაციაში კი რელიგიურობა ტრადიციის ღირებულებასთან იყო, მხოლოდ

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ღირებულება არ აღმოჩნდა რელიგიურობასთან დაკავშირებული. ასევე, ამ სახის (შფოთვის შემამცირებელი) ღირებულებათაგან თვით-გამღიერების ორ ღირებულებას – ძალაუფლება-დომინანტობასა და ძალაუფლება-რესურსებს საერთოდ არ ჰქონდა რელიგიურობის დონესთან კავშირი, ხოლო თვით-გამღიერების მესამე ღირებულება – მიღწევა, რომელიც წარმატებაზე ორიენტირებულობას გულისხმობს, უარყოფითად დაუკავშირდა რელიგიურობის დონეს.

ცხრილი 13.

კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, რელიგიურობის დონეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. თავდაცვაზე მიმართულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებს შორის

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|-----------------------------------|---|--------|--------|--------|---------|--------|---------|---------|---------|---------|---------|
| 1. მეტად სენსიტიური წინარწმენა | - | .68*** | .40*** | .44*** | -.13*** | .14*** | .16*** | .46*** | | | .14*** |
| 2. ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | - | - | .28*** | .45*** | | | .15*** | .34*** | | | .14*** |
| 3. რელიგიურობის დონე | - | - | - | .44*** | -.17*** | .20*** | .17*** | .62*** | .09*** | .17*** | .26*** |
| 4. ეთნოცენტრიზმი | - | - | - | - | | .19*** | .20*** | .51*** | | | .18*** |
| 5. მიღწევა | - | | - | | | .12** | -.17*** | -.31*** | -.35*** | -.44*** | -.53*** |
| 6. იმიჯი | - | | - | | | | .13** | .12** | | | |
| 7. პირადი უსაფრთხოება | - | - | - | - | - | - | - | .12** | .20*** | .10* | |
| 8. ტრადიცია | - | - | - | - | - | - | - | - | .18*** | .21*** | .28*** |
| 9. კონფორმულობა-წესები | | | - | | | | | | | .29*** | .20*** |
| 10. ინტერპერსონალური კონფორმულობა | | | - | | | | | | | | .41*** |
| 11. თავდამბლობა | - | - | - | - | - | | | - | - | - | - |

შენიშვნა. ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$, ** $p \leq .005$, * $p \leq .05$. ცხრილში მოყვანილია მხოლოდ ის ცვლადები, რომელთაც მნიშვნელოვანი კორელაცია აღმოაჩნდათ რელიგიურობის დონესთან. გამოტოვებული ადგილები კორელაციის არამნიშვნელოვნებას მიუთითებს, ხოლო ხაზები – იმას, რომ მაჩვენებლები ამ ცხრილში უკვე აღნიშნული იყო. გამუქებულია ის კორელაციები, რომლებიც ცხრილებში 10, 11 და 12 არ ყოფილა მოტანილი.

მოსალოდნელად, რელიგიურობის დონე უარყოფითად კორელირებდა ე.წ. შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებთან (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14.

კორელაციები წინარწმენის ორივე სახეს, რელიგიურობის დონეს, ეთნოცენტრიზმსა და ე.წ. ზრდაზე მიმართულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებს შორის

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---------------------------------|---|--------|--------|--------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 1. მეტად სენსიტიური წინარწმენა | – | .68*** | .40*** | .44*** | -.24*** | -.18*** | .17*** | -.14*** | | -.18*** | -.15*** | -.38*** |
| 2. ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | – | – | .28*** | .45*** | -.16*** | -.16*** | | -.12** | | -.23*** | -.13*** | -.36*** |
| 3. რელიგიურობის დონე | – | – | – | .44*** | -.33** | -.25*** | -.27*** | -.25*** | .16*** | -.10* | -.18*** | -.30*** |
| 4. ეთნოცენტრიზმი | – | – | – | – | -.26*** | -.27*** | -.28*** | -.11* | | -.31*** | -.22*** | -.50*** |
| 5. ავტონომიური მოქმედება | – | – | – | – | – | .60*** | .37*** | .23*** | -.10* | | | .16*** |
| 6. ავტონომიური აზროვნება | – | – | – | – | – | – | .35*** | .08* | | | | .19*** |
| 7. სტიმულაცია | – | – | – | – | – | – | – | .26*** | -.15*** | .09*** | .11* | .16*** |
| 8. ჰედონიზმი | – | – | – | – | – | – | – | – | -.18*** | | | |
| 9. კეთილგანწყობა-ზრუნვა | – | – | – | – | – | – | – | – | – | .14*** | | |
| 10. უნივერსალიზმი-ზრუნვა | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | .28*** | .41*** |
| 11. უნივერსალიზმი-ბუნება | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | .23*** |
| 12. უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |

შენიშვნა. ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია. p *** $\leq .001$, ** $p \leq .005$, * $p \leq .05$. ცხრილში მოყვანილია მხოლოდ ის ცვლადები, რომელთაც მნიშვნელოვანი კორელაცია აღმოაჩნდათ რელიგიურობის დონესთან. გამოტოვებული ადგილები

კორელაციის არამნიშვნელოვნებას მიუთითებს, ხოლო ხაზები – იმას, რომ მაჩვენებლები ამ ცხრილში უკვე აღნიშნული იყო. გამუქებულია ის კორელაციები, რომლებიც ცხრილებში 10, 11, 12 და 13 არ ყოფილა მოტანილი.

კერძოდ, რელიგიურობა უარყოფითად დაუკავშირდა ცვლილებებისადმი ღიაობის ოთხივე ღირებულებას (ავტონომიური აზროვნება, ავტონომიური მოქმედება, სტიმულაცია, ჰედონიზმი) და თვით-ტრანსცენდენტურობაში შემავალ ხუთიდან სამ ღირებულებას, კერძოდ, უნივერსალიზმის ღირებულებებს (უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ბუნება და უნივერსალიზმი-ტოლერანტობა), ხოლო კეთილგანწყობა-ურთიერდამოკიდებულების ღირებულებას საერთოდ არ დაუკავშირდა, კეთილგანწყობა-ზრუნვის ღირებულებასთან კი, რომელიც შიდა-ჯგუფის წევრთა კეთილდღეობაზე ზრუნვას გულისხმობს, დადებით კორელაციაში აღმოჩნდა.

ყველაზე ძლიერი უარყოფითი კავშირი რელიგიურობის დონეს ცვლილებებისადმი ღიაობაში შემავალ ავტონომიური აზროვნების ღირებულებასა და თვით-ტრანსცენდენტურობაში გაერთიანებულ უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულებასთან ჰქონდა.

მონაწილის *მშობლების განათლება* სამ დონეს – საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას – მოიცავდა, შესაბამისად, მისი ეფექტი წინარწმენაზე ANOVA-ს საშუალებით შემოწმდა.

მამის განათლებას წინარწმენის არც ერთ სახეზე არ ჰქონია გავლენა, თუმცა *დედის განათლების დონე* სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო წინარწმენის ორივე ფაქტორისთვის, კერძოდ, $F(2, 574)=3.87, p=.022$ – მეტად სენსიტიური წინარწმენისთვის, და $F(2, 574)=3.39, p=.034$ – ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის. *post hoc*-ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სხვაობა იყო იმ მონაწილეთა წინარწმენის ქულებს შორის, რომელთა დედებს უმაღლესი და საშუალო განათლება ჰქონდათ: დედის უმაღლესი განათლება წინარწმენის ნაკლებ დონესთან იყო ასოცირებული (იხ. ცხრილი 15).

ცხრილი 15.

აბირიელებისადმი წინარწმენის საშუალოები და სტანდარტული გადახრები დედის განათლების დონისთვის

| | მეტად სენსიტიური წინარწმენა | | | ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | | |
|------------------------|-----------------------------|------|------|------------------------------|------|-----|
| | N | M | SD | N | M | SD |
| <i>დედის განათლება</i> | | | | | | |
| უმადლესი განათლება | 426 | 3.15 | .99 | 426 | 1.93 | .79 |
| პროფესიული განათლება | 90 | 3.31 | 1.14 | 90 | 2.04 | .91 |
| საშუალო განათლება | 61 | 3.52 | 1.08 | 61 | 2.21 | .87 |

შენიშვნა. მაღალი საშუალო ქულები წინარწმენის უფრო მაღალ დონეს მიუთითებს.

3.5. საფრთხით მანიპულაციის შემოწმება

იმის შესამოწმებლად, მართლაც ჰქონდა თუ არა საფრთხით მანიპულაციას ჩაფიქრებული ეფექტი, გამოგონილი სტატიების წაკითხვის შემდეგ, მონაწილეებს ხუთ-ქულიან სკალაზე უნდა ეპასუხათ, რამდენად იგრძნეს საფრთხე (1=*საერთოდ არ მიგრძვნია*, 5=*ძლიერად ვიგრძენი*), მაგრამ რამდენადაც საკონტროლო პირობისთვის შექმნილი სტატია არ ეხებოდა საფრთხეებს, ეს კითხვა ამ პირობის მონაწილეებს ვერ დავუსვი. ამდენად, ამ დებულებით მხოლოდ რეალისტური და სიმბოლური საფრთხის პირობების შედარება იყო შესაძლებელი.

T-კრიტერიუმმა ორი დამოუკიდებელი ჯგუფისათვის აჩვენა, რომ რეალისტური საფრთხის ჯგუფის მონაწილეები (N=197) უფრო განიცდიდნენ საფრთხეს (M=3.33, SD=1.09), ვიდრე სიმბოლურისა (N=196, M=3.00, SD=1.27), $t(391)=2.77, p=.006$.

კვლავ მხოლოდ ექსპერიმენტულ პირობებში წარმოდგენილ სტატიათა შემდგომ დასმული კიდევ ერთი ხუთ-ქულიანი კითხვის – „სტატიის თანახმად, შეიცავს თუ არა აბირიელების ჩასახლება საქართველოში გარკვეულ საფრთხეებს?“ (1=*დიახ*, საფრთხე

სერიოზულია, 5=არავითარი საფრთხე არ არსებობს) – მიხედვით კი რეალისტურ (N=197, M=3.96, SD=.92) და სიმბოლურ (N=196, M=3.77, SD=1.13) საფრთხეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ ყოფილა.

გარდა ამისა, სტატისტიკის წაკითხვის შემდეგ შესასვსებ კითხვარში ერთი ისეთი კითხვაც იყო შეტანილი, რომელსაც სამივე პირობის მონაწილეები პასუხობდნენ: მათ ვეკითხებოდი, იყო თუ არა სტატიაში მოცემული ინფორმაცია ამომწურავი (1=ინფორმაცია ამომწურავია, 2=ინფორმაცია დამაკლდა). ერთგვარი კომპრომისის სახით, – იმის გათვალისწინებით, რომ საფრთხის სიტუაციებს უფრო მგრძობიარე რეაქციები უნდა გამოეწვია და, შესაბამისად, გარე-ჯგუფის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი, ვიდრე საკონტროლო სიტუაციას, – ეს დებულება მანიპულაციის შესამოწმებელი დებულების ჩამნაცვლებლად მივიჩნიე და სამივე პირობა დამოუკიდებლობის ხი-კვადრატ კრიტერიუმით შევადარე. ხი-კვადრატი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: მოსალოდნელი და რეალური სიხშირეების მიმართებებმა აჩვენა, რომ კვლავ რეალისტური საფრთხის პირობაში მყოფნი (N=197) უფრო ავლენდნენ მგრძობიარობას, ანუ უფრო მეტად ჰქონდათ დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილი, ვიდრე სიმბოლური საფრთხისა (N=196) და საკონტროლო პირობებში (N=196) მყოფებს, $\chi^2(6, 572)=17.909, p=.006$.

თუმცა, საფრთხით მანიპულაციის ეფექტურობის შემოწმება ANOVA-თი იყო შესაძლებელი; კერძოდ, ANOVA-მ საშუალება მომცა, მენახა, იყო თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ექსპერიმენტულ და საკონტროლო პირობებს შორის წინარწმენის მიხედვით.

მართლაც, *ჰიპოთეზა 4*- ისათვის ლოგიკურად, – რომელშიც ნავარაუდევია, რომ როგორც რეალისტურმა, ისე სიმბოლურმა საფრთხემ, განურჩევლად პიროვნული მახასიათებლებისა, წინარწმენის წინასწარმეტყველება უნდა შეძლოს, – სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები გამოვლინდა წინარწმენის ორივე ფაქტორისთვის როგორც რეალისტური საფრთხის პირობასა და საკონტროლო პირობას შორის, ისე სიმბოლური საფრთხის პირობასა და საკონტროლო პირობას შორის, $F(2, 588)=25.45, p=.000$ – მეტად სენსიტიური წინარწმენისთვის და $F(2, 588)=24.24, p=.000$ – ნაკ-

ლებ სენსიტიური წინარწმენისთვის. როგორც *post-hoc* ანალიზმა აჩვენა, რეალისტური საფრთხის პირობასა და სიმბოლური საფრთხის პირობას შორის არც ერთი ფაქტორისთვის არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი სხვაობები. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ წინარწმენის საშუალო ქულები უფრო მაღალი იყო მეტად სენსიტიური წინარწმენისთვის, ვიდრე ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის (იხ. ცხრილი 16).

ცხრილი 16.

სამი ჯგუფის – რეალისტური საფრთხის პირობის, სიმბოლური საფრთხის პირობისა და საკონტროლო პირობის – საშუალოები და სტანდარტული გადახრები აბირიელებისადმი წინარწმენისთვის

| | მეტად სენსიტიური წინარწმენა | | | ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა | | |
|--------------------|-----------------------------|------|------|------------------------------|------|-----|
| | N | M | SD | N | M | SD |
| <i>საფრთხეები</i> | | | | | | |
| რეალისტური საფრთხე | 197 | 3.39 | .96 | 197 | 2.10 | .76 |
| სიმბოლური საფრთხე | 196 | 3.47 | 1.14 | 196 | 2.22 | .97 |
| „უსაფრთხო“ | 196 | 2.81 | .85 | 196 | 1.68 | .62 |

შენიშვნა. მაღალი საშუალო ქულები წინარწმენის უფრო მაღალ დონეს მიუთითებს.

3.6. წინარწმენის წინასწარმეტყველება: იერარქიული რეგრესია

კვლევის ჰიპოთეზების შესამოწმებლად, კერძოდ, წინარწმენის პრედიქტორების გამოსავლენად, გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზი.

პირველ რიგში, შემოწმდა *მეტად სენსიტიური* წინარწმენის პრედიქტორები.

რეგრესიის განტოლებში დამოკიდებულ ცვლადად წინარწმენის ეს ფორმა შევიტანე, ხოლო პრედიქტორ ცვლადებად, კორელაციის შედეგებზე დაყრდნობით (იხ. ცხრილები 11 და 12), ეთნოცენტრიზმის გარდა, მოდელ 1-ში შემდეგი 12 ღირებულება შევიდა: მიღწევა, იმიჯი, პირადი უსაფრთხოება, ტრადიცია, თავმდაბლობა,

ავტონომიური აზროვნება, ავტონომიური მოქმედება, სტიმულაცია, ჰედონიზმი, უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ბუნება და უნივერსალიზმი-ტოლერანტობა.

ამ მოდელის თანახმად, მხოლოდ სამი ცვლადი ხსნიდა მეტად სენსიტიური წინარწმენის ცვალებადობის 32%-ს: ეთნოცენტრიზმი ($\beta=.19$, $p=.000$) და ტრადიციის ($\beta=.30$, $p=.000$) და უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ($\beta=-.19$, $p=.000$) ღირებულებები, $R^2=.32$, $F(13, 581)=20.19$, $p=.000$.

მოდელ 2-ში, აღნიშნულ ცვლადებს დაემატა ე.წ. „მუნჯ“ (dummy) ცვლადებად ქცეული რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები. როგორც *რეალისტურ* ($\beta=.19$, $p=.000$), ისე *სიმბოლურ* ($\beta=.21$, $p=.000$) საფრთხეს შეჰქონდა წვლილი წინარწმენის წინასწარმეტყველებაში, R^2 4%-ით გაიზარდა და მოდელი მეტად სენსიტიურ წინარწმენას უკვე 35%-ით ხსნიდა, $R^2=.35$, $F(15, 581)=20.60$, $p=.000$.

მოდელ 3-ში, პირველად შედეგებზე დაყრდნობით (იხ. ცხრილები 13 და 15), ამ ცვლადებს რელიგიურობის დონე და „მუნჯ“ ცვლადად ქცეული დედის განათლება (კერძოდ, უმაღლესი განათლების დონე) დავუმატე, თუმცა მათ მნიშვნელოვანი წვლილი არ შეუტანიათ მეტად სენსიტიური წინარწმენის ცვალებადობაში და მოდელი არ გაუმჯობესებიათ. ამდენად, მსჯელობისას მოდელი 2-ის მაჩვენებლებს გამოვიყენებ.

იერარქიული რეგრესიის შედეგები ცხრილ 17-შია მოცემული.

როგორც რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, *ჰიპოთეზა 1*-თან თანხვედრაში, რომელიც ეთნოცენტრიზმს წინარწმენის დადებით პრედიქტორად ვარაუდობდა, *ეთნოცენტრიზმი* მართლაც დადებითად ხსნიდა წინარწმენის ამ ფორმას.

ე.წ. შფოთვის შემამცირებელი ღირებულებებიდან კი მხოლოდ კონსერვაციაში შემავალი *ტრადიციის ღირებულება* ხსნიდა მეტად სენსიტიურ წინარწმენას დადებითად, ხოლო ე.წ. შფოთვისგან თავისუფალი ღირებულებებიდან – მხოლოდ თვით-ტრანსცენდენტურობაში შემავალი *უნივერსალიზმი-ტოლერანტობა* გამოდგა წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორი, რაც ნაწილობრივ უჭერს მხარს *ჰიპოთეზა 2*-სა და *ჰიპოთეზა 3*-ს, რომელთა თანახმადაც, ნავარაუდები იყო, რომ ე.წ. შფოთვის შემამცირებელი უფრო მეტი ღირებულება (მაგ., კონფორმულობისა და ძალაუფლების

ღირებულებები) დაუკავშირდებოდა წინარწმენას დადებითად (*ჰიპოთეზა 2*) ისევე, როგორც ე.წ. შფოთვისგან თავისუფალი უფრო მეტი ღირებულება (მაგ., უნივერსალიზმი-ბუნება და ავტონომიური აზროვნება) ახსნიდა წინარწმენას უარყოფითი ნიშნით (*ჰიპოთეზა 3*).

ცხრილი 17.

რეგრესია მეტად სენსიტიურ წინარწმენაზე

| | მოდელი 1 | მოდელი 2 | მოდელი 3 |
|----------------------------------|----------|----------|----------|
| <i>პრედიქტორები</i> | | | |
| ეთნოცენტრიზმი | .19*** | .16*** | .16*** |
| მიღწევა | -.06 | -.04 | -.05 |
| იმიჯი | -.02 | -.01 | -.02 |
| პირადი უსაფრთხოება | .04 | .03 | .03 |
| ტრადიცია | .30*** | .31*** | .30*** |
| თავმდაბლობა | .03 | .04 | .06 |
| ავტონომიური აზროვნება | -.03 | -.02 | -.02 |
| ავტონომიური მოქმედება | -.08 | -.07 | -.07 |
| სტიმულაცია | .08 | .08 | .07 |
| ჰედონიზმი | -.05 | -.07 | -.06 |
| უნივერსალიზმი-ზრუნვა | -.02 | -.03 | -.04 |
| უნივერსალიზმი-ბუნება | -.06 | -.09 | -.06 |
| უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | -.19*** | -.17*** | -.16*** |
| რეალისტური საფრთხე | | .19*** | .19*** |
| სიმბოლური საფრთხე | | .21*** | .20*** |
| რელიგიურობის დონე | | | .08 |
| დედის უმაღლესი განათლება | | | -.02 |
| <i>R²</i> | .32 | .35 | .35 |
| <i>R²-ის ცვლილება</i> | | .04*** | .01 |

შენიშვნა. ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები სტანდარტიზირებული მ-კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$.

რეგრესიის კოეფიციენტების მიხედვით, წინარწმენის უფრო სენსიტიური ფორმის ცვალებადობაში ყველაზე დიდი წვლილი ტრადიციის ღირებულებას შეჰქონდა ($\beta=.31$), რასაც მნიშვნელობის მიხედვით მოსდევდა სიტუაციური ცვლადები, – სიმბოლური ($\beta=.21$) და რეალისტური ($\beta=.19$) საფრთხეები, – შემდეგ უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულება ($\beta=-.17$) და, ბოლოს, ეთნოცენტრიზმი ($\beta=.16$).

ამავე პრინციპით შემოწმდა *ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის* პრედიქტორებიც. რეგრესიის განტოლებაში დამოკიდებულ ცვლადად, ამჯერად, წინარწმენის ეს სახე შევიდა, ხოლო პრედიქტორ ცვლადებად, მოდელ 1-ში, კორელაციებზე დაყრდნობით (იხ. ცხრილები 11 და 12), ეთნოცენტრიზმთან ერთად, შემდეგი 9 ღირებულება იქნა შეტანილი: პირადი უსაფრთხოება, ტრადიცია, თავმდაბლობა, ავტონომიური აზროვნება, ავტონომიური მოქმედება, ჰედონიზმი, უნივერსალიზმი-ზრუნვა, უნივერსალიზმი-ბუნება და უნივერსალიზმი-ტოლერანტობა (ანუ იგივე ღირებულებები, რაც მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, მიღწევის, იმიჯისა და სტიმულაციის ღირებულებების გამოკლებით და უნივერსალიზმი-ზრუნვის მიმატებით). აღმოჩნდა, რომ ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის ცვალებადობის 28%-ს კვლავ ხსნიდა *ეთნოცენტრიზმი* ($\beta=.27, p=.000$), *უნივერსალიზმი-ტოლერანტობისა* ($\beta=-.18, p=.000$) და *ტრადიციის* ($\beta=.11, p=.018$) ღირებულებები და, განსხვავებით მეტად სენსიტიური წინარწმენისგან, *უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებაც* ($\beta=-.10, p=.036$), $R^2=.28, F(10, 581)=22.41, p=.000$.

მოდელ 2-ში ამ ფაქტორებს „მუნჯ“ ცვლადებად ქცეული *რეალისტური* ($\beta=.16, p=.000$) და *სიმბოლური* ($\beta=.23, p=.000$) საფრთხეები დაემატა, რამაც R^2 -ის 4%-იანი ცვლილება გამოიწვია და მოდელმა უკვე 32%-ით ახსნა ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის ცვალებადობა, $R^2=.32, F(12, 581)=22.30, p=.000$.

მოდელ 3-ში პრედიქტორ ცვლადებად დავამატე წინარწმენის ამ ფორმისთვის მნიშვნელოვანი მონაწილის სქესი („მუნჯ“ ცვლადად ქცეული), რელიგიურობის დონე (იხ. ცხრილი 13) და დედის უმაღლესი განათლება („მუნჯ“ ცვლადად ქცეული) (იხ. ცხრილი 15), მაგრამ ამას R^2 -ის მნიშვნელოვანი ცვლილება და მოდელის გაუმჯობესება

არ მოჰყოლია. შესაბამისად, მსჯელობისას მოდელი 2-ის მაჩვენებლები იქნება გამოყენებული.

რეგრესიული ანალიზის შედეგები ცხრილ 18-შია მოცემული.

ცხრილი 18.

რეგრესია ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენაზე

| | მოდელი 1 | მოდელი 2 | მოდელი 3 |
|---------------------------|----------|----------|----------|
| <i>პრედიქტორები</i> | | | |
| ეთნოცენტრიზმი | .27*** | .25*** | .23*** |
| პირადი უსაფრთხოება | .01 | .01 | .01 |
| ტრადიცია | .11* | .12* | .11* |
| თავმდაბლობა | .01 | .01 | .01 |
| ავტონომიური მოქმედება | -.03 | -.02 | -.02 |
| ავტონომიური აზროვნება | -.06 | -.04 | -.05 |
| ჰედონიზმი | -.05 | -.04 | -.02 |
| უნივერსალიზმი-ზრუნვა | -.10* | -.10* | -.11* |
| უნივერსალიზმი-ბუნება | .01 | -.02 | -.07 |
| უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | -.18*** | -.15*** | -.15*** |
| რეალისტური საფრთხე | | .16*** | .16*** |
| სიმბოლური საფრთხე | | .23*** | .23*** |
| სქესი | | | .05 |
| რელიგიურობის დონე | | | .08 |
| დედის უმაღლესი განათლება | | | -.02 |
| R^2 | .28 | .32 | .32 |
| R^2 -ის ცვლილება | | .04*** | .004 |

შენიშვნა. ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები სტანდარტიზირებული მ-კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$, * $p \leq .05$.

როგორც *ჰიპოთეზა 1*- ში იყო ნავარაუდევი, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა კვლავ დადებითად ახსნა ეთნოცენტრიზმმა, თანაც ყველაზე ძლიერი პრედიქტორი გამოდგა ($\beta=.25$), და, *ჰიპოთეზა 2*-თან ნაწილობრივ თანხვედრაში – ტრადიციის

ღირებულებამ ($\beta=.11$), რომელიც ე.წ. შფოთვის შემამცირებელ, კერძოდ კი კონსერვაციის ღირებულებებს განეკუთვნება. რაც შეეხება ე.წ. შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებს, ამჯერადაც, *ჰიპოთეზა 3*-თან ნაწილობრივ თანხვედრაში, მხოლოდ თვით-ტრანსცენდენტურობაში შემავალი ღირებულებები დაუკავშირდა წინარწმენას უარყოფითად: უნივერსალიზმი-ტოლერანტობასთან ($\beta=-.15$) ერთად, მეტად სენსიტიური წინარწმენისგან განსხვავებით, წინარწმენის ეს ფორმა უნივერსალიზმი-ზრუნვამაც ახსნა ($\beta=-.11$). ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა პიროვნულ ღირებულებებზე ძლიერად სიტუაციურმა ფაქტორებმა – სიმბოლურმა ($\beta=.23$) და რეალისტურმა ($\beta=.16$) – საფრთხეებმა იწინასწარმეტყველეს.

შეჯამების სახით, ცხრილ 19-ში მეტად სენსიტიური წინარწმენის ხუთი პრედიქტორი წონათა მიხედვითაა დალაგებული, ხოლო ცხრილი 20 ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის ექვს, აგრეთვე სიძლიერის მიხედვით დალაგებულ, პრედიქტორს წარმოადგენს.

ცხრილი 19.

მეტად სენსიტიური წინარწმენის პრედიქტორები დალაგებული სიძლიერის მიხედვით

| ტრადიცია | სიმბოლური საფრთხე | რეალისტური საფრთხე | უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | ეთნოცენტრიზმი | R^2 |
|----------|-------------------|--------------------|---------------------------|---------------|-------|
| .31*** | .21*** | .19*** | -.17*** | .16*** | .35 |

შენიშვნა. ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები სტანდარტიზირებული β -კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$.

ცხრილი 20.

ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის პრედიქტორები დალაგებული სიძლიერის მიხედვით

| ეთნოცენტრიზმი | სიმბოლური საფრთხე | რეალისტური საფრთხე | უნივერსალიზმი-ტოლერანტობა | ტრადიცია | უნივერსალიზმი-ზრუნვა | R^2 |
|---------------|-------------------|--------------------|---------------------------|----------|----------------------|-------|
| .25*** | .23*** | .16*** | -.15*** | .12* | -.10* | .32 |

შენიშვნა. ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლები სტანდარტიზირებული β -კოეფიციენტებია. *** $p \leq .001$, * $p \leq .05$.

3.7. მოდელის შემოწმება: ტრაექტორიის ანალიზი

ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, პრედიქტორ ცვლადებს (კონკრეტულ ღირებულებებსა და ეთნოცენტრიზმს) და წინარწმენას შორის კავშირი აღქმულ საფრთხეს უნდა გაემღერებინა (*ჰიპოთეზა 5*), Mplus-ში (Muthén & Muthén, 2010) ტრაექტორიის ანალიზის საშუალებით შემოწმდა ერთიანი მოდელის საშუალებით როგორც მეტად სენსიტიური, ისე ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის, შესაბამისად, ორივე ფორმისათვის მორგების ერთი და იგივე მაჩვენებლებია, თუმცა, თვალსაჩინოებისთვის, თითოეული ფაქტორისთვის მოდელი ცალ-ცალკე იქნება განხილული და წარმოდგენილი.

მეტად სენსიტიური წინარწმენისთვის პრედიქტორ ცვლადებად მოდელში შევიდა რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები („მუნჯ“ ცვლადებად ქცეული) და, იერარქიული რეგრესიის შედეგების საფუძველზე, ეთნოცენტრიზმი და ტრადიციისა და უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულებები (იხ. ცხრილი 19). შემოწმდა ამ სამი ცვლადის ინტერაქცია როგორც რეალისტურ, ისე სიმბოლურ საფრთხესთან.

აღმოჩნდა, რომ რეალისტური საფრთხის ინტერაქცია არც ერთ ცვლადთან არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო სიმბოლური საფრთხე მნიშვნელოვან ინტერაქციაში მხოლოდ ტრადიციის ღირებულებასთან შევიდა (იხ. სქემა 3).


მიღებული შედეგები ნაწილობრივ უჭერს მხარს *ჰიპოთეზა 5-ს*, რომლის თანახმად, ორივე სახის საფრთხეს უნდა ჰქონოდა მოდერაციული ფუნქცია პიროვნულ ფაქტორებსა და წინარწმენას შორის.

თუმცა, შედეგები ზურგს უმაგრებს *ჰიპოთეზა 5ბ-ს*, რომლის მიხედვითაც, კონსერვაციის, განსაკუთრებით კი, ტრადიციის ღირებულება უფრო მაღალ სტატისტიკურ მაჩვენებლებს გამოავლენდა სიმბოლურ საფრთხესთან ინტერაქციაში, ვიდრე რეალისტურთან.

შედეგები მხარს უჭერს *ჰიპოთეზა 5გ-საც*, სადაც ნავარაუდევია იყო, რომ წინარწმენის წინასწარმეტყველებისას, რეალისტურ საფრთხესთან შედარებით, ზოგადად პიროვნული ცვლადებისა და სიმბოლური საფრთხის ინტერაქციას წინარწმენის უკეთესი ამსხნელი პოტენციალი ექნებოდა.

სქემა 3.

მეტად სენსიტიური წინარწმენის წინასწარმეტყველება: საბოლოო მოდელი



შენიშვნა. პრედიქტორ ცვლადებთან აღნიშნული მაჩვენებლები (მარცხნივ) პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია, დანარჩენი მაჩვენებლები კი სტანდარტიზირებულ მ-კოეფიციენტებს წარმოადგენს.

იმავე პრინციპით, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის მოდელში პრედიქტორ ცვლადებად შევიდა „მუნჯ“ ცვლადებად ქცეული რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები და, რეგრესიის შედეგებზე დაყრდნობით, ეთნოცენტრიზმი და ტრადიციის, უნივერსალიზმი-ტოლერანტობისა და უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებები (იხ. ცხრილი 20). შემოწმდა ამ ოთხი ცვლადის ინტერაქცია საფრთხის ორივესახესთან.


როგორც მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, რეალისტური საფრთხე ამჯერადაც არ შესულა მნიშვნელოვან ინტერაქციაში არც ერთ ცვლადთან და კვლავ მხოლოდ სიმბოლურ საფრთხესა და ტრადიციის ღირებულებას შორის იყო მნიშვნელოვანი ინტერაქცია.

მაგრამ, საინტერესოა, რომ მეტად სენსიტიური წინარწმენისგან განსხვავებით, ტრადიციის ღირებულება დამოუკიდებლად უკვე არ წინასწარმეტყველებდა წინარწმენის ნაკლებ სენსიტიურ ფორმას, არამედ მხოლოდ სიმბოლურ საფრთხესთან ინტერაქციაში (იხ. სქემა 4).

მიღებული შედეგები კვლავ ნაწილობრივ უჭერს მხარს ჰიპოთეზა 5-ს, და ზურგს უმაგრებს ჰიპოთეზა 5ბ-სა და ჰიპოთეზა 5გ-ს.

სქემა 4.

ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის წინასწარმეტყველება: საბოლოო მოდელი



შენიშვნა. პრედიქტორ ცვლადებთან აღნიშნული მაჩვენებლები (მარცხნივ) პირსონის კორელაციის კოეფიციენტებია, დანარჩენი მაჩვენებლები კი სტანდარტიზირებულ მ-კოეფიციენტებს წარმოადგენს.

მიღებულ მოდელს, რომელიც წინარწმენის ორივე ფორმისათვის ერთად შემოწმდა, მორგების კარგი მაჩვენებლები ჰქონდა, $\chi^2(2, 589)=1.84, p=.398, CFI=1.000, TLI=1.002, RMSEA=.000, SRMR=.006$.

ტრაექტორიის ანალიზმა აჩვენა, რომ ვარაუდი ნაწილობრივ დასტურდება: პიროვნულ ფაქტორს, კერძოდ, ტრადიციის ღირებულებას, და წინარწმენას (როგორც მეტად სენსიტიურ, ისე ნაკლებ სენსიტიურ ფორმას) შორის კავშირში სიტუაციური ცვლადი – აღქმული სიმბოლური საფრთხე – მოდერატორის ფუნქციას იძენს.

4. დისკუსია

კვლევის შედეგად რამდენიმე საგულისხმო მიგნება გამოიკვეთა. პირველ რიგში, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით (CFA) აღმოჩნდა, რომ განახლებული სოციალური დისტანციის სკალა ორი განსხვავებული დატვირთვის მატარებელ ფაქტორს, ე.წ. მეტად სენსიტიურ და ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენას, აერთიანებს. რეგრესიული ანალიზის თანახმად, ორივე ამ ფაქტორის წინასწარმეტყველება შეუძლია სიმბოლურ და რეალისტურ საფრთხეებს, ეთნოცენტრიზმს და ტრადიციისა და უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულებებს; ამასთან, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის პრედიქტორის რანგში უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებაც ემატება.

წინარწმენის ორივე ფაქტორისთვის ტრანექტორიის ანალიზმაც მსგავსი ტენდენციები აჩვენა: სიმბოლურმა საფრთხემ მოდერატორის ფუნქცია შეიძინა ტრადიციის ღირებულებასა და წინარწმენას შორის კავშირში, თუმცა, წინარწმენის მეტად სენსიტიური ფორმისაგან განსხვავებით, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, სიმბოლური საფრთხის მოდერაციული ეფექტი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ, საფრთხის ამ სახესთან ინტერაქციაში, წინარწმენის ამ სახის ახსნა ტრადიციის ღირებულებამ, სიმბოლური საფრთხისგან დამოუკიდებლად, ვეღარ შეძლო.

წინამდებარე განყოფილებაში კვლევის შედეგების განხილვა და ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი. პირველ რიგში, განხილულია წინარწმენის ორი სახე – მეტად და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა – და ის სხვაობები, რაც მათთან კავშირში გამოვლინდა.

ამას რეგრესიული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია მოსდევს: ჯერ წინარწმენის დადებითი პრედიქტორებია გაანალიზებული, შემდეგ კი უარყოფითი. მეოთხე ქვეთავი ტრანექტორიის ანალიზის შედეგების განხილვას ეთმობა, ხოლო თავის მეხუთე ნაწილი დასკვნასა და რეკომენდაციებს მოიცავს.

4.1. სოციალური დისტანციის სკალის ორი კომპონენტი: მეტად სენსიტიური და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა

CFA-მ საშუალება მომცა, სკალა თეორიული მოსაზრებების საფუძველზე ორ ფაქტორად დამეყო. როგორც შედეგების განყოფილებაში იყო აღწერილი, ორ-ფაქტორიან მოდელს მორგების კარგი მაჩვენებლები ჰქონდა. პირველმა ფაქტორმა (მეტად სენსიტიური წინარწმენა) სოციალური დისტანციის სკალის შემდეგი დებულებები მოიცვა: „დავქორწინდებოდი [აბირიელზე]“, „მივიღებდი ჩემი შვილის პედაგოგად“ და „მივიღებდი სამსახურში ჩემს უფროსად“, ხოლო მეორე ფაქტორში (ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა) შემდეგი ხუთი დებულება გაერთიანდა: „დავუმეგობრდებოდი“, „მივიღებდი მეზობლად“, „საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით დავჯდებოდი“, „მივიღებდი ნაცნობად“ და „ქვეყანაში სტუმრად მივიღებდი“. სახელწოდებები ამ ორი ფაქტორისთვის, კერძოდ, *მეტად სენსიტიური წინარწმენა* პირველ შემთხვევაში და *ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა* მეორე შემთხვევაში, შესაბამისი დებულებების შინაარსიდან და იმ შედეგებიდან გამომდინარე შეირჩა, რომელიც აჩვენებს, რომ პირველი ფაქტორისადმი კვლევის მონაწილეები უფრო მეტ მგრძნობიარობას, სტატისტიკური ტერმინებით კი უფრო მაღალ საშუალო ქულებს ($M=3.22$), ავლენენ, ვიდრე მეორე ფაქტორისათვის ($M=2.00$).

სოციალური დისტანციის სკალის მსგავსი დიფერენცირებისთვის მკვლევრებს (Tseung-Wong and Verkuyten 2015) უკვე მიუმართავთ, თუმცა ინსტრუმენტი მათ საჯარო (რომელიც მოიცავდა ორ დებულებას გარე-ჯგუფის წევრებთან მეზობლობასა და მათთან ერთ კლასში სიარულზე) და რომანტიკულ (რომელიც მოიცავდა ერთ დებულებას გარე-ჯგუფის წევრთან დაქორწინების შესახებ) დისტანციებად დაჰყვეს. მოცემულ კვლევაში, წინარწმენის რომანტიკულ კომპონენტს კიდევ ორი დებულება დაემატა, რომლებიც ისეთივე სენსიტიური დატვირთვის მატარებელი აღმოჩნდა კვლევის მონაწილეებისთვის, როგორც ქორწინების დებულება.

მართალია, გარე-ჯგუფის წარმომადგენელზე დაქორწინება ინტიმურობის უდავოდ სპეციფიკურ, მართლაც სენსიტიურ ფორმად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ჩანს, რომ ვითარება, სადაც გარე-ჯგუფის წევრი შვილის მასწავლებელია, ასევე მოიცავს ინტ-

იმურობის გარკვეულ დონეს: პოტენციური (ან რეალური) მშობლები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან შვილების კეთილდღეობისადმი, ზოგადად (რეალისტური საფრთხე), და მათი განათლებისა და აღზრდის საკითხებისადმი (სიმბოლური საფრთხე), და შიშობენ, რომ გარე-ჯგუფის წარმომადგენელი, მასწავლების რანგში, ბავშვებს საეჭვო უნარებსა და ინფორმაციას გადასცემს. გარდა ამისა, ამ დებულებას, მეტად სენსიტიური წინარწმენის მესამე დებულებასთან – „მივიღებდი სამსახურში ჩემს უფროსად“ – ერთად, კავშირი აქვს სტატუსის ფენომენტთან: მასწავლების ან უფროსის პოზიციაში ყოფნა, გარე-ჯგუფის წევრს ძალაუფლებით აღჭურავს და, შესაბამისად, შიდა-ჯგუფის სტატუსისთვის საფრთხის შემცველი ხდება. კვლევები (მაგ., Fein and Spencer 1997; იხ. Stephen, Ybarra and Morrison 2009; E. Aronson 2012) კი აჩვენებს, რომ ის ადამიანები უფრო ავლენენ გარე-ჯგუფებისადმი უარყოფით დამოკიდებულებებს, რომელთა სტატუსს საფრთხე ექმნება.

წინარწმენის პირველი ფაქტორისგან განსხვავებით, წინარწმენის ნაკლებ სენსიტიური ფორმა არ მოიცავს ამგვარ ინტიმურობასა თუ სტატუსისთვის საფრთხის შემცველ, იერარქიულ ურთიერთობებს გარე-ჯგუფთან, არამედ უფრო თანასწორ ურთიერთობებს აერთიანებს; გარე-ჯგუფის წევრთან მეგობრობა, მეზობლობა, საჯარო ტრანსპორტში მის გვერდით ჯდომა, მასთან ნაცნობობა და ქვეყანაში მისი სტუმრად მიღება უფრო მწირ, უფრო ზედაპირულ და, შესაბამისად, ნაკლებ შემამინებელ, ნაკლებ მგრძნობიარე კავშირებს გულისხმობს გარე-ჯგუფის წარმომადგენელთან.

ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეტად სენსიტიური წინარწმენის საშუალო ქულები საგრძნობლად აღემატებოდა ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის საშუალო ქულებს.

წინარწმენის ორი ფაქტორის ერთმანეთისაგან გარჩევა, ერთი მხრივ, უფრო ხვეწს მის შესასწავლ ინსტრუმენტს, მეორე მხრივ კი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ამ ფენომენტის კომპლექსურ, მრავალმრიან ბუნებას და აჩვენებს, რომ წინარწმენა, სულ მცირე, ორ დონეზე შეიძლება იყოს გამოხატული: გარე-ჯგუფთან უფრო ახლო, მგრძნობიარე ურთიერთობების მიუღებლობისა და გარე-ჯგუფთან უფრო ზედაპირული, ნაკლებ მგრძნობიარე ურთიერთობების მიუღებლობის სახითაც.

როგორც კვლევით გამოჩნდა, ადამიანები ზედაპირული ურთიერთობებისადმი უფრო მეტ მიმდევლობას იჩენენ; ამ ორი ფაქტორის განსხვავებულ იმპლიკაციებზე მეტყველებს მათ შორის აღმოჩენილი კიდევ ერთი თვალშისაცემი სხვაობაც, რომელიც გენდერში გამოიხატა: კაცები, ქალებთან შედარებით, საგრძნობლად მაღალ ქულებს იღებდნენ ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის ქვესკალაზე, მაგრამ გენდერული სხვაობები მეტად სენსიტიური წინარწმენასთვის არ ყოფილა მნიშვნელოვანი.

მართალია, რიგი მკვლევრების (მაგ. Altemeyer 1998; Parillo and Donoghue 2005; იხ. McFarland 2010) თანახმად, კაცები უფრო მიდრეკილნი არიან წინარწმენისკენ, ვიდრე ქალები, გენდერი ყოველთვის არაა წინარწმენასთან დაკავშირებული (Javakhishvili et al. 2012; იხ. Herek 2002; Hughes and Tuch 2003). მაგალითად, ეკვპამარმა და კოლეგებმა (2003) ექსპერიმენტებით აჩვენეს, რომ კაცები უფრო მაღალ ქულებს იღებდნენ ექსპლიციტური წინარწმენის საზომზე, ხოლო ქალები იმპლიციტური წინარწმენის უფრო მაღალ დონეს ავლენდნენ (Ekehammar, Akrami and Araya).

შედეგების ასეთი წინააღმდეგობრიობა, გარკვეულწილად, მოცემული კვლევის შედეგებშიც აისახა, სადაც გენდერი მხოლოდ წინარწმენის ნაკლებ სენსიტიური ფორმისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. ვინაიდან მეტად სენსიტიური წინარწმენა უფრო ახლო, მგრძნობიარე კავშირებს გულისხმობს გარე-ჯგუფთან, სავარაუდოა, რომ კაცებსა და ქალებს ერთნაირი დამოკიდებულებები აქვთ, როცა საქმე სწორედ ასეთ ახლო, მგრძნობიარე ურთიერთობებს (მეტად სენსიტიური წინარწმენა) ეხება და გენდერული სხვაობა მხოლოდ უფრო დისტანციური, ნაკლებ მგრძნობიარე კავშირების (ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა) დროს იჩენს თავს.

წინარწმენის მეტად და ნაკლებ სენსიტიურ ფორმებს შორის უფრო მნიშვნელოვანი სხვაობა ტრანსქტორიული ანალიზის შედეგადაც გამოიკვეთა: მეტად სენსიტიური წინარწმენისგან განსხვავებით, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, სიმბოლურ საფრთხესთან ინტერაქციაში შესული ტრადიციის ღირებულება კარგავდა წინარწმენის ახსნის პოტენციალს და მხოლოდ სიმბოლურ საფრთხესთან კომბინაციაში შეეძლო წინარწმენის ამ სახის პროგნოზირება მაშინ, როცა სიმბოლური საფრთხე რჩებოდა მის დადებით პრედიქტორად. – მიგნება, რომელიც არა

მოდერაციული, არამედ მედიაციური კავშირის არსებობაზე შეიძლება მეტყველებდეს, რამდენადაც ტრადიციასა და ნაკლებ სენსიტიურ წინარწმენას შორის კავშირს მესამე ცვლადი – სიმბოლური საფრთხე ხსნის (იხ. Baron and Kenny 1986). ეს შედეგები დეტალურად მეოთხე ქვეთავში იქნება განხილული.

4.2. წინარწმენის დადებითი პრედიქტორები: ეთნოცენტრიზმი, ტრადიციის ღირებულება და საფრთხეები

არსებულ ლიტერატურასთან თანხვედრაში (მაგ., Perrault and Bouhris 1995; Pettrigrew and Meertens 1995; Stephen & Stephen 1996), ეთნოცენტრიზმი დადებითად წინასწარმეტყველებდა ორივე სახის წინარწმენას. რამდენადაც ამ კონსტრუქტს „განზოგადებულ წინარწმენას“ (იხ. McFarland 2010) უწოდებენ, რომელიც საკუთარ თავში უკიდურეს შიდა-ჯგუფურ ფავორიტიზმსა და შიდა-ჯგუფის მიღმა არსებულისადმი უარყოფით დამოკიდებულებებს აერთიანებს, მისი მნიშვნელოვანი როლი კონკრეტული გარე-ჯგუფის მიმართ არსებულ წინარწმენაში ლოგიკურია.

ცრურწმენებთან, რელიგიურ დოგმატიზმთან, მილიტარიზმსა თუ ავტორიტარიზმთან ერთად, ის რეაგირების ერთ-ერთ სახედ განიხილება ისეთ გაურკვეველ სიტუაციებზე (Jost et al. 2003), რომლებიც უკავშირდება სიახლეებს, ცვლილებებს, უცხოელებს (Wilson 1973), და დადებითად კორელირებს ორაზროვნების აუტანლობასთან (O'Connor 1952). სხვა სიტყვებით, ეთნოცენტრიზმი სტატუს კვოს შენარჩუნების ერთ-ერთი გზაა და უცხოს მიუღებლობის – წინარწმენის – ტენდენციებს ააქტივირებს.

ამ თვალსაზრისით, ეთნოცენტრიზმი კონცეპტუალურად ახლო დგას (და ძლიერად კორელირებს, $r=.51$) მოცემული კვლევით გამოვლენილ წინარწმენის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრედიქტორთან – ტრადიციის ღირებულებასთან, რომელიც, შვარცის (2012) თანახმად, თავდაცვაზე ორიენტირებულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებად, უფრო ვიწროდ კი კონსერვაციის ღირებულებად კლასიფიცირდება

(Schwartz et al. 2012). როგორც ღირებულებათა ამ ფართო კლასების სახელწოდებებიდანაც ჩანს, ეთნოცენტრიზმის მსგავსად, ტრადიციის ღირებულებას საფუძვლად არსებულის შენარჩუნება და ცვლილებებისადმი რეზისტენტულობა უდევს. ეს ღირებულება სოციალური წესრიგის, სტაბილურობისა და ინსტიტუციონალიზებული მოლოდინებისადმი მგრძობიარობას გულისხმობს და კულტურული, ოჯახური და რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვისკენაა მიმართული (ibid.).

აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ ტრადიციის ღირებულება დადებითად კორელირებს რელიგიის მნიშვნელობასთან ადამიანის ცხოვრებაში, ლოცვის სიხშირესა და ოჯახისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებასთან, ხოლო ანტი-გეი დამოკიდებულებებს, ყველა ღირებულებას შორის, ყველაზე ძლიერად წინასწარმეტყველებს (Schwartz et al. 2012) (ამ კონტექსტში, არაა შემთხვევითი, რომ ჰომოსექსუალობის აღსანიშნ ერთ-ერთ ტერმინად სწორედ „არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია“ გამოიყენება). ამდენად, ტრადიციის ღირებულების წვლილი ახალი, უცხო გარე-ჯგუფისადმი წინარწმენის წინასწარმეტყველებაში მოსალოდნელი იყო.

ამასთან, ეთნოცენტრიზმი და ტრადიციის ღირებულება შიდა-ჯგუფური იდენტობის ჩამნაცვლებელ ტერმინებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. მართლაც, „კონკრეტული სოციალური იდენტობა ნიშნავს, იყო კონკრეტულ ჯგუფთან ჰარმონიაში, ჰგავდე მის სხვა წევრებს და მოვლენები ამ ჯგუფის პერსპექტივიდან აღიქვა“ (Stets and Burke 2000, 226).

ეთნოცენტრიზმიც საკუთარი ჯგუფის უპირატესად დაყენებასა და მისი ნორმების სტანდარტად გამოყენებას გულისხმობს სხვა ჯგუფებისა თუ მოვლენების შეფასების დროს (Neuliep 2002). როგორც სოციალური იდენტობა, ისიც უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება (იხ. Brewer 2007), ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ძლიერ მიკუთვნებულობას გრძობენ საკუთარ ჯგუფთან, სხვა სიტყვებით, ეთნოცენტრული მიდრეკილებების მქონე ადამიანები, ამ უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, გარე-ჯგუფების მიმართ წინარწმენას ავლენენ (Bergmann 2008). მართლაც,

შიდა-ჯგუფური იდენტიფიკაცია რომ გარე-ჯგუფისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის წინაპირობაა, არაერთი კვლევით იქნა ნაჩვენები (მაგ., Tajfel 1970; Tajfel et al. 1971; Billig and Tajfel 1973; Tajfel and Billig 1974).

მეორე მხრივ, სოციალური იდენტობის კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის სიმბოლოები და ქცევები, რომლებიც შიდა-ჯგუფს გარე-ჯგუფისაგან განსასხვავებს (Brewer 2007). ეს სიმბოლოები და ქცევები ტრადიციებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც ერთ ჯგუფს მეორისაგან გამოარჩევს, სხვაგვარად – იდენტობა ტრადიციების ერთობად შეიძლება განვიხილოთ, ხოლო იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც მსგავსი ტრადიციები – კულტურული, რელიგიური, ოჯახური ნორმები – მნიშვნელოვანია (ანუ ვისაც გამოკვეთილი აქვს ტრადიციის ღირებულება), განსხვავებული ტრადიციების მატარებელი ჯგუფი საკუთარი იდენტობის „აქილევსის ქუსლი“ ხდება, ამ ჯგუფზე მტკივნეულად რეაგირებს და მის მიმართ წინარწმენა უჩნდება. რიგი ავტორების (მაგ., Rokeach 1960; Struch and Schwartz 1989; Biernat, Vescio and Theno 1996) აზრით, წინარწმენისთვის ცენტრალური არა რეალური ჯგუფთაშორისი სხვაობებია (მაგ., ეთნიკური ან რასობრივი), არამედ აღქმული სხვაობა სწორედ ღირებულებებსა და ნორმებში.

თუმცა, თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ტრადიციის ერთ-ერთ განშტოებას – რელიგიურობასაც – უნდა აეხსნა წინარწმენა მოცემულ კვლევაში, მაგრამ როგორც რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რელიგიურობის დონე არ ჰმატებდა მნიშვნელოვან წვლილს წინარწმენის არც ერთი ფორმის ცვალებადობას. ერთ-ერთი შესაძლოა მიზეზი ისაა, რომ ტრადიციის ღირებულებამ, რომელიც რელიგიის მნიშვნელობასაც მოიცავს, გადაფარა რელიგიურობის ეფექტი.

ტრადიციის ღირებულების ეს კომპონენტი – რელიგიურობა – განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს კონტექსტში, სადაც გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა (65.9%) საკუთარი თავის იდენტიფიცირებას უფრო ჭეშმარიტ ქრისტიანთან ახდენს, ვიდრე საქართველოს მოქალაქესთან (სუმბაძე 2012), 90%-ისთვის რელიგია მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ რელიგიურია (CRRC 2015), ხოლო 35%-ის აზრით, მრევლისა და მღვდლების

პოლიტიკური შეხედულებები გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე საპარლამენტო არჩევნებში (NDI 2016) მაშინ, როცა ეკლესია და, მათ რიცხვში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ლიდერი, დაუფარავად გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებებს უმცირესობათა მიმართ; მაგალითად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გეი ადამიანები წამალდამოკიდებულებებისთვის ჰყავს შედარებული (Roth 2013) და ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული მშვიდობიანი აქციის წინა დღეს ნათქვამი აქვს, რომ „ჩვენი მოქალაქეები [ამ აქციაში] ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას, მათი ტრადიციების, სარწმუნოებისა და, ზოგადად, აზროვნების წესის შეურაცხყოფას” (*Netgazeti* 2013).

მეტიც, ფართომასშტაბიანი გამოკითხვის (CRRC 2015) თანახმად, რელიგია ისეთივე მნიშვნელოვანია (90%) იმ ასაკობრივი ჯგუფის (18-დან 35 წლამდე ადამიანების) ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა ჯგუფსაც მოცემული კვლევის შერჩევაც განეკუთვნება, როგორც უფროსი თაობებისათვის (91% – 36-დან 55-მდე მოსახლეობისთვის და 89% – 56-ს გადაცილებულთათვის). ეს ტენდენცია ჩემს კვლევაშიც აისახა, სადაც მონაწილეების როგორც ტრადიციის ღირებულების (N=589; M=4.13⁵, SD=1.40), ისე რელიგიურობის დონის საშუალო ქულა (N=582, M=6.36⁶, SD=2.41) საშუალოზე მაღალი იყო. შესაძლოა, ამითაც აიხსნას ის გარემოება, რომ მართალია, ახალი თაობის წარმომადგენლები, უფროს თაობასთან შედარებით, უფრო შემწყნარებლურები არიან ისეთი გარე-ჯგუფების მიმართ, როგორც ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებია, მაგრამ თაობათაშორისი სხვაობა არ ვლინდება რელიგიური უმცირესობებისადმი დამოკიდებულებებში: ამ უკანასკნელთა მიმართ ორივე თაობა დაახლოებით მსგავს შეუწყნარებლობას იჩენს (სუმბაძე 2012).

რელიგიურობის მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდებში სხვა მკვლევრებაც ეთანხმებიან: „რელიგიურად მცხოვრები ადამიანების დიდ ნაწილს დედაქალაქში მცხოვრები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები წარმოადგენენ, რომლებმაც ბავშვობა 1990-იან წლებში, ყველაზე მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ (არაუსაფრთხო) სიტუაციაში გაატარეს” (კეკელია და სხვ. 2013, 70).

⁵ მაქსიმალური შესაძლო ქულა 6-ია.

⁶ მაქსიმალური შესაძლო ქულა 10-ია.

ეს ციტატა ორ, თანაბრად ლეგიტიმურ, მოსაზრებას აჩენს: ერთი მხრივ, არასტაბილურმა და საფრთხის შემცველმა გარემომ, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება შეუწყოს ხელი, ზოგადად, ტრადიციული და ეთნოცენტრული მიდრეკილებების გაღვივებას (cf. Greenberg, Pyszcynski and Solomon 1986; Duckitt and Fisher 2003; Jost et al. 2003), მეორე მხრივ კი საკუთრივ ასეთმა მიდრეკილებებმა შეიძლება გამოიწვიოს გარემოს საფრთხის შემცველად აღქმა (cf. Cohrs & Ibler 2009) და შემდგომ – წინარწმენები. ასეთი მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობის ემპირიულად დადგენა რთულია და ლონგიტუდურს კვლევებს საჭიროებს.

მოცემული კვლევა მხოლოდ იმ ინფორმაციას იძლევა, რომ მეტად სენსიტიურ წინარწმენას ყველაზე უკეთ ტრადიციის ღირებულება ხსნის ($\beta=.31$) და შემდეგ სიმბოლური ($\beta=.21$) და რეალისტური ($\beta=.19$) საფრთხეები; ეთნოცენტრიზმს, ამ შემთხვევაში, ყველაზე დაბალი ამხსნელი პოტენციალი აღმოაჩნდა ($\beta=.16$), თუმცა, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, სწორედ ეთნოცენტრიზმი იყო ყველაზე კარგი პრედიქტორი ($\beta=.25$) (ტრადიცია, ამჯერად, წონის მიხედვით, ექვსი პრედიქტორიდან მეხუთე აღმოჩნდა, $\beta=.11$) და შემდეგ კვლავ სიმბოლური ($\beta=.23$) და რეალისტური ($\beta=.16$) საფრთხეები.

ტრადიციის შედარებით სუსტი როლი ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის, შესაძლოა, იმას მიუთითებდეს, რომ ტრადიციული ღირებულებები მაშინ უფრო მეტ ლმობიერებას გულისხმობს, როცა საქმე გარე-ჯგუფთან არცთუ ახლო კავშირებზე (ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა) მიდგება, თუმცა უფრო ახლო და დელიკატურ ურთიერთობებთან (მეტად სენსიტიური წინარწმენა) ასეთი ღირებულებები შეუთავსებელია. მეორე მხრივ, ეთნოცენტრიზმის ეფექტი სუსტდება მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში და ძლიერდება წინარწმენის ნაკლებ სენსიტიური ფორმისთვის: როგორც ჩანს, ეთნოცენტრული დისპოზიციები გარე-ჯგუფთან შორეულ კავშირებსაც (ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა) არ წყალობს მაშინ, როცა ახლო კავშირების (მეტად სენსიტიური წინარწმენა) დროს ტრადიციის ღირებულებები გადასწონის ეთნოცენტრიზმს.

ასეა თუ ისე, *სიმბოლური და რეალისტური საფრთხეები*, წონების მიხედვით, ორივე სახის წინარწმენის მეორე და მესამე პრედიქტორად დალაგდა. გარდა ამისა, როგორც ANOVA-მ აჩვენა, მხოლოდ საფრთხის შემცველ ინფორმაციასთან გაცნობის (ექსპერიმენტული პირობები) შედეგად, ორივე სახის წინარწმენის საშუალო ქულები მნიშვნელოვნად აღემატებოდა „უსაფრთხო“ ინფორმაციასთან გაცნობის (საკონტროლო პირობა) შედეგად მიღებულ საშუალო ქულებს, რაც, არსებულ კვლევებთან (მაგ., Stephen and Stephen 1996; Stephen et al. 2002; Riek, Mania and Gaertner 2006; Aberson and Gaffney 2008) თანხვედრაში, მიუთითებს, რომ მხოლოდ საფრთხეს დამოუკიდებლად შესწევს ძალა, გააღვივოს წინარწმენა.

საფრთხის ბუნებიდან გამომდინარე, საფრთხის დროს წარმოქმნილი წინარწმენა ბუნებრივ რეაქციადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, მით უფრო, რომ ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიის (Stephen, Ybarra and Morrison 2009) თანახმად, ადამიანები ბუნებრივად არიან მიდრეკილნი, აღიქვან საფრთხე. ამ გარემოებას ევოლუციური მიზეზები აქვს და იმ დროიდან იღებს სათავეს, როცა საფრთხის შემჩნევა და მასზე რეაგირება (მათ შორის, წინარწმენის გამოვლენა) ადაპტურ ფუნქციას ატარებდა, ანუ, როცა თვითგადარჩენაზე ორიენტირებულ ჩვენს წინაპრებს სწრაფად უნდა განესხვაგვებინათ ერთმანეთისგან მეგობარი და მტერი ტომები (E. Aronson 2012). ასე, მაგალითად, უცხო ხალხი ხშირად იმგვარ დაავადებათა წყაროს წარმოადგენდა, რომელთა მიმართაც არ გვექონდა იმუნიტეტი გამომუშავებული და, შესაბამისად, მტრული, ზიზღის შემცველი დამოკიდებულება ამ ხალხისადმი შესაძლო დაავადებებისგან თავის არიდების ერთ-ერთი ნაყოფიერი, პრაგმატული საშუალება იყო (Smith 2016).

ამ თვალსაზრისით, საგულისხმო პარადიგმას უზრუნველყოფს ბრიტანელი ანთროპოლოგის, მერი დაგლასის (1966) „გარეგანი საზღვრების“ ცნება. სხვადასხვა საზოგადოებაში სისუფთავე-სიბინძურესთან დაკავშირებული შფოთვებისა და მათი თანმხლები რიტუალების შესწავლის შედეგად, დაგლასი იმ აზრამდე მივიდა, რომ ადამიანები ყველაზე მგრძნობიარენი სხეულებრივი საზღვრების მიმართ არიან, როგორცაა თვალი, ყური, პირი, ცხვირი, გენიტალიები და სხვ. ვინაიდან ეს საზღვრები

სხეულის ყველაზე მოწყვლადი ნაწილებია, მათი „დარღვევა“ მტკიცებულად აღიქმება, როგორც სხეულში რაიმეს შეღწევის, ადამიანისთვის რაიმეს გადადების, ისე სხეულებრივი სისტემის მოშლის კუთხით (Douglas). დაგლასი – რაც უფრო საყურადღებოა – სხეულს ნებისმიერი შემოსაზღვრული სისტემის მოდელად, საზოგადოების სიმბოლოდ განიხილავდა. და მართლაც, ამ პარადიგმას თუ სოციალურ ჯგუფებზე გადმოვიტანთ, უფრო ნათელი გახდება, რატომ აღიქვამენ ადამიანები საფრთხედ მათ, ვინც მათი რეალური (ვთქვათ, ტერიტორიული) თუ სიმბოლური (ვთქვათ, კულტურული) საზღვრები შეიძლება გადალახოს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უცხო სემოსვლა არსებულ სისტემაში შფოთვას აღმოაცენებს და მისი შემცირების მიზნით, თუ, ვთქვათ, ერთ-ერთი ინდური კასტა გარკვეულ რიტუალებს მიმართავს (როცა საქმე სხეულის სისუფთავე-დაბინძურებას ეხება), თანამედროვე სოციალურმა ჯგუფებმა წინარწმენა შეიძლება გამოავლინონ.

ამ ვითარებაში წინარწმენის გამოვლენის კიდევ ერთ შემამსუბუქებელ გარემოებას საკუთრივ საფრთხე უზრუნველყოფს: თუ გარე-ჯგუფი შიდა-ჯგუფის კეთილდღეობისთვის საკმარისად საფრთხის შემცველადაა აღქმული, მაშინ ამ საფრთხის არსებობა წინარწმენის გამართლების და, შესაბამისად, მისი გამოხატვის, მეტ საშუალებას იძლევა (Crandall and Eshleman 2004; Brewer 2007). ამდენად, თუ წინარწმენა თავისი არსით ირაციონალური ფენომენია, გამამართლებელი ბერკეტების (ამ შემთხვევაში, საფრთხის) წყალობით, ის რაციონალურ ელფერს იძენს.

მართალია, საზღვრებთან დაკავშირებული საფრთხეებისადმი მგრძნობიარობა უნივერსალურ ფენომენად შეგვიძლია მივიჩნიოთ, სოციალურ დონეზე, ყველა ჯგუფი ამ საფრთხეებისადმი ერთნაირ მგრძნობიარობას მაინც არ ავლენს (Stephen, Ybarra and Morrison 2009), რაც გარკვეული აზრის მატარებელია საქართველოს კონტექსტში. კერძოდ, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიის ავტორთა (Stephen et al.) აზრით, მცირე ძალაუფლების მქონე ჯგუფები უფრო აღიქვამენ საფრთხეს, თუმცა დიდ ძალაუფლების მქონეთ საფრთხეზე უფრო ძლიერი რეაქცია ექნებათ, რამდენადაც ბევრი აქვთ დასაკარგი და სათანადო რესურსებიც გააჩნიათ საფრთხეებთან გასამკლავებლად. მართლაც, კვლევები (Corenblum and Stephen 2001; Stephen et al. 2002) აჩვენებს, რომ

მცირე ძალაუფლების მქონე ისეთი ჯგუფები, როგორებიც არიან შავკანიანი ამერიკელები და ადგილობრივი კანადელები, უფრო ძლიერად განიცდიან საფრთხეს დიდი ძალაუფლების მქონე ისეთი ჯგუფებისგან, როგორებიც ევროპელი ამერიკელები და ანგლო-კანადელები არიან. ასევე, მცირე ზომის ჯგუფები უფრო არიან საფრთხის აღქმისკენ მიდრეკილნი, მით უფრო, თუ გარე-ჯგუფი მათთან შედარებით საგრძნობლად დიდია (Corneille et al. 2001; McLaren 2003; Campbell 2006).

ამასთან, მართალია, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიის ავტორები (Stephen, Ybarra and Morrison 2009) არა რეალურად არსებული, არამედ აღქმული საფრთხის მნიშვნელობაზე აკეთებენ აქცენტს, კვლევები (მაგ., Quillan 1995) და ისტორიული გამოცდილება (იხ. E. Aronson 2012) აჩვენებს, რომ რეალურად არსებულ საფრთხეებს – მაგალითად, მძიმე ეკონომიკურ პირობებს – შეუძლია წინარწმენების პროვოცირება, რადგან ასეთ დროს პრობლემები გარე-ჯგუფებს მიეწერებათ (Riek, Mania and Gaertner 2006).

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საფრთხე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს კონტექსტში, სადაც არასტაბილური გარემოა, ხოლო უმუშევრობა, ეკონომიკური კრიზისი და ტერიტორიული მთლიანობა სამი მთავარი საკითხი, რაც გამოკითხულ მოსახლეობას აწუხებს (IRI 2017). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყანა რეალისტური (რეალური თუ არა) საფრთხეების წინაშე დგას.

მეორე მხრივ, გარკვეულ საჯარო წრეებში არანაკლებ წინაა წამოწეული სიმბოლურ საფრთხეებთან დაკავშირებული რიტორიკა, რა შემთხვევაშიც საფრთხის შემცველი გარე-ჯგუფის როლში, ზოგადად, დასავლეთი განიხილება და მას ისეთი სიმბოლური საფრთხეები მიეწერება, როგორცაა მართლმადიდებლობის, „ქართველობის“ და ოჯახური ტრადიციების წართმევის, ჰომოსექსუალობის თავსმოხვევის საშიშროება (კინწურაშვილი 2015), ჰომოსექსუალობა კი, თავის მხრივ, და, მათ რიცხვში, ლესბოსელობა, საფრთხედ მიიჩნევა ეროვნული ტრადიციების, ღირებულებებისა და რელიგიისთვის (Kharchilava and Javakhishvili 2010). ხოლო, როდესაც საჯარო დიკსურსში მსგავსი კულტურულ-მორალური საკითხები იძენს აქტუალობას, ადამიანებს უჩნდებათ ტენდენცია, გარე-ჯგუფებისგან სწორედ

სიმბოლური საფრთხეები აღიქვან და მათზე მოახდინონ რეაგირება (Minescu and Poppe 2011).

თუმცა, არა სიმბოლური, არამედ ქვეყანაში რეალურად არსებული საფრთხეებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მოცემულ კვლევაში, მოლოდინის წინააღმდეგ, წინარწმენის წინასწარმეტყველება ვერ შეძლო უსაფრთხოების ღირებულებებმა, რომლებიც, ტრადიციის მსგავსად, შფოთვის შემამცირებელ და კონსერვაციის ღირებულებებში ერთიანდება (Schwartz et al. 2012). მეტიც, პირადი უსაფრთხოებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოება წინარწმენის არც ერთ ფორმასთან არ კორელირება. ისეთ ქვეყნებში ჩატარებულ კვლევათა თანახმად, როგორცაა, მაგალითად, ისრაელი (Sagiv and Schwartz 1995), ავსტრალია (Feather and McKee 2008), იტალია, ესპანეთი და გერმანია (Vecchione et al. 2012), უსაფრთხოების ღირებულებები დადებითად უკავშირდება წინარწმენას. ამასთან, თუ პირადი უსაფრთხოების ღირებულება პირად კეთილდღეობას (მაგ., ჯანმრთელობას) ეხება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ღირებულება უფრო ფართო საზოგადოების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას გულისხმობს და, ტრადიციის მსგავსად, თავდაცვასა და შფოთვის შემცირებაზეა მომართული (Schwartz et al. 2012). თუმცა, მოცემულ კვლევაში, როგორც ზემოთაც ითქვა, ეს ღირებულება არ დაუკავშირდა წინარწმენას, რისი მიზეზიც მისი გასაზომი დებულებების შინაარსსა და ქვეყნის სპეციფიკაში უნდა ვეძებოთ. კერძოდ, ეს დებულებებია: „მისთვის მნიშვნელოვანია, მისი ქვეყანა იყოს უსაფრთხო და სტაბილური“, „მისთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეს ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია საკუთარი მოქალაქეების დაცვა“ და „მისთვის მნიშვნელოვანია, მისმა ქვეყანამ დაიცვას თავი ყველა საფრთხისაგან.“ ქვეყანაში არსებული საფრთხეების ფონზე, როცა ორი რეგიონი რუსეთის მიერაა ოკუპირებული, რუსული საფრთხეები კვლავ გრძელდება (იხ. Foreign & Commonwealth Office 2017), ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემად, სამუშაო ადგილებსა და სიღარიბესთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობა რჩება (NDI 2017a) და რუსეთი ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევა (NDI 2017b), ნორმალურია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება კვლევის მონაწილეთა უმეტესობისთვის პრიორიტეტული ღირებულება ყოფილიყო, განურჩევლად იმ

პიროვნული პრედისპოზიციებისა, რაც წინარწმენას განაპირობებს; მართლაც, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ღირებულება არც კი კორელირებდა ეთნოცენტრიზმთან და მხოლოდ დაბალ კორელაციაში იყო ტრადიციის ღირებულებასთან ($r=.17$); აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების საერთო ($N=589$) საშუალო ქულა მაღალი იყო: 5.20 მთლიანი 6 ქულიდან, ამ ღირებულებაზე მაღალი საერთო საშუალო ქულა კი მხოლოდ კეთილგანწყობა-ზრუნვისა ($M=5.43$) და ახალი თაობისთვის დამახასიათებელ (cf. Schwartz et al. 2012) ავტონომიური მოქმედების ($M=5.24$) ღირებულებებს ჰქონდა (იხ. ცხრილი 8).

კიდევ ერთი მოლოდინის საწინააღმდეგო შედეგი კონფორმულობის ღირებულებებს უკავშირდება, რომელიც ასევე შფოთვის შემამცირებელ, კონსერვაციის ღირებულებებში შედის და რომელიც ასევე არ კორელირებდა წინარწმენის არც ერთ ფორმასთან. გარდა იმისა, რომ კონფორმულობა წინარწმენის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა (Pettigrew 1958; იხ. E. Aronson 2012), კონფორმულ ადამიანებს მეტი მზაობა აქვთ, აღიქვან საფრთხეები არსებული სოციალური წესრიგის წინაშე და სამყარო, ზოგადად, საშიშ ადგილად დაინახონ (Duckitt and Fisher 2003). ამასთან, მაგალითად, ისრაელში (Sagiv and Schwartz 1995) ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ კონფორმულობის ღირებულებები წინარწმენას დადებითად უკავშირდება. მოცემულ კვლევაში კონფორმულობის და კერძოდ, კონფორმულობა-წესების ღირებულების არამნიშვნელოვანი როლი კვლავ დებულებების შინაარსით შეიძლება აიხსნას კონკრეტული ქვეყნის კონტექსტში: შვარცის (2012) მიერ განსაზღვრული კონფორმულობა-წესების ღირებულება კანონების, წესებისა და ფორმალური ვალდებულებების დაცვას უკავშირდება (Schwartz et al.), კანონმორჩილება კი პოსტ-საბჭოთა ახალ დემოკრატიაში მაღალ სამოქალაქო შეგნებას უფრო მიუთითებს, ვიდრე არსებული ნორმების რიგიდულ მორჩილებას. კონფორმულობა-წესების ღირებულებაც, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მსგავსად, არ კორელირებს ეთნოცენტრიზმთან და დაბალ კორელაციაშია ტრადიციის ღირებულებასთან ($r=.18$).

ამავენაირად, მოლოდინის წინააღმდეგ, შფოთვის შემამცირებელ და თვით-გამძლიერების ღირებულებებში შემავალი ძალაუფლების ღირებულებები, კერძოდ,

ძალაუფლებლება-დომინანტობა და ძალაუფლება-რესურსები, არ დაუკავშირდა წინარწმენას მოცემულ კვლევაში, მეტიც, ეს ორივე ღირებულება დაბალ უარყოფით კორელაციაში იყო წინარწმენის მნიშვნელოვან დადებით პრედიქტორთან, ტრადიციასთან (იხ. ცხრილი 10); მიუხედავად ამისა, კვლევათა თანახმად (მაგ., Cohrs et al. 2005) ძალაუფლების ღირებულებები ძლიერად კორელირებს წინარწმენის ერთ-ერთ მთავარ პრედიქტორთან – სოციალური დომინანტობის ორიენტაციასთან, და თავადაც არის წინარწმენის დადებითი პრედიქტორი (Feather and McKee 2008). მოცემულ კვლევაში ძალაუფლების ღირებულებათა არამნიშვნელოვნების ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, იმას უკავშირდებოდეს, რომ კონსერვაციის ღირებულებებისგან განსხვავებით (რომელშიც, მაგალითად, ტრადიციას გაერთიანებული), ძალაუფლება ღირებულებათა იმ კლასს განეკუთვნება (თვით-გაძლიერებას), რომელიც არა სოციალურ, არამედ პიროვნულ სფეროზე აკეთებს ფოკუსს და, ამდენად, ამ ღირებულების მქონე ადამიანები შეიძლება ნაკლებ მგრძნობიარობას იჩენდნენ უფრო ფართო საზოგადოების წინაშე არსებული პოტენციური პრობლემების მიმართ.

4.3. წინარწმენის უარყოფითი პრედიქტორები: უნივერსალიზმი-ტოლერანტობა და უნივერსალიზმი-ზრუნვა

როგორც არსებულ კვლევებში (Sagiv and Schwartz 1995; Feather and McKee 2008; Vechhione et al. 2011), უნივერსალიზმის ღირებულებები მოცემულ კვლევაშიც უარყოფითად დაუკავშირდა წინარწმენას. *უნივერსალიზმი-ტოლერანტობის* ღირებულება ორივე სახის წინარწმენას წინასწარმეტყველებდა ($\beta=-.17$ – მეტად სენსიტიური წინარწმენისთვის და $\beta=-.15$ – ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისთვის), თუმცა *უნივერსალიზმი-ზრუნვამ* მხოლოდ ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა ახსნა ($\beta=-.11$), რისი ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ მაშინ, როცა უნივერსალიზმი-ტოლერანტობა განსხვავებული ცხოვრების წესისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიღებასა და გაგებაზეა ორიენტირებული, უნივერსალიზმი-ზრუნვისთვის

ამ ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა და დარდია ცენტრალური (Schwartz et al. 2012); შესაძლებელია, რომ ზრუნვის ელემენტი იმიტომ ვერ ხსნიდეს მეტად სენსიტიურ წინარწმენას, რომ წინარწმენის ეს ფორმა, განსხვავებით ნაკლებ სენსიტიური ფორმისაგან, აქცენტს, ნაწილობრივ, გარე-ჯგუფის მაღალ სტატუსზე აკეთებს, ხოლო უნივერსალიზმი-ზრუნვა უფრო დაუცველ ადამიანებზე დარდს ასახავს, ასეთად კი გარე-ჯგუფს მეტად სენსიტიური წინარწმენის დებულებები არ წარმოაჩენს.

ასევე, მართალია, უნივერსალიზმი-ბუნების ღირებულება, რომელიც, წინა ორის მსგავსად, ზრდაზე ორიენტირებულ და შფოთვისგან თავისუფალ, უფრო კონკრეტულად კი თვით-ტრანსცენდენტურობის ღირებულებათა კლასს განეკუთვნება, უარყოფითად კორელირებდა წინარწმენის ორივე სახესთან, მას პროგნოსტული პოტენციალი არც ერთ შემთხვევაში არ აღმოაჩნდა. როგორც ჩანს, უნივერსალიზმი-ტოლერანტობის (წინარწმენის ორივე ფორმისთვის) და უნივერსალიზმი-ზრუნვის (წინარწმენის ნაკლებ სენსიტიური ფორმისთვის) ღირებულებებმა მისი ეფექტი გადაფარა.

წინარწმენის ეს ორი უარყოფითი პრედიქტორი წინარწმენის ორი სხვა უარყოფითი პრედიქტორის, ემპათიისა და სხვისი პერსპექტივის მიღების (McFarland 2010) ერთგვარ სინონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ. კერძოდ, უნივერსალიზმი-ზრუნვა ემპათიას (თანაგრძნობის განცდებს) ენათესავება, ხოლო უნივერსალიზმი-ტოლერანტობა სხვისი პერსპექტივის მიღებას (ტენდენციას, სამყაროს სხვათა თვალსაზრისთ შეხედო) და ამ ორის მსგავსად (იხ. McFarland), ეს ღირებულებებიც ქალებში უფროა გამოკვეთილი (იხ. ცხრილი 9), თანაც, არა მხოლოდ მოცემულ კვლევაში (Schwartz et al. 2012).

ლოგიკურად, უნივერსალიზმის ეს ღირებულებები დადებითად კორელირებს პოლიტიკისთვის თვალყურის მიდევნებასა და ისეთ დებულებებთან, როგორცაა იმიგრანტებისთვის იმავე უფლებების მიცემა, რაც მოქალაქეებს აქვთ, მთავრობის მიერ მოსახლეობის შემოსავლებში სხვაობის შემცირება და ჰომოსექსუალების იმავე უფლებებით უზრუნველყოფა, რითაც ქორწინებაში მყოფი წყვილები სარგებლობენ (Schwartz et al. 2012).

ამ უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 15 შერჩევაზე შეგროვებული მონაცემების ანალიზით, მისი მუდმივი დადებითი პრედიქტორი ტრადიციის ღირებულება იყო, ხოლო უნივერსალიზმი-ტოლერანტობა მას 12 შერჩევაში უარყოფითად წინასწარმეტყველებდა (Schwartz et al. 2012).

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მოცემულ კვლევაში, უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულება უარყოფით კორელაციაში იყო ტრადიციასთან ($r=-.38$) და ეთნოცენტრიზმთანაც ($r=-.51$) და ამ ორ ცვლადთან უარყოფითად კორელირებდა უნივერსალიზმი-ზრუნვაც ($r=-.18$ – ტრადიციისთვის და $r=-.31$ – ეთნოცენტრიზმისთვის).

მოლოდინის წინააღმდეგ, მოცემულ კვლევაში, წინარწმენის წინასწარმეტყველება ვერ შეძლო შფოთვისგან თავისუფალ, ცვლილებებისადმი ღიად კლასიფიცირებულმა ისეთმა ღირებულებებმა, როგორცაა ჰედონიზმი და სტიმულაცია; მეტიც, სტიმულაცია საერთოდ არ კორელირებდა წინარწმენის ნაკლებ სენსიტიურ ფორმასთან. მართალია, კვლევები ამ ღირებულებებსა და წინარწმენას შორის კავშირზე არაფერს ამბობს, მაგრამ რამდენადაც სტიმულაცია და ჰედონიზმიც ცნობისმოყვარეობასა და სიახლეებისადმი გახსნილობას გულისხმობს (Schwartz et al. 2012), სხვა სიტყვებით, ისინი ტრადიციის საპირისპირო ღირებულებებს წარმოადგენს (ibid.), მოსალოდნელი იყო, რომ ეს ღირებულებები შეძლებდნენ წინარწმენის ახსნას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ უნივერსალიზმის ღირებულებებისგან განსხვავებით და ძალაუფლების ღირებულებების მსგავსად, ეს ღირებულებები არა სოციალურ, არამედ პიროვნულ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ ყველა ის ღირებულება, რომელმაც მოცემულ კვლევაში წინარწმენა დადებითად თუ უარყოფითად ახსნა, ანუ ტრადიცია, უნივერსალიზმი-ტოლერანტობა და უნივერსალიზმი-ზრუნვა, სწორედ სოციალური (და არა პიროვნული) ფოკუსის მქონე ღირებულებებს განეკუთვნება (Schwartz et al. 2012). ამდენად, ჩანს, რომ სოციალურად ორიენტირებულ ღირებულებებს მეტი აქვთ საერთო წინარწმენასთან.

როგორც შეარცმა და კოლეგებმა (2000) აჩვენეს, ე.წ. მიკრო-დარდები (საკუთარი თავის და უშუალო გარემოცვის შესახებ) პიროვნული ფოკუსის მქონე ღირებულებებთან არის ასოცირებული, ხოლო ე.წ. მაკრო-დარდები (ფართო საზოგადოებისა და სამყაროს შესახებ) – სოციალურად ორიენტირებულ ღირებულებებთან (Schwartz, Sagiv and Boehnke).

ამ ტენდენციას, გარკვეული აზრით, მოცემული კვლევა იმეორებს და მიაწინებს, რომ წინარწმენის ფენომენი უფრო სოციალურია თავისი არსით, ვიდრე პიროვნული; მართლაც, წინარწმენა, პირველ რიგში, ჯგუფთაშორისი ურთიერთობების წიაღში იბადება (cf. Brewer 2007; E. Aronson 2012) და ვისთვისაც ჯგუფი თუ ზოგადად არსებობის საზოგადოებრივი მხარე პრიორიტეტსა და იდენტობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ის უფრო მეტ მგრძნობიარობას იჩენს გარე-ჯგუფების მიმართ როგორც მათდამი უარყოფითი, ისე დადებითი დამოკიდებულებების კუთხით.

ეს მიგნება წინარწმენის ამხსნელ მსხვილ თეორიებს ეხმიანება, როგორც სოციალური იდენტობისა (Tajfel and Turner 1979) და რეალისტური ჯგუფური კონფლიქტის (Sherif et al. [1954] 1961; Sherif 1966) თეორიები და რომლებიც წინარწმენის სწორედ სოციალურ ბუნებაზე და, ზოგადად, სოციალურ პროცესებსა და ჯგუფურ დინამიკაზე აკეთებენ აქცენტს (იხ. Pettigrew 2000). ასე, მაგალითად, ტაიფელს, პირველ რიგში, აინტერესებდა, როგორც შეიძლება ჯგუფთაშორისი მტრულობა ჯგუფურ დონეზე აიხსნას, აკრიტიკებდა სოციალური ქცევის ინდივიდუალური მიდრეკილებებით ახსნისა და სოციალური ფაქტორების მეორეხარისხოვნად განხილვის ტენდენციას და წერდა, რომ წამყვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „ადამიანსა და სოციალურ ცვლილებებს შორის [არსებულ] ურთიერთობებს“ (Tajfel 1972, 108). მეორე მხრივ, შერიფი (1966) ჯგუფთაშორისი მტრობას მწირ რესურსებზე შეჯიბრის – რეალური სოციალური კონფლიქტის – ფუნქციად განიხილავდა (Sherif).

მართალია, მოცემული კვლევით გამოვლენილი წინარწმენის პრედიქტორები – როგორც ტრადიციის, უნივერსალიზმი-ტოლერანტობისა და უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებები, ისე ეთონცენტრიზმი, ინდივიდუალური დონის ცვლადებია (მაგ., Neuliep 2002; Stephen 2014; Allport, Vernon and Lindzey, 1960; Biernat and Vescio 2004;

Schwartz et al. 2012), ისინი სწორედ *სოციალურად ორიენტირებულ* ინდივიდუალური დონის ცვლადებს წარმოადგენს (Schwartz et al.; cf. Sumner 1906).

ამდენად, როგორც უკვე ითქვა, ეს გარემოება, სოციალური იდენტობისა (Tajfel and Turner 1979) და რეალური ჯგუფური კონფლიქტის (Sherif et al. [1954] 1961; Sherif 1966) თეორიებთან თანხვედრაში, ერთი მხრივ, წინარწმენის სოციალურ ხასიათს უსვამს ხაზს, მეორე მხრივ კი იმაზე მეტყველებს, რომ იმ ადამიანებში უფრო მკაფიოდ იქნება გარე-ჯგუფებისადმი დამოკიდებულებები (როგორც უარყოფითი, ისე დადებითი) გამოხატული, რომლებშიც ასეთი სოციალურად მომართული პიროვნული მახასიათებლები მძლავრობს.

4.4. პიროვნული და სიტუაციური ფაქტორების ინტერაქცია: სიმბოლური საფრთხე, როგორც მოდერატორი ტრადიციის ღირებულებასა და წინარწმენასშორის

როგორც ზემოთაც გამოჩნდა, წინარწმენას განაპირობებს ის, თუ როგორი პიროვნული დისპოზიციების მატარებელია ადამიანი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სიტუაციური ფონი, რომელსაც დამოუკიდებლადაც შესწევს ძალა, წინარწმენა გააღვივოს (cf. E. Aronson 2012). თუმცა, აქ კითხვა ისაა, ყველაზე ერთნაირად მოქმედებს თუ არა სიტუაცია.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ფსიქოლოგიაში შედარებით ახალ მიდგომას (Feldman 2003) მიმართავენ – „ინტერაქციონისტულ პერსპექტივას, რა დროსაც ქცევა პიროვნული მახასიათებლებისა და სიტუაციური ფაქტორების ერთობლივ ფუნქციად განიხილება” (ibid., 51).

სტატისტიკურ ტერმინებში, ეს ნიშნავს, რომ, დამოკიდებული ცვლადის ახსნისას, პიროვნულ და სიტუაციურ ცვლადებს შორის ინტერაქციას უნდა ჰქონდეს ადგილი. მოცემულმა კვლევამ მართლაც აჩვენა, რომ პიროვნული ღირებულება – ტრადიცია, ინტერაქციაში შედის სიტუაციურ ფაქტორთან – სიმბოლურ საფრთხესთან, და ეს ინტერაქცია დამოკიდებულ ცვლადს – წინარწმენას ხსნის. სხვა სიტყვებით, გამოჩნდა,

რომ ტრადიციასა და წინარწმენას შორის კავშირის მოდერატორი და გამამძლიერებელი სიმბოლური საფრთხეა, მაგრამ არა რეალისტური.

კორსისა და იბლერის (2009) თანახმად, მოდერაციული მიდგომა გულისხმობს, რომ საფრთხის აღქმა, შესაძლოა, კონკრეტული პიროვნული პრედისპოზიციების (ტრადიციის, ამ შემთხვევაში) შედეგად მოხდეს ან პირიქით: ამ პრედისპოზიციებს მათთვის რელევანტური „კონტექსტუალური მახასიათებლები ააქტიურებს მუხსიერებაში და ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანს ხდის” (Cohrs and Ibler, 82). აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, შესაძლებელია, სწორედ ტრადიციის ღირებულება იყოს პასუხისმგებელი საფრთხის აღქმაზე, მეორე მხრივ კი, შესაძლებელია ისიც, რომ სიმბოლური საფრთხე წამოსწევდეს წინ პიროვნებაში უკვე არსებულ ტრადიციულ ღირებულებებს.

ეს მსჯელობა საგულისხმო აზრის მატარებელია წინარწმენის როგორც მეტად სენსიტიური, ისე ნაკლებ სენსიტიური ფორმისათვის. როგორც ტრანექტორიულმა ანალიზმა აჩვენა, მეტად სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, ტრადიციის ღირებულება დამოუკიდებლადაც უკავშირდებოდა წინარწმენას და სიმბოლურ საფრთხესთან ინტერაქციაშიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ტრადიციის ღირებულება შეიძლება იყოს პასუხისმგებელი როგორც სიმბოლური საფრთხის აღქმაზე, ისე წინარწმენაზე.

მეორე მხრივ, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის შემთხვევაში, გამოჩნდა, რომ როცა ინტერაქციულ მოდელში ტრადიციის ღირებულებასთან ერთად სიმბოლური საფრთხე შედიოდა, ტრადიციის ღირებულება, საფრთხისგან დამოუკიდებლად, კარგავდა ეფექტს და მხოლოდ საფრთხესთან ინტერაქციაში შეეძლო წინარწმენის ახსნა, რაც კორსისა და იბლერის (2009) მსჯელობის მეორე დაშვებას ეხმიანება; კერძოდ, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ტრადიციის ღირებულება საკუთრივ სიმბოლურ საფრთხეს წამოეწია წინ (cf. Cohrs and Ibler).

ეს გარემოება წინარწმენის ნაკლებ სენსიტიური ფორმის შინაარსით შეიძლება აიხსნას: როგორც რეგრესიული ანალიზის შედეგებიც მიანიშნებს, ტრადიციის ღირებულება, თავისთავად, გარე-ჯგუფთან ზედაპირული კავშირებისადმი (ნაკლებ

სენსიტიური წინარწმენა) უფრო ღმობიერია, თუმცა, როცა ეს გარე-ჯგუფი მკაფიოდ განსხვავებული ტრადიციების, ნორმებისა თუ მორალის მატარებლად აღიქმება, ანუ როცა სახეზეა სიმბოლური საფრთხე, ტრადიციის ღირებულება აქტივირდება და წინარწმენას ამძაფრებს. კვლევის ეს შედეგი ფელდმენის (2003) მოსაზრებასთანაც მოდის თანხვედრაში, რომლის მიხედვით, სოციალურად ნორმატიული ადამიანები, ზოგადად, მიდრეკილნი არიან არატოლერანტობისკენ, მაგრამ საფრთხის არსებობის გარეშე, შესაძლოა, არ გამოავლინონ არატოლერანტობა (Feldman); ფელდმენისვე (2003) აზრით, წინარწმენას სოციალური ნორმებისადმი არსებული საფრთხე წინასწარმეტყველებს, თუმცა მხოლოდ იმ ადამიანებში, ვინც ამ ნორმებისადმი მგრძნობიარეა.

საბოლოო ჯამში, ორივე სახის წინარწმენისთვის, მოდერაციული ანალიზი აჩვენებს, რომ სიმბოლური საფრთხე ნორმატიულად მოწყვლად ადამიანებზე უფრო ახდენს გავლენას და, შედეგად, სწორედ ასეთი ადამიანები ავლენენ წინარწმენას. სიმბოლური საფრთხის შინაარსიდან გამომდინარე, ეს ლოგიკურიცაა: სიმბოლური საფრთხეები სწორედ ტრადიციებისა და ღირებულებების წინაშე მდგარ საფრთხეებს გულისხმობს (Stephen, Ybarra and Morrison 2009) და, ამდენად, უფრო მტკივნეულად იმ ადამიანებში განიცდება, ვისთვისაც ეს ტრადიციები და ღირებულებები მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების მხრიდან, ვინც მკვეთრად განსხვავებულ ტრადიციებსა და ღირებულებებს ატარებს (Stephen, Ybarra and Bachman 1999). როგორც ანთოპოლოგი ბეკერი (1971) აღნიშნავს, ჩვენი ფუნდამენტური მსოფლალქმებისგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლალქმების მქონე ჯგუფის უბრალო არსებობაც კი საფრთხედ განიცდება (Becker), რასაც, თავის მხრივ, ამ ჯგუფის მიმართ მტრული დამოკიდებულებები მოსდევს (Greenberg and Arndt 2011). როკიჩის (1960) აზრითაც, წინარწმენა იმდენად იქნება გამოხატული გარე-ჯგუფის მიმართ, რამდენადაც შიდა-ჯგუფი მათ განსხვავებული ღირებულებების მატარებლად აღქვამს (Rokeach). თავად საფრთხის თეორიის ავტორებიც (Stephen, Ybarra and Morrison) თვლიან, რომ ღირებულებითი სხვაობები სიმბოლური საფრთხის აღქმის უკეთესი პრედიქტორი უნდა იყოს, ვიდრე რეალისტური საფრთხისა.

მართლაც, მოცემულ კვლევაში, რეალისტური საფრთხე არც ტრადიციის ღირებულებასთან შევიდა ინტერაქციაში და არც ეთნოცენტრიზმთან, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად შეძლო წინარწმენის წინასწარმეტყველება (თუმცა, უფრო სუსტად, ვიდრე სიმბოლურმა საფრთხემ). ამის მიზეზიც რეალისტური საფრთხის შინაარსიდან გამომდინარეობს: ეს საფრთხე, ზოგადად, უფრო რაციონალურ რეაქციებთანაა დაკავშირებული, როგორც არის გარე-ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მოძიება ან მასთან მოლაპარაკებების გამართვა (Stephen, Ybarra and Morrision 2009); მართლაც, საინტერესოა, რომ როგორც ამ კვლევის შედეგად გაირკვა, რეალისტურ პირობაში მყოფი სტუდენტები მნიშვნელოვნად უფრო ხშირად გამოთქვამდნენ გარე-ჯგუფის (აბირიელების) შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილს, ვიდრე სიმბოლური საფრთხის და, ლოგიკურად, საკონტროლო („უსაფრთხო“) პირობებში მყოფები. შესაბამისად, რეალისტური საფრთხე, შესაძლოა, სწორედ ამ შედარებით რაციონალური ბუნების გამო არ დაუკავშირდა ნაკლებ რაციონალურ ფენომენს – ტრადიციის ღირებულებას, რომელიც, თავის მხრივ, ისეთივე ნაკლებ რაციონალურ პიროვნულ თვისებებთანაა ძლიერ კორელაციაში, როგორც არის, მაგალითად, ავტორიტარიზმი (Altemeyer 1998; Cohrs et al. 2005; იხ. McFarland 2010), ან ეთნოცენტრიზმს, რომელიც, მაგალითად, აბსტრაქტული აზროვნების მწირ უნარებსა (O'Connor 1952) და რიგიდულობასთან (Rokeach 1948) არის დაკავშირებული.

კვლევის ამ შედეგებს სხვა კვლევათა (Javakhishvili et al., 2012; სუმბაძე 2012) შედეგებს თუ დაუკავშირებთ, შესაძლოა, გარკვეული ვარაუდიც კი გამოვთქვათ, რომ ქართულ პოპულაციაში, წინარწმენის მქონე ადამიანებში სწორედ ტრადიციული ღირებულებები და, შესაბამისად, სიმბოლური საფრთხის აღქმის ტენდენციები მძლავრობს. კერძოდ, ჯავახიშვილისა და კოლეგების (2012) თანხმად, ქართველ სტუდენტებს უფრო მაღალი მიმდებლობა აქვთ კულტურულად (სიმბოლურად) ახლო აღქმული, მაგრამ რეალისტური საფრთხის შემცველი რუსეთისადმი, ხოლო უფრო დაბალ მიმდებლობას ავლენენ რეალისტურად უსაფრთხო, მაგრამ სიმბოლური მახასიათებლებით განსხვავებული ისეთი ჯგუფების მიმართ, როგორებიც არიან

მუსლიმი კულტურის წარმომადგენელი აზერბაიჯანელები და ირანელები.⁷ ასევე, 1058 რესპონდენტზე ჩატარებული კვლევა (სუმბაძე 2012) აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე არასასურველ შესაძლო მეზობლად ჰომოსექსუალს განიხილავს და უპირატესობას, მაგალითად, კრიმინალის გვერდით ცხოვრებას ანიჭებს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალისტური საფრთხისადმი (კრიმინალები) უფრო ნაკლებ მგრძნობიარენი არიან, ვიდრე სიმბოლური საფრთხისადმი (ჰომოსექსუალები), მოცემულ კვლევაში კი სიმბოლური საფრთხის შემცველი ტექსტი, სხვა, ე.წ. სიმბოლურ, მახასიათებლებთან ერთად, გარე-ჯგუფს სწორედ ერთნაირ-სქესიანი ქორწინების მომხრედ აღწერდა (იხ. დანართი 3.2).

ამ გარემოებას დამატებით სიცხადეს აძლევს ვეიკვილდისა და კოლეგების (2016) კვლევა, სადაც ავტორები არაჰეტეროსექსუალების მიმართ დამოკიდებულებებში კროს-კულტურულ სხვაობებზე ამახვილებენ ყურადღებას და წერენ, რომ ყოფილი კომინისტური ქვეყნები, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ამ მხრივ საგრძნობლად ნაკლებ ლიბერალურები არიან (Wakefield, Kalinauskaite and Hopkins), რის მიზეზადაც ისეთ კონტექსტუალურ ცვლადებს ასახელებენ, როგორც ქვეყნის ეკონომიკა და უსაფრთხოებაა, ვინაიდან საზოგადოებრივი დონის ეს ორი ცვლადი (სუსტი ეკონომიკა და მყიფე უსაფრთხოება) უფრო დაბალ ტოლერანტობასა და ნაკლებ პლურალიზმთანაა ასოცირებული (Inglehart and Welzel 2005). ამასთან, ავტორები (Wakefield et al.) ერთმანეთისაგან სამოქალაქო და ეთნიკურ იდენტობას განასხვავებენ და ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იდენტობის „ხელახალი აღმოჩენისა“ და მეზობელი ერებისგან თავის გამორჩევის მიზნით, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში იდენტობის საფუძველი სწორედ ეთნიკური მიკუთვნებულობა, „საერთო სისხლი“ (Mole 2011, 584 in Wakefield et al.), ფესვებსა და ტრადიციებთან მიბრუნება გახდა, როგორც ამ ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობის დამტკიცების ერთ-ერთი საშუალება. ამდენად, იქ, სადაც ერის იდენტობას უფრო ბიოლოგიური რეპროდუქცია და ტრადიციული ოჯახის იდეოლოგია

⁷ ქართველ სტუდენტთა სოციალური დისტანციის საშუალო ქულა რუსებისადმი მაღალი წინარწმენის მიმანიშნებელი მთლიანი 7 ქულიდან 3.77-ია (N=91) მაშინ, როცა აზერბაიჯანელებისადმი ეს მაჩვენებელი – 5-ს, ირანელებისადმი კი 5.34-ს შეადგენს (Javakhishvili et al., 2012).

განსაზღვრავს (ეთნიკური იდენტობა), ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების წევრობა, ჰომოსექსუალობა უფრო აღიქმება ეროვნული იდენტობის საფრთხედ (Wakefield et al.).

მოცემული კვლევა, რომელიც აჩვენებს, რომ წინარწმენას (მათ შორის, ჰომოსექსუალური ქორწინების მომხმრე და განსხვავებული რელიგიის მატარებელი გარე-ჯგუფის მიმართ) ტრადიციული ღირებულებისა და სიმბოლური საფრთხის ინტერაქცია განაპირობებს, და რომელიც საქართველოში – ერთ-ერთ პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაში ჩატარდა, შესაძლოა, ზეომალნიშნული ეთნიკური იდენტობის ჭრილშიც იქნას განხილული.

მართალია, ამ კვლევაში მხოლოდ სიმბოლურ (და არა რეალისტურ) საფრთხეს ჰქონდა მოდერაციული ეფექტი, ბოლოდროინდელი კვლევები (მაგ. Duckitt 2006; Dunwoody and McFarland, 2017) ორივე სახის საფრთხის გამაშუალებელ როლზე ლაპარაკობს პიროვნულ ცვლადებსა და წინარწმენას შორის, პიროვნულ ცვლადად კი, მეტწილად, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი გამოიყენება; კერძოდ, კვლევათა თანახმად, რეალისტური და სიმბოლური საფრთხეები ავტორიტარიზმსა და წინარწმენას შორის კავშირის როგორც მედიაცას (Duckitt; Dunwoody and McFarland), ისე მოდერაციას ახდენს (Dunwoody and McFarland).

ასევე, იმის ასახსენლად, თუ რატომაც, რომ იმიგრანტების არა რეალური, არამედ აღქმული რაოდენობა განაპირობებს მათ საწინააღმდეგო დამოკიდებულებებს (Semyonov et al. 2004), ზიკი და კოლეგები (2008), სოციოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით, წერენ, რომ იმიგრანტების რაოდენობის აღქმასა და წინარწმენას შორის მედიატორი, ზოგადად, საფრთხეა (Zick, Pettigrew and Wagner).

ეს მიგნება საფრთხის მოქმედების ორ მექანიზმს მიუთითებს: საფრთხეს შეუძლია აღქმის დამახინჯება და საფრთხე მალეგიტიმიზირებული მითების ფუნქციას იძენს (იხ. Crandall and Eshleman 2004).

მართლაც, რადგანაც საფრთხე ემოციურად საშიში მდგომარეობაა, ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მიდრეკილი იქნება, რეალობა არასათანადოდ შეაფასოს. როგორც, მაგალითად, პრაქტკანისმა და ელიოტ არონსონმა (1992) აჩვენეს, როცა ადამიანები შეშინებულები და გაბრაზებულები არიან, ისინი ფაქტებსა და რიცხვებს უგუ-

ლვებელყოფენ (Pratkanis and E. Arosnon). იგივე მექანიზმი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ წინარწმენის ერთ-ერთი წყარო, კონფორმულობა (იხ. E. Aronson 2012) სწორედ არასტაბილურ, ბუნდოვან, საფრთხის შემცველ სიტუაციებში იზრდება (ibid.) და სწორედ ამგვარ სიტუაციებსა თუ პერიოდებში, შფოთვის შემცირების მიზნით, ადამიანები ავტორიტეტების ძიებასა და მათ მორჩილებას იწყებენ (Fromm 1941), რის მაგალითსაც ნაციზმი წარმოადგენს – რეაქცია 1930-იანი წლების შფოთვებზე გერმანიაში (ibid.).

კონსერვატული დამოკიდებულებების ზრდას უილსონიც (1973) არასტაბილურობისა და საფრთხეების შემცირების ფუნქციად ხედავდა (Wilson). სხვაგვარად რომ ვთქვათ, საფრთხეებს ირაციონალური რეაქციები მოსდევს: „რაც უფრო ძლიერდება საფრთხის განდევნის მოთხოვნილება, სულ უფრო სუსტდება კოგნიტური მოთხოვნილება, მიიღო ინფორმაცია [გარე-ჯგუფის შესახებ], რასაც შეხედულებათა უფრო ჩაკეტილ სისტემებამდე მივყავართ” (Rokeach 1960, 67). ამდენად, საფრთხის კვალდაკვალ, იკლებს რაციონალური რეაქციები, როგორცაა მაგალითად, ინფორმაციის მოძიება გარე-ჯგუფის შესახებ, და იმატებს ირაციონალური რეაქციები, როგორცაა წინარწმენები გარე-ჯგუფების მიმართ.

ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, საფრთხეს ისიც შეუძლია, რომ ამ ირაციონალურ რეაქციას – წინარწმენას – რაციონალური სახე მისცეს იმით, რომ ადამიანს გაუჩინოს საშუალება, საფრთხე საკუთარი წინარწმენის გამამართლებელ არგუმენტად გამოიყენოს (Crandall and Eshleman 2004) ანუ, საფრთხის არსებობა წინარწმენისთვის იმავე ფუნქციას იძენს, რაც მალეგიტიმიზირებელ მითებს (Sidanius and Pratto 1999) აქვთ სოციალური დომინანტობის ორიენტაციისთვის.

ამ თვალსაზრისით, იგივე პროცესთან გვაქვს საქმე, რასაც ფროიდისეული ეგოს დამცავი მექანიზმის, რაციონალიზაციის (მაგ., Freud [1915-1917] 1943) დროს აქვს ადგილი. რაციონალიზაცია ფაქტების კონგიტური დამახინჯებაა, რათა მოვლენა ან იმპულსი ნაკლებ სახიფათოდ აქციო და ამ გზით საკუთარ არასასურველ აზრებს, ემოციებსა თუ ქცევებს ახსნა მოუძებნო (McLeod 2009).

მართლაც, წინარწმენაში ჩართულ არაერთ მექანიზმს კონცეპტუალური მსგავსება აქვს რაციონალიზაციასთან. ასეთ მექანიზმთა შორისაა ატრიბუციის ძირეული შეცდომა (იხ. E. Aronson 2012), როცა ადამიანები მიდრეკილნი არიან, გარე-ჯგუფის წევრებს ის თვისებები მიაწერონ, რაც თავიანთ წინარწმენას შეესაბამება; მაგალითად, გენდერული სტერეოტიპების გამო, თუ ქალი რთულ დავალებას კარგად ასრულებს, ეს მის დიდ შრომასა და ძალისხმევას მიეწერება, კაცის შემთხვევაში კი მის უნარებს, ხოლო თუ ქალი ვერ ასრულებს დავალებას, ამას მისი მწირი უნარებით ხსნიან მაშინ, როცა კაცის შემთხვევაში ამის მიზეზად უბრალოდ უიღბლობას ასახელებენ (Swim and Sanna 1996).

რაციონალიზაციის მონათესავე მექანიზმია მსხვერპლის დადანაშაულებაც (იხ. E. Aronson 2012), როდესაც უარყოფითი დამოკიდებულებები სხვადასხვა ჯგუფის მიმართ ამავე ჯგუფების „ცუდ საქციელს“ ბრალდება; არონსონის თანახმად, მსხვერპლის დადანაშაულების მაგალითებს შემდეგი ფრაზები განეკუთვნება: „თუ ებრაელები, თავისი არსებობის მანძილზე, მუდამ მსხვერპლის როლში არიან, მაშინ ისინი *რადგაში* ალბათ მართლა არასწორად იქცევიან“ (ibid., 321) ან „თუ ეს ქალი გააუპატიურეს, მაშინ *ფაქტია*, რომ თავად გააკეთა რადაც პროვოკაციული“ (ibid.) [კურსივი ორივე ციტატაში ავტორისაა]. საკუთარი (ან სულაც სხვათა) წინარწმენის სამიზნისთვის „სამიზნეობის“ გადაბრალება „დამდანაშაულებელს“ საშუალებას აძლევს, მის ჩაგვრას ახსნა მოუძებნოს და გაამართლოს მისდამი ცუდი მოპყრობა. არონსონისვე სიტყვებით, „რასიზმი უფრო იქ აღმოცენდება, სადაც მისი რაციონალიზება ადვილია“ (ibid., 306).

აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ვერბალიზებადი საფრთხის არსებობა ერთგვარად იოლი საშუალებით უზრუნველგვყოფს, საკუთარი წინარწმენა გავამართლოთ, ხოლო ის ფაქტი, რომ წინარწმენის გამართლება საერთოდ საჭირო ხდება, ამ ფენომენის არაკონსტრუქციულობაზე მეტყველებს და, გარკვეულ საზოგადოებებში, იმაზეც, რომ მისმა მატარებელმა იცის, რომ წინარწმენა, ზოგადად, სოციალურად არასასურველ რეაქციად ითვლება (იხ. Crandall and Eshleman 2004).

თუმცა, როგორც მოცემულ კვლევაში გამოჩნდა, ყველა ერთნაირად არ რეაგირებს საფრთხეზე და არ რეაგირებს ნებისმიერ საფრთხეზე, უფრო ზუსტად კი, კვლევის

თანახმად, საფრთხე ტრადიციის ღირებულების მქონე ადამიანებისთვის იძენს მნიშვნელობას და ეს საფრთხე არა რეალისტური, არამედ სიმბოლურია. – ტრადიციებისა და სოციალური კონვენციებისთვის საფრთხედ სწორედ ის ღირებულებები აღიქმება, რომელიც ამ სოციალურ კონვენციებთან შეუთავსებელია (Feldman 2003).

შემთხვევითი არ არის, რომ ტრადიციის ღირებულებას შვარცი (2012) თავდაცვაზე ორიენტირებულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებად განიხილავს (Schwartz et al.). ამ კონტექსტში, საყურადღებოა ტერორის მართვის თეორია (Greenberg, Pyszczynski and Solomon 1986), რომლის მიხედვითაც, სიკვდილის შიში იმდენად მძლავრია, რომ კულტურული ინსტიტუციები და მათი თანხმლები მსოფლალქმები ამ ეგზისტენციურ შფოთვისთან გამკლავების ფუნქციას იძენენ: დიდ სოციო-კულტურულ ფენომენებთან მიკუთვნებულობა ადამიანებს, ერთი მხრივ, ერთგვარი უსაფრთხოების განცდით უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი – სოციალური იდენტობის თეორიასთან (Tajfel and Turner 1979) თანხვედრაში – ამ კულტურული ჩარჩოების მიღმა არსებული ჯგუფებისადმი მტრულ დამოკიდებულებებს უჩენს (Jost et al. 2003). ამდენად, ტრადიციის ღირებულებაც, რომელიც კულტურული, რელიგიური და ოჯახური ტრადიციების ერთგულებას გულისხმობს, ეგზისტენციური შფოთვის ერთ-ერთი გამოხატულება და მისგან თავდაცვის საშუალებაა იმდენად, რამდენადაც მუდმივობის ილუზიას კვებავს.

სწორედ ამ დისპოზიციების მქონე ადამიანებს აქვთ ტენდენცია, აღიქვან საფრთხე და განიცადონ შიში უცხო სინამდვილეში. მართლაც, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიის ავტორების (Stephen, Ybarra and Morrison 2009) თანახმად, საფრთხის განცდისადმი ყველაზე მეტად ის ადამიანები არიან მიდრეკილნი, ვინც დაუცველად გრძნობს თავს, არის ეჭვიანი, აქვს სიკვდილის შიში, მისიწრაფის სოციალური წესრიგისკენ (ibid.). ამ მოსაზრებას იზიარებს უილსონიც (1973): „კონსერვატული დამოკიდებულების სხვადასხვა კომპონენტის საერთო საფუძველი განზოგადებული მიდრეკილებაა, განიცადო საფრთხე ან შფოთვა გაურკვეველობის წინაშე” (Wilson, 259), ამ შფოთვის წყარო კი შეიძლება ყოველგვარი გაურკვეველობა თუ „უცხო“ იყოს, დაწყებული სიკვდილით,

ანარქიით, უცხოელებით, ორაზროვნებითა თუ სოციალური ცვლილებებით (ibid.), უცხო საჭმელით (E. Aronson 2012), უცხო რასის, უცხო კულტურის, უცხო გენდერის წარმომადგენლით დამთავრებული.

თუ თვალს გადავავლებთ წინარწმენის ემპირიულ კორელატებს, – როგორც ამ კვლევით გამოვლენილ ეთნოცენტრიზმსა (იხ., ასევე, Pettigrew and Meertens 1995; Stephen and Stephen 1996) და ტრადიციის ღირებულებას (იხ., ასევე, Sagiv and Schwartz 1995), ისე სხვა ავტორების მიერ შესწავლილ მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმს (მაგ., McFarland 2010), სოციალური დომინანტობის ორიენტაციას (ibid.), უსაფრთხოებისა (მაგ., Vecchione et al. 2012) და სიცხადის (Shah, Kruglanski and Thompson 1998) მოთხოვნილებებს, კონფორმულობას (იხ. E. Aronson 2012), სამყაროს, როგორც საფრთხის შემცველის, აღქმას (Duckitt 2001) და სხვ., – ვნახავთ, რომ ისინი ეგზისტენციურ შფოთვისთან ოპერაციონალურად მონათესავე ფენომენებია იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მათგანი სტატუს კვოს შენარჩუნებას, სიახლეების მიუღებლობასა და, ამ გზით, ამ შფოთვის შემცირებას ემსახურება. ეს გარემოება ჯოსტისა და კოლეგების (2003) სიტყვებშიცაა ასახული: „კონსერვატული აზროვნება და ქცევები, შესაძლოა, აღმოცენდეს მოტივაციიდან, სამყაროს შესძინო აზრი და ადამიანური გამოცდილების თანხმლებ ეგზისტენციურ კრიზისებს გაუმკლავდე” (Jost et al., 349).

აქედან გამომდინარე, წინარწმენა, როგორც ამ ფენომენებთან დაკავშირებული ფენომენი და როგორც უცხოს შიში, შესაძლოა, შფოთვის შემამცირებელ ერთ-ერთ მექანიზმდაც განვიხილოთ – მექანიზმად, რომელიც ირაციონალურ წყაროს (შფოთვისა თუ უცხოს შიშს) რაციონალურად (რიგ შემთხვევებში საფრთხეებით უზრუნველყოფილი მალეგტიმიზირებელი მითებით) უპირისპირდება.

სხვა კუთხით რომ დავსვათ საკითხი, თუ მოცემული კვლევა გვეუბნება, რისი ფუნქციაა წინარწმენა (ეთნოცენტრული პრედისპოზიციების, ტრადიციული ღირებულებისა და აღქმული საფრთხეების), ის გარკვეულ მინიშნებას არანაკლებ საინტერესო კითხვაზეც გვამღევეს, კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა არის საკუთრივ წინარწმენის ფუნქცია. მართალია, პასუხი, ამ შემთხვევაში უფრო სპეკულაციურია, ფსიქოლოგიაში ასეთი კითხვები ტრადიციულად იჩენს თავს იმ ქცევებისა თუ

ფენომენების მიმართ, რომელთა მიზანი, პრაქტიკულობა თუ დანიშნულება არ არის მთლად მკაფიო, წინარწმენა კი სწორედ ასეთ ფენომენებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. მართლაც, უზნაძის (1941) თანახმად, ქცევა ყოველთვის მიზანშეწონილია: „ქცევის აზრის მნიშვნელობის შესახებ ისე ლაპარაკი, რომ მხედველობაში არ გვექონდეს მიზანი, რომელსაც ეს ქცევა ემსახურება, [...] ბუნებრივად არ შეიძლება ჩაითვალოს” (უზნაძე [1941] 1967, 431).

თუ, ზემოთ მოცემულ მსჯელობაზე – ანუ წინარწმენის ემპირიულად შესწავლილ კორელატებზე – დაყრდნობით, წინარწმენას ზოგადი ეგზისტენციური შფოთვის ფუნქციად განვიხილავთ, თავად წინარწმენის ფუნქცია ამ შფოთვის შემცირების ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ.

სხვა სიტყვებით, ერთი ირაციონალურობა (შიში) მეორე ირაციონალურობას (ტრადიციების რიგიდულ ერთგულებას) წარმოშობს, რასაც ისევ ირაციონალურ დამოკიდებულებებამდე (წინარწმენამდე) მივყავართ. ამ ჩაკეტილ წრეზე მსჯელობისას, საინტერესოა მაკფარლანდის (2010) კომენტარი; სტატიაში, რომელიც წინარწმენის პიროვნული პრედიქტორების დეტალურ კვლევას ეხება, მან აღნიშნა, რომ ამ სტატიის ერთ-ერთმა მიმოხილველმა მას „მაცდური” მოსაზრება შესთავაზა: „იქნებ, „თავად წინარწმენა არის პირველადი თვისება“?!” (McFarland, 471). საკითხის ამგვარად დასმა თავდაყირა დააყენებს წინარწმენის ლიტერატურაში არსებულ თეორიულ თუ ემპირიულ მიდგომებს, სადაც წინარწმენა არა მიზეზის, არამედ დამოკიდებული ცვლადის სახით შეისწავლება და, ასევე, ცნებების ხელახალ ოპერაციონალიზებასაც გახდის საჭიროს.

რომ შევამაჯამოთ, წინარწმენის პროვოცირებაზე პიროვნული და სიტუაციური ფაქტორების კომბინაციაა პასუხისმგებელი. არასტაბილური, საფრთხის შემცველი სიტუაციები თავისთავად ზრდის შფოთვის დონეს და ადამიანებს ბუნებრივად უჩნდებათ მისი შემცირების ტენდენცია. თუ ისეთი გაუკონტროლებელი მოვლენების (არაპგნოზირებადის და საშიშის) გაკონტროლების მიზნით, როგორც მიწის გასანაყოფიერებლად საშიში გვალვები (Freud [1913] 2009) ან გაშლილ ზღვაში თევზაობა (Malinowski 1948), ევოლუციურ წარსულში ან პრიმიტიულ საზოგადოებებში მაგიურ

რიტუალებს მიმართავდნენ, თანამედროვე ადამიანები სახიფათო სიტუაციებზე კონფორმულობით (იხ. E. Aronson 2012), რელიგიური დოგმატიზმით, მილიტარიზმით, ავტორიტარიზმით, ცრურწმენებით (იხ. Jost et al. 2003), კონსპირაციული თეორიებითა და ტრადიციების ერთგულებით რეაგირებენ, რასაც მათი სტატუს კვოს დამრღვევად აღქმული ჯგუფების მიმართ მტრულობამდე – წინარწმენებამდე – მივყავართ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრადიცია, როგორც შფოთვის შემამცირებელი პიროვნული ღირებულება (Schwartz et al. 2012), და სიმბოლური საფრთხე, როგორც შფოთვის დამატებითი მაპროვოცირებელი და ამ ღირებულების აქტივირებისთვის რელევანტური სიტუაციური ფაქტორი, ერთობლივი ძალით, წინარწმენის გაღვივებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, წინარწმენაც შფოთვის, ან, უფრო კონკრეტულად, უცხოს შიშის, შემცირების ფუნქციას იძენს და ბუნდოვან სიტუაციაზე თუ უცხოს წინაშე კონტროლის მოპოვებას ემსახურება.

თუმცა, როგორც კვლევიდანაც გამოჩნდა, მსგავს საფრთხის შემცველ სიტუაციებში ყველა რეაგირების ამგვარ გზას არ ირჩევს. ირჩევენ ისინი, ვისაც ისედაც აქვს დაუცველობისა და არასტაბილურობის გამოკვეთილი განცდა, რის კომპენსირებასაც, ამ შემთხვევაში, ტრადიციის ღირებულებით ახდენენ, ხოლო უფრო გახსნილი, ტოლერანტობისკენ მიდრეკილი ადამიანები, რომელთათვისაც თანაბარუფლებიანობის ღირებულებაა პრიორიტეტული, არ ავლენენ გარე-ჯგუფისადმი მტრულობას.

ამდენად, თუ ეგზისტენციურ შფოთვისას უნივერსალურ ფენომენად განვიხილავთ და წინარწმენაში ინდივიდუალური დონის სხვაობებით დავინტერესდებით, კითხვა შემდეგნაირად შეიძლება დაისვას: რა განასხვავებს ადამიანებს შფოთვის გამოხატულებებსა თუ მასზე რეაქციებში? რატომ ირჩევს ერთი ადამიანი შფოთვის შემცირების საშუალებად უფრო რაციონალურ მიდგომას – ვთქვათ, ცოდნის გაღრმავების სურვილს და მეორე – უფრო ირაციონალურს, ამ შემთხვევაში, გარე-ჯგუფის ჩაგვრას?

მხოლოდ ღირებულებითი პრიორიტეტების განსაზღვრა ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვერ იძლევა, რადგან მოცემულ კვლევაში გამოვლენილი წინარწმენის

პიროვნული პრედიქტორები, ეთნოცენტრიზმი და ტრადიციისა და უნივერსალიზმის ღირებულებები, ისევე, როგორც წინარწმენის სხვა ცნობილი პრედიქტორები – სოციალური დომინანტობის ორიენტაცია და მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი (McFarland, 2010), თავის მხრივაც აჩენენ კითხვებს, რა დგას მათ უკან და რატომაა ზოგისთვის, მაგალითად, კონსერვატული ღირებულებები მნიშვნელოვანი, ზოგისთვის კი კოსმოპოლიტური. ამ პრიორიტეტების მიზეზები, შესაძლოა, სხვა ფაქტორებთან ერთად, აღზრდაში და, როგორც მაკფარლანდმა (2010) წინარწმენასთან დაკავშირებით აჩვენა, პრინციპული მორალური მსჯელობის (McFarland) ან ფორმალური აზროვნების განვითარების დონეებში ვეძიოთ.

საგულისხმოა, რომ პრინციპული მორალური მსჯელობის ცნება განვითარების ფსიქოლოგიიდან, კერძოდ კოლბერგის (1969) მორალური განვითარების სტადიების მოდელიდან იღებს სათავეს, ამ სტადიების გადახედვა კი საშუალებას იძლევა, წინარწმენა განვითარების პრობლემის ჭრილში დავინახოთ: თუ კოლბერგის მიერ განსაზღვრულ განვითარების პირველ, პრე-კონვენციურ, სტადიაზე ადამიანი პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობას და მისი კარგი საქციელის მთავარი მოტივია, თავი აარიდოს დასჯას, ხოლო მეორე, კონვენციურ, სტადიაზე მის საქციელს კონფორმულობა და სოციალური ნორმების დაცვა განაპირობებს, მესამე – პოსტ-კონვენციურ – სტადიაზე ადამიანის მორალი დემოკრატიული, ადამიანური მრავალფეროვნების მოტივებით არის ნაკარნახევი და ის *ტრანსცენდენტური*, უნივერსალური ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობს (Kohlberg 1969). სწორედ განვითარების ეს მესამე სტადია უკავშირდება წინარწმენას უარყოფითად (McFarland 2010) და არ უნდა იყოს შემთხვევითი, მოცემული კვლევით გამოვლენილი წინარწმენის უარყოფით პრედიქტორებს, უნივერსალიზმი-ტოლერანტობისა და უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებებს შვარცი (2012) *თვით-ტრანსცენდენტურობის* ღირებულებებში რომ აჯგუფებს (Schwartz et al.).

არც ისაა შემთხვევითი, რომ, როგორც ნაშრომში ერთხელ უკვე ითქვა, წინარწმენის კიდევ ერთ მნიშვნელოვან უარყოფით პრედიქტორს, უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულებასთან ერთგვარად მონათესავე ცნებას – სხვისი

პერსპექტივის მიღებასაც (იხ. McFarland 2010) აქვს განვითარების ფსიქოლოგიასთან, კერძოდ პიაჟეს (1956) მიერ განსაზღვრულ განვითარების ეგოცენტრულ სტადიასთან კავშირი, სტადიასთან, როცა ბავშვს ჯერ არ აქვს უნარი, მოვლენები სხვისი პერსპექტივიდან დაინახოს (Piaget and Inhelder 1956).

ეს შედეგები, ზოგადად, მიუთითებს, რომ განვითარების დონე მნიშვნელოვან ინდივიდუალურ სხვაობას უნდა უზრუნველყოფდეს წინარწმენისთვის, იქნება ეს დონე აზროვნების უნარებით თუ, რიგ შემთხვევებში ან/და რიგ ქვეყნებში (cf. Coenders and Scheepers 2003), განათლების მაჩვენებლით გამოხატული.

ნებისმიერ შემთხვევაში, შემდგომი კვლევა, მათ შორის, ლონგიტუდური, არის საჭირო, რათა მეტი ცოდნა მივიღოთ ისეთი კომპლექსური და ფსიქოლოგიური, სოციალური თუ პოლიტიკური შედეგების მქონე ფენომენის შესახებ, როგორც წინარწმენა.

4.5. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

კვლევის ყველაზე აშკარა შეზღუდვა ის სპეციფიკური ასაკობრივი ჯგუფია, – ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები, – რომელსაც ჩემი შერჩევა განეკუთვნებოდა, და რომელიც არ იძლევა საშუალებას შედეგები სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე განზოგადდეს.

განზოგადების ნაკლთანვე აქვს კავშირი გარეგანი ვალიდობის პრობლემას: რამდენადაც კვლევაში გამოყენებული საფრთხის შემცველი გარე-ჯგუფი არარეალური და გამოგონილი იყო (მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეებს ის რეალური ეგონათ), რთული ხდება იმის განსაზღვრა, რამდენად განმეორდება კვლევის შედეგები მსგავს, რეალურ სიტუაციებში. გარდა ამისა, ეს გარემოება გამორიცხავს ისეთი მნიშვნელოვანი სიტუაციური ფაქტორების როლის გათვალისწინების შესაძლებლობას, როგორც გარე-ჯგუფთან კონტაქტია (Allport [1954] 1979; Hindriks, Verkuyten and Coenders 2014).

უფრო სრულყოფილი სურათის მისაღებად, მსგავსი კვლევის რეპლიკაცია სხვა თაობების წარმომადგენლებთანაც არის მიზანშეწონილი.

ასევე, დამატებითი ანალიზია საჭირო, რათა უფრო მკაფიო გახდეს მოცემულ კვლევაში გამოყენებული ცვლადების მოქმედების მექანიზმი. მაგალითად, ვინაიდან ტრანექტორიული ანალიზის მიხედვით, ტრადიციამ არა დამოუკიდებულად, არამედ მხოლოდ სიმბოლურ საფრთხესთან ინტერაქციაში შეძლო ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის წინასწარმეტყველება, მედიაციური ანალიზი უფრო ნათლად შეძლებს, აჩვენოს, არის თუ არა ტრადიციასა და წინარწმენის ამ ფორმას შორის კავშირი სწორედ სიმბოლური საფრთხით განპირობებული (იხ. Baron and Kenny 1986).

ასევე, მნიშვნელოვანია, კვლევის ისეთი დიზაინი და დამოკიდებული ცვლადის ისეთი საზომები შემუშავდეს, რომელიც შესაძლებელს გახდის, წინარწმენაზე რეალისტური და სიმბოლური საფრთხეების ეფექტები განვასხვავოთ – საკითხი, რაც სტივენმა და კოლეგებმა (2009) თავიანთი ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიის მიმოხილვაში დააყენეს და ივარაუდეს, რომ სიმბოლური საფრთხე გარე-ჯგუფის დეჰუმანიზაციას, მორალურ დემონიზებას უფრო გამოიწვევს და უფრო გაზრდის კონფორმულობას შიდა-ჯგუფის ნორმებისა და ღირებულებების მიმართ მაშინ, როცა რეალისტურმა საფრთხემ, შესაძლოა, საფრთხესთან გამკლავების უფრო პრაგმატული რეაქციები, მათ შორის, ჯგუფთან მოლაპარაკებები, გამოიწვიოს, თუმცა, ამავე დროს, აგრესიასაც შეიძლება დაუდოს საფუძველი (Stephen, Ybarra and Morrisson). ამდენად, შემდგომი კვლევის ერთ-ერთი ამოცანა ამ ორი სახის საფრთხეებზე განსხვავებული რეაქციების შესწავლა უნდა იყოს.

მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს დისკუსიის შემაჯამებელ ნაწილში დასმულ კითხვას: რა – ეთნოცენტრული ტენდენციებისა და კონკრეტული ღირებულებების გარდა – განასხვავებს ადამიანებს შფოთვაზე რეაქციებში? სხვა სიტყვებით, რატომ ირჩევს ზოგი საფრთხესთან გამკლავებისა თუ უცხოს შიშის შემცირების უფრო რაციონალურ გზებს, ზოგი კი უფრო ირაციონალურს? და კონკრეტულად რას წარმოადგენს ეს გზები? – უცხოს შესახებ ინფორმაციის მოძიებას,

ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი მის მიმართ წინარწმენის გამოვლენას თუ კიდევ რაიმე სხვა სტრატეგიებს?

ასევე, ღირებული იქნებოდა შფოთვის კლასიკური ცნების (მაგ., Freud [1926] 1977; Fromm 1941) იმგვარი ოპერაციონალიზება, რომ მისი გაზომვა და წინარწმენასთან დაკავშირება გახდეს შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, წინარწმენასთან ასოცირებული ბევრი სინონიმური, მეტიც, ტავტოლოგიური, პიროვნული ცვლადისა თუ კონსტრუქტის ნაცვლად, უფრო ფართო დონის, უფრო ყოვლისმომცველი და უკეთესი ამხსნელი პოტენციალის თეორია მიგვეღო.

ცხადია, ეს რთული ამოცანაა, მით უფრო, როცა საქმე ისეთ მრავალწახნაგოვან ფენომენს ეხება, როგორც წინარწმენა. ამ ფენომენის შესწავლისთვის მთავარი ბიძგის მიმცემის, გორდონ ოლპორტის სიტყვებით რომ დავასრულოთ, „ატომის საიდუმლოს მიგნებას წლობით შრომა და მილიარდობით დოლარი დასჭირდა. ადამიანის ირაციონალური ბუნების ამოსახსნელად კიდევ უფრო დიდი ინვესტიცია იქნება საჭირო” (Allport [1954] 1979, xi).

5. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ, საფრთხეთა ექსპერიმენტული მანიპულაციის შედეგად, ერთი მხრივ, დამატებითი სიცხადე შესძინა ჯგუფთაშორის საფრთხის თეორიას (Stephen, Ybarra and Morrison 2009), რომლის თანხმადაც, რეალისტურ და სიმბოლურ საფრთხეებს წინარწმენათა პროვოცირება შეუძლიათ.

მეორე მხრივ, დადგინდა, რომ წინარწმენის საზომი, სოციალური დისტანციის განახლებული სკალა ორი კომპონენტისგან, მეტად და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენისგან შედგება, რაც ამ ფენომენის არაერთგვაროვან ბუნებას უსვამს ხაზს და, ამასთან, აჩვენებს, რომ გარე-ჯგუფთან ახლო კავშირების შესაძლებლობა მათდამი წინარწმენის უფრო მაღალ დონეს აღმოაჩენებს, ვიდრე შედარებით ზედაპირული კავშირების შესაძლებლობა. წინარწმენათა ამ ორი ფორმის განსხვავებული იმპლიკაცია კვლევის სხვა ცვლადებთან მიმართებაში, როგორცაა, მაგალითად, გენდერული სხვაობა ნაკლებ სენსიტიური ფორმისთვის და ამ სხვაობის არარსებობა მეტად სენსიტიური წინარწმენისათვის, იმაზე მეტყველებს, რომ სოციალური დისტანციის განახლებული სკალა მართლაც ორი, განსხვავებული დატვირთვის მქონე ქვესკალისგან შედგება და მონაცემთა ანალიზისთვის არა ერთიანი ქულა, არამედ ორი დამოუკიდებელი ქულა უნდა გამოვიყენოთ, სხვა სიტყვებით, წინარწმენის ეს ორი სახე – მეტად და ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა – ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს.

ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ საფრთხეებთან ერთად, წინარწმენის ორივე ფორმას დადებითად ხსნის ეთნოცენტრიზმი და ტრადიციის ღირებულება, ხოლო უნივერსალიზმი-ტოლერანტობის ღირებულება – უარყოფითად; ასევე, ნაკლებ სენსიტიური წინარწმენის უარყოფითი წინასწარმეტყველება უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებასაც შეუძლია.

საყურადღებოა, რომ წინარწმენასთან როგორც დადებითად, ისე უარყოფითად დაკავშირებული ღირებულებები სოციალური ფოკუსის მქონე ღირებულებათა კლასს განეკუთვნება (Schwartz et al., 2012), რაც წინარწმენის სოციალურ ბუნებაზე მიუთითებს

და იმაზე, რომ გარე-ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხებისადმი ის ადამიანები უფრო იქნებიან მგრძობიარენი, ვისთვისაც საზოგადოებრივი პროცესები უფრო წარმოადგენს პრიორიტეტს, ვიდრე პიროვნული.

მეორე მხრივ, წინარწმენის დადებითად ამხსნელი ღირებულება – ტრადიცია – თავდაცვაზე ორიენტირებულ და შფოთვის შემამცირებელ ღირებულებებში ერთიანდება (Schwartz et al. 2012), ხოლო უარყოფითად ამხსნელი უნივერსალიზმი-ტოლერანტობისა და უნივერსალიზმი-ზრუნვის ღირებულებები – ზრდაზე ორიენტირებულ და შფოთვისგან თავისუფალ ღირებულებებში.

ეს დიპლომა იმ აზრის მატარებელია, რომ შფოთვას განსაკუთრებული როლი აქვს როგორც წინარწმენის პიროვნული წინაპირობების, ისე საკუთრივ წინარწმენისათვის (იხ. Wilson 1973; Greenberg, Pyszczynski and Solomon 1986; Jost et al. 2003).

ამ დაშვებას მეტ სიცხადეს აძლევს მოდერაციული ანალიზის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ წინარწმენის ახსნისას, ტრადიციის ღირებულება ძალას სიმბოლურ საფრთხესთან ინტერაქციაში იკრებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინარწმენა არასტაბილურ, კულტურულ-ღირებულებითი საფრთხეების შემცველ სიტუაციებში მძლავრდება და იმ ადამიანებში, ვისაც ისედაც მაღალი აქვს ეგზისტენციური შფოთვის დონე და ვინც ამ შფოთვის შემცირებას, ამ შემთხვევაში, კულტურული ტრადიციების ერთგულებით ცდილობს.

ამ შედეგიდან გამომდინარე, ინფორმატიული იქნება ღირებულებათა ფართომასშტაბიანი კვლევა, რათა გავიგოთ, ზოგადად, რამდენად დომინირებს ტრადიციის ღირებულება საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, იმის პროგნოზირების საშუალებას მოგვცემს, რამდენად მაღალია სიმბოლური საფრთხეებისადმი მგრძობიარობა და, შესაბამისად, წინარწმენის დონე.

რეალისტური საფრთხე, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად წინასწარმეტყველებდა წინარწმენას (თუმცა, უფრო დაბალი წონით, ვიდრე სიმბოლური საფრთხე), არ შევიდა ურთიერთქმედებაში არც ერთ პრედიქტორ ცვლადთან და მათ რიცხვში, არც ტრადიციასთან, რაც იმას მიუთითებს, რომ ამ ტიპის საფრთხეებისადმი –

ეკონომიკური, მატერიალური, ფიზიკური საფრთხეებისადმი – ნორმატიულად რიგიდული, ტრადიციული ადამიანები ნაკლებად მგრძნობიარენი იქნებიან, თუმცა კულტურულ-სიმბოლური საზღვრების შესაძლო დარღვევაზე უფრო მწვავე რეაქციებს გამოავლენენ.

ამასთან, რადგანაც მოდერაციულ ანალიზში, წინარწმენის მეტად სენსიტიური ფორმისგან განსხვავებით, ნაკლებ სენსიტიური ფორმის ახსნისას ტრადიციის ღირებულებამ სიმბოლური საფრთხის გარეშე დაკარგა ეფექტი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სიმბოლური საფრთხის არ-არსებობის ან ნაკლებობის პირობებში, ტრადიციული ღირებულებების მატარებელი ადამიანები უფრო ტოლერანტულნი იქნებიან, როცა საქმე განსხვავებული ღირებულებების მქონე გარე-ჯგუფებთან შედარებით ზედაპირულ კავშირებზე (ნაკლებ სენსიტიური წინარწმენა) – მეზობლობაზე, ნაცნობობაზე და სხვ. – მიდგება და, შესაბამისად, მათდამი უფრო მეტ მიმღებლობას გამოიჩენენ. მაგრამ უფრო ახლო, დელიკატური კავშირების (მეტად სენსიტიური წინარწმენა) – გარე-ჯგუფის წევრთან შესაძლო ქორწინების, მისი შვილის მასწავლებლისა და საკუთარი უფროსის რანგში ყოლის – შემთხვევაში, ეს ადამიანები მათდამი მტრულ დამოკიდებულებებს გამოავლენენ.

ასე, მაგალითად, მოსალოდნელია, რომ ტრადიციული ღირებულებების მქონე უმრავლესობის წარმომადგენლები უარყოფით დამოკიდებულებებს გამოავლენენ უმცირესობის წარმომადგენელი იმ მუსლიმის მიმართ, რომელიც სამსახურში მათ უფროსად დაინიშნება, მაგრამ უფრო შემწყნარებლები იქნებიან მათ მეზობლად დასახლებული მუსლიმისადმი. თუმცა, თუ იგივე მეზობელი, ვთქვათ, აქტიურად დაიწყებს მეზობლებში საკუთარი რელიგიის უპირატესობათა ქადაგებას, ტრადიციული ღირებულების მქონე ადამიანები სიმბოლურ საფრთხეს იგრძნობენ და მუსლიმი მეზობლისადმი უკვე ნაკლებ შემწყნარებლურები გახდებიან.

რადგან ტრადიციული ღირებულების მქონე ადამიანებისთვის სიმბოლური საფრთხე უფროა რელევანტური, ვიდრე რეალისტური, შესაძლებელია იმის ვარაუდიც, რომ ასეთმა ადამიანებმა სიმბოლური საფრთხის შემცველ გარე-ჯგუფს რეალისტური საფრთხეებიც მიაწერონ (და ორმაგად გამოხატონ წინარწმენა); სხვაგვარად რომ ვთქვათ,

ამ ღირებულების მატარებელი ხალხი, შესაძლოა, მიდრეკილი იყოს, სიმბოლური საფრთხის მატარებელი გარე-ჯგუფებისგან უფრო იგრძნოს რეალისტური საფრთხეებიც, ვიდრე პირიქით: რეალისტური საფრთხის მატარებელი ჯგუფისგან – სიმბოლური საფრთხეები. მაგალითად, თუ მათ მუსლიმი უმცირესობისგან სიმბოლური საფრთხე აღიქვს, ქვეყანაში არსებული უმუშევრობაც (რეალისტური საფრთხე) მათ შეიძლება დაბრალდეს (cf. Esses, Haddock and Zanna 1993; McLaren 2003).

